1134
2001+

# არილი

№6 (169) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 5 აპრილი

ფასი 50 თეთრი

here was a Child went Forth

#6
2001



ეროვნული ბიბლიოთეკა


# არილი

**საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა**

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი



მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

**სარედაქციო საბჭო**

მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ნინი ზურიაშვილი
დათო თედორაძე
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

*დირექტორი*
მიხეილ ჩიტაძე

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე



ტელ: 93-40-35, 93-52-96;
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5



ჟურნალი იბეჭდება გაზეთ "კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე






**№6 ხუთშაბათი, 5 აპრილი, 2001**
გამოდის ორ კვირაში ერთხელ



**ლიტერატურა**

ლია სტურუა
ლექსები ....... 1
ნიკა შენგელია
მემკვიდრე ....... 3
შოთა იათაშვილი
ლექსები ....... 4
ადოლფო ბიოი კასარესი
სასწაულები არ მეორდება ....... 9
იუკიო მიშიმა
გაზეთი ....... 14
მიხეილ ქვლივიძე
ვაპირებ ცხოვრებას ....... 17

**პერსონა**

რალფ უ. ემერსონი
"მზის ნათელი" ....... 19
ჯონ ედინგტონ საიმონდსი
"მკურნალი" ....... 20
რომენ როლანი
"ფარული სული" ....... 21
კნუტ ჰამსუნი
"ველური სიტყვების საზეიმო თამაში" ....... 22
ხორხე ლუის ბორხესი
"უოლტ უიტმენი" ....... 24
ოქტავიო პასი
უიტმენი - ამერიკის პოეტი ....... 25

**ხელოვნება**

ბორის გროისი
რა არის თანამედროვე ხელოვნება ....... 27
კალვო სერალესი
საგნების დანახვა თვალების გარეშეც შეიძლება ....... 30
მარიამ ჩუბინიძე
მოკლე შინაარსი ....... 31

**პუბლიცისტიკა**

ია ანთაძე
კახა თარგამაძის ინციდენტის პოლიტიკური ასპექტები ....... 34
არნოლდ ტოინბი
იგი მოწინააღმდეგისადმი სიძულვილის გარეშე იბრძოდა ....... 36
ზაზა ფაჩუაშვილი
სკანდალი ....... 39

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლია სტურუა

### გადაარჩინეთ ჩვენი სულები!

*ვუძღვნი მანანა ილურიძეს*

ეკლესია, ხომ, ისედაც,
ცას ელაპარაკება,
მაგრამ ზარების რეკვა -
მთელი სამყაროს ორკესტრების ჯამი,
პირდაპირ ღია ფანჯრებში
მორთმეული სიტკბო -
საკონცერტო დარბაზის,
საკრავების აწყობის
და კაბაზე შიფონის ფრთების გარეშე!
როდის შექმნა ღმერთმა მუსიკა?
ადამიანამდე თუ ადამიანის შემდეგ?
ბალახი თუ ფარავდა ? ·წას,
სამოთხიდან ჩამოტანილი,
ვაშლები, ისევ, ქალწულებრივად
ოქროსფერები იყვნენ,
თუ კაცის ნერწყვისგან
უკვე ტკბილად აჟრიალებდათ?
ან ჯვარცმულმა შვილმა
რომ დაუძახა: - მიშველეო!
და ვერ გააგონა,
იმის მერე თუ მოიგონეს ზარები...
ადამიანს, ყოველთვის, ჭირდება
ვიღაცის გაყიდვა,
უფრო მოყვარის, ვიდრე მტრის
და ჯვარზე გაკვრა,
მაგრამ ყველა ხომ ღვთის შვილი
არ არის და ვერ იტყვის:
"ელი, ელი, ლამა საბაჰთანი"
მხოლოდ, ზარებს აქვთ ამის უფლება
მხოლოდ, ზარებს, შეიძლება ვთხოვოთ:
- გადაარჩინეთ ჩვენი სულები!

* * *

შეიძლება, კიდევ, კაცმა
იფიქროს ისეთ მკაფიო საგანზე,
როგორიც გეომეტრიაა?
ხაზები და კუთხეები
ფუძის ჩრდილიდან
წვეტების სიმაღლემდე
როგორ ადიან
და პოეზიის ბუნდოვანებაზ ე?
ადრე უნდა გადაერჩინა ისინი,
წარღვნამდე,
სანამ სისხლის კოლტები
ჩამოუვარდებოდა ზაფხულს მუცლიდან,
მაინცდამაინც, რკინიგზის ლიანდაგთან -
გასრესილი ყაყაჩოები...
ეს უფრო პოეზია არ არის,
ვიდრე სადაფის წვიმაში სიარული,
სიტყვის ესთეტიკა, მეტაფორები...
ღმერთო, არ მინდა ამდენი სილამაზე!
მეშინია მისი...



მართი კუთხეები იშლებიან
და წრეხაზებს ქმნიან,
რომლებშიც მიდის ცხოვრება,
ტრიალი ღერძის გარშემო,
ან ვარსკვლავის, ან სისხლის კოლტის,
თუ დაუბადებელი სიტყვის...
ამდენი მკვლელობა სილამაზის გულისთვის!

### ნერვიული მხატვრების გამოფენაზე

სიცივე კაწრავს რბილ ამინდს,
გლუვად რომ მედო მხრებზე,
ხელშესახებად ხორკლიანს ხდის,
ფასი ედება სითბოს
მაგრამ ოთახის მცენარედაც
რომ ვიქცე, მაინც,
შავი ყვავილები ამომივა თავიდან,
ღია ფერები აქაურებისთვისაა,
მე უცხო ვარ აქაც,
საკუთარ სახლშიც,
მხოლოდ, მუზეუმები მაძლევენ შეღავათს,
თავისი ფართო ბუნების გამო...
ხაიმ სუტინი...
ისიც უცხო იყო,
ამიტომ ხატავდა ისე,
თითქოს, ქვეყანას ებრძოდა,
მოხარშული კიბოებივით
წითელი კიბით შედიოდა
ჩვეულებრივ პეიზაჟში
და მოყავდა თავისი გუნდი:
ქალები და კაცები,
დაგრეხილები,
მასზე უფრო უცხოები,
რომლებმაც იცოდნენ,
რომ გამოფენებს შეეხიზნებიან
და მოისვენებენ...
შავი ყვავილები
ისე ხშირად ამომდის თავიდან,
რომ თმის დავარცხნა მიჭირს,
მუზეუმები სიურრეალისტების
ნახატებისგან ველარ მარჩევენ...

21952
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### * * *

*ეუძღვნი ნინო აზვლედიანს*

ლინზები -
შუშის დედები
ხელში უჭერიხარ
და სინათლეში გაბანავებენ,
ისე მკვეთრდება აქამდე უჩინარი
ყველა ხაზი და ნაოჭი,
რომ შეიძლება თვალით გამოედო
რომელიმე მათგანს
და დაინგრეს მთელი სამყარო...
იქნებ, ამიტომ სჭირდებოდა
ამდენი საღებავი ვან გოგს:
ხერხემლების, კონსტრუქციების
კულისებში დასამალად,
რადგან მთავარი იყო სახე
ხის, მინდვრის, ფეხსაცმელების,
რომლებშიც იები ამოვიდოდა
ვაჟა ფშაველას გაცნობის მერე საიქიოში...
მზის უპასუხობამ მოკლა ორივე...
ჩვენ წნევა მოგვკვლავს,
ან ინფარქტი, ან რომელიმე
ბანალური ავადმყოფობა,
ჩვენს კვალზე ამოვა
და ამოვა ხალხი,
მაგრამ არა იები...

### სიკვდილის მერე

ისეთი აშკარა ხდები,
რომ ფრჩხილებიდანაც კი ვერ გაყონავ,
ხელის თითებზე ნასწავლი არითმეტიკა
არ გაგიშვებს
და წითელი ლაქის შუქნიშანი...
სიკვდილის მერე
უნდა ისწავლო ცხოვრება,
იმათ გარშემო იფრინო,
ვინც გიყვარს,
შეეგუო, რომ ვერასდროს
ვერ შეგამჩნევენ,
რადგან ჭიანჭველაც კი არა ხარ,
მხოლოდ, ჰაერის სიმჭიდროვე.
ოდნავ თუ გაახალისებ, კარგი ამინდივით,
რადგან მჭიდრო ჰაერი
უფრო ლურჯია, მაგრამ ვის უნდა
ამინდად გადაქცევა?
ჯობია, აშკარა იყო,
როგორც სამიზნე, გესროლონ,
სისხლი წამოგივიდეს,
ტრაგედიას შეწვდე
ამ წვრილმან ცხოვრებაში,
ვიდრე უსუსური ზრუნვა
ახლობლებზე, ვინც ვერ გამჩნევს,
არ წუხს, რომ ესწრები
მის უზნეობას,
კედელივით კი იყენებენ
შენს ხსოვნას, გეფარებიან,
როცა უჭირთ...

### ოპერა

ხელების შვეულ ხაზებს
მუსიკის ოქრო
სააშკარაოზე გამოაქვთ,
მომღერლებს უნაწილებენ
და საორკესტრო ნიჟარიდან
ამოდის მშვენიერი ქალბატონი ოპერა
მუქი იისფერი ბანი
ხავერდს აფენს მის გზაზე,
ალტები
თივთიკივით რბილ ჰაერს მოარბენინებენ,
აქედან ამოტეხილი კრინი
ვერცხლის სურებით დგამს
თავის თავს
სცენის ყველა კუთხეში,
მის მტერსაც მკერდში
თაფლიანი გობი აქვს ჩაშენებული
და იმაში აწობს ხმას,
ქალი მერყეობს
და ლიბრეტოს
გულუბრყვილო კანონებს ეხიზნება,
ხოლო ორკესტრს
გონიერი თავი განაგებს
და იქიდან მთელი ოქრო გამოაქვს,
რომელსაც, ამჯერად,
ავაზაკები ეპატრონებიან...
სასტიკი ქუჩა, მუნჯი შენობა,
ტანზე ტატუირებული
აფიშების ნეკროლოგით:
"კარმენის" ანონსი,
"ტრავიატას" საკონცერტო შესრულება,
იმედი საგასტროლოდ ჩამოსული
ვერცხლის სურების
და თაფლიანი გობების,
რომლებსაც იისფერ ხავერდს
ფეხქვეშ ძველებურად გაუფენენ
და საორკესტრო ნიჟარიდან
ამოვა მშვენიერი ქალბატონი
ოპერა, რომელიც მოკლეს...

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკა შენგელია

# მემკვიდრე



## ბებერი მამლაყინწა

ყიყლიყოო!.. ყიყლიყოო!.. გამარჯობათ! მე ერთი ბებერი მამლაყინწა ვარ, უამრავი საკვირველი ამბის მომსწრე და მონაწილე. ამ უამრავ, საკვირველ ამბავთაგან, ახლა ერთზე მინდა გიამბოთ.

ძველად, ერთ ვეებერთელა საქათმეში უთვალავი ქვეშევრდომი მყავდა. ისინი მინდორში კაკან-კაკანით რომ გამოიშლებოდნენ, მტაცებელი ნადირ-ფრინველი მთელ ჩემს ჯალაბობას შორიდან ბოროტ მზერას არ აცილებდნენ. ახლოს მისვლას კი, ცხადია, ვერ ბედავდნენ. იმ წუწკებს კარგად მოეხსენებოდათ ჩემი ძალ-ღონისა და მჭექარე ხმის ამბავი!.. მართლაც, რომ დავიყივლებდი, შიშისაგან ფრინველები მაღლა ღრუბლებში იმალებოდნენ, მხეცები კი დაბლა, სოროებში მიძვრებოდნენ...

რაღა ბევრი გავაგრძელო - მთელ დუნიაზე შეუპოვარი და უძლეველი გმირის სახელი მქონდა გავარდნილი. ამის გამო ჩემი ქვეშე[...]რდომები უშიშრად და არხეინად ცხოვრობდნენ.

გადიოდა დრო. სიბერე შემომეპარა; ძველებურად არც მუხლი მერჩოდა, აღარც ნისკარტი მიჭრიდა. ჩემდა ჭირად, ხმაშიც ხრინწი გამერია.

მტრებმა დრო იხელთეს და ხან დედლებს მპარავდნენ, ხან წიწილებს, ხანაც კვერცხებს. ბოლოს ისე წახდა საქმე, მრავალრიცხოვანი ქვეშევრდომებიდან ათიოდე დედალი, ბენტერა ქიშოია და ერთადერთი კვერცხილა შემომრჩა.

ერთხელაც, იმ ერთადერთ კვერცხზე კრუხად ტანმორჩილი, ჭრელი ჯუჯულა დაჯდა. ამ ამბით გახარებულმა, იმედგადაწურული დედლები გავამხნევე:

- ვინძლო, ამ კვერცხიდან მაგ ჭრელმა დედალმა ისეთი წიწილა გამოჩეკოს, ჩემი მაგივრობაც კი გასწიოს. მომავალი მემკვიდრე მტრებისგან დაგიცავთ, თქვენც დაისვენებთ, კვერცხებსაც ბლომად დადებთ, წიწილებს გამოჩეკთ, გამრავლდებით და კვლავინდებურად ბედნიერად იცხოვრებთ.

სახლეულობა მდუმარედ მისმენდა. მხოლოდ ერთმა მათგანმა დამცინავად ჩაიკაკანა: სანამ დღევანდელი კვერცხი ჩვენი ბატონი გახდება, ტურა-მელა მუსრს გაგვავლებსო.

არაფერი მიპასუხნია. თავადაც ვხვდებოდი, ხავსს რომ ვეჭიდებოდი.

დადგა დრო, როცა კვერცხი მამალ წიწილას უნდა გამოეტეხა. ის რომ ნამდვილად მამალი იქნებოდა, კარგა ხნით ადრე გვითხრა ჭრელამ. ახლა მთავარი იყო, ღონითა და ხასიათით დამმგვანებოდა. ერთი სიტყვით, ყველანი სულსწრაფი ჟინით ველოდით კვერცხის გამოტეხვას, თუმცა... არა ყველა! - ჯალაბობაში ერთი ჩასუქებული თეთრუა დედალი გვერია, სახელად ტატაშა ერქვა. თეთრუა შიგადაშიგ, სიჩუმეს ბოროტი კაკანით არღვევდა. იცით, რას ამბობდა? - პატარა კვერცხიდან რა უნდა გამოიჩეკოს, თუ არა უღონო წიწილაო. ჭრელი დედალი ჩერჩეტია და მისი შვილიც, უეჭველად, ბოთე და ბენტერა გამოვაო.

მოკლედ, კიდევ რა სიტყვებით არ ამკობდა ჯერაც მოუვლენელ და მზეუხილავ მემკვიდრეს. გულზე ცეცხლი მედებოდა, თუმც აყალმაყალის დრო არ იყო, მაინც ვერ მოვითმინე და თვალების ბრიალით პირმოხეულმა შევუძახე:

- რას ქოთქოთებ, ტატაშა, რა ენად გაიკრიფე, არა გრცხვენია?!.

- ბოდიში. ბატონო, განა გასაკილავად წავიკაკანე?.. გულღრძო და როკაპი არ გახლავართ, უბრალოდ, სინანული მალაპარაკებდა... - თქვა ნირწამხდარმა და მიყუჩდა.

ტატაშას ბოლმა ახრჩობდა, თავისი ყვინჩო შვილი, მშიშარა და უქნარა ქიშო, საქათმის ბატონ-პატრონად რომ არ დავსვი. ან როგორ ჩამებარებინა იმ ქალაჩუნასათვის მთელი საქათმეთი?..

ერთი სიტყვით, წიწილის დაბადებას ველოდებოდით... ერთ მშვენიერ დღეს, კვერცხის ნაჭუჭმაც გაიტკაცუნა და, იმავე წამს, საბუდარის კიდეზე თოთო არსება შეხტა. შევხედე და... აჰ, ყიჰ... გეფიცებით, თავზარი დამეცა!.. - წიწილა ისეთი გალეული და შეუბუმბლავი იყო, ვიფიქრე, მისგან სახეირო და სახარბიელო არა გამოდნებოდა რა, მით უფრო მეთაური და წინამძღოლი. დედლებსაც ნირი წაუხდათ. ერთადერთი, ტატაშა კრუშკრუშებდა ნიშნის მოგებით.

ჭრელ დედალს ჩვენთვის არ ცხელოდა: ერთთავად წიწილას კოცნიდა და ეალერსებოდა...

უცებ იმ ახლადგამოჩეკილმა შეამჩნია, რომ ვუთვალთვალებდით და დაიმორცხვა: - კარგი რა, დედი! ამდენ ხალხში რად მეფერები, უხერხულიაო...

ამ ამბავმა, სიმართლე გითხრათ, გამაოცა, მაგრამ ჯერ სადა ხარ! უფრო გასაკვირი ამბები თურმე წინ მელოდა.

დედის ალერსისგან თავდახსნილი წიწილა საბუდარიდან ჩამოხტა და სათითაოდ ყველას მოგვესალმა. მე, როგორც ასაკოვანს, სხვებზე მეტი ყურადღება დამითმო... მახსოვს, ამინდზეც კი ჩამომიგდო სიტყვა. ბოლოს, დედასთან დაბრუნდა და საბუდრის თავზე დაკიდულ ხმალს მიაცქერდა:

- ეგ იარაღი ვისია?

- ცხონებული პაპაშენისაა, შვილო, - უპასუხა ნაკრუხალმა და დასძინა: გმირთა-გმირი და დიდებული ვაჟკაცი იყო ის სულგანათლებული... ერთ ღამეს დათვმა დაგლიჯა... ღალატით!.. ღალატით, რასაკვირველია.

- ეგ უკვე ვიცი. კვერცხში რომ ვიჯექი, მაშინ მიყვებოდი ამ ამბებს... მაშ, კარგი, ეს ხმალი დღეიდან მე უნდა ვატარო! - წიწილამ იარაღი წელზე შემოირ-



ტყა და ამ სანახაობით გაოცებულებს მოგვიბრუნდა: ახლა ყველას ბოდიშის მოხდით დაგტოვებთ, ტყეში ცოტას გავისეირნებ, სუფთა ჰაერს ჩავყლაპავ და დავბრუნდები.

– ვაიმე, რას ამბობ! – შეიცხადა დედამისმა, – ტყეში რა გინდა? ტურა-მგელი შეგჭამს, შვილო, იქ საშიშია... ასე არ არის, მეზობლებო?!. – მუდარით შემომხედა დაბნეულმა ჭრელამ. ალბათ, ჩემგან ელოდა მხარდაჭერას. მე კი, იმ ციცქნას საქციელით მოხიბლულმა, სიტყვაც ვერ დავძარი! ეჰ, ჩემი შორეული სიყმაწვილე გამახსენდა ხანმოთეულს.

წიწოს ბევრი არ გაუგრძელებია, ვითომც აქ არაფერიაო, ადგა და ღია კარში გავიდა.

შორიახლო, ერთი ხის ძირას, მტვერსა და ჭუჭყში ტატაშას ყვინჩო ქიშოია გორაობდა. წიწილის დანახვაზე წელი აითრია და ჰკითხა:

– ბიჭო, შენ ახლახან არ დაიბადე?

– დიახ, ეს წუთია, – უპასუხა იწილო-ბიწილომ.

– მერე და არ გეშინია, ასეთი პატარა და უსუსური გარეთ რომ გამოსულხარ? – დამცინავად ახედ-დახედა ქიშომ, – მოდი, ჯერ მე დამეჭიდე და მერე იარე გარე-გარე!

– სხვა დროს იყოს! ახლა სასეირნოდ მივდივარ...

ქიშო წამოეყინჩა.

– რაის გეშინია, ბიჭო? დიდხანს არ გაპორწიალებ, უცებ წაგაქცევ და მერე წადი, ისეირნე, რამდენიც გინდა.

ამ სიტყვებისთანავე ქიშო წიწილას დაეჯაჯგურა. დედლები შეშფოთებით აკაკანდნენ: არიქა, პატარას არაფერი მოსწიოს, გააშველეთო... თითქოს გულმა მიგრძნო, ქიშპობაში არ ჩავრეულიყავი... თვალი ძლივს შევასწარი, როგორ ავარდა ქიშოია ჰაერში, ორჯერ ჯამბაზივით ამოტრიალდა და ძირს სველი ჩვარივით დაებერტყა. ატყდა საშინელი კაკან-კრიახი. გაავებული ტატაშა ლანძღვაგინებით მივარდა წიწილას, მაგრამ დედლებმა დროზე გააკავეს. მერე ძირს გაშოტილი ქიშოია აღრიალდა:

– ვაიმე, დედილო, ვაიმე! გვერდები სულ დამიბეგვა ამ ოხერ-ტიალმა. ვინ, ვინ მკადრა, ჭიდაობის სკოლის პირველ ფალავანს ქვეყნის თვალწინ წაქცევა და თავლაფისდასხმა?.. ვაიმე, ვაიი!..

წაქცეულის ლაჩრულმა წიაქმა ეტყობა, ზოგიერთებს გული მოუწურა და წიწილას ქოქოლა დააყარეს. მაჩხუბარა თვალსაც არ ახამხამებდა. ერთხანს მდუმარედ შესცქეროდა მათ, მერე აქოთქოთებულ საქათმეს თავი ღირსეულად დაუკრა და ტყისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა.

ნირწამხდარი ჭრელი დედალი ერთხანს გაბურსალებული იდგა, მერე ქანდარაზე შეხტა, თავზე ფრთები წაიფარა და ატირდა, ალბათ, სიხარულისგან ან კიდევ იმიტომ, რომ...

თუმცა, აჯობებს, ამის შესახებ თავად ჭრელას მოვუსმინოთ. მე კი მანამდე ცოტას დავისვენებ, წუხანდელი უძინარი ვარ.

## ჭრელი დედლის ნაამბობი

ჩვენი ბატონი, მამლაყინწა ცდება, როცა ჩემზე ამბობს, სიხარულისგან ატირდაო. არა, გენაცვალეთ! მე გული იმ უდიერმა დამოკიდებულებამ დამწყვიტა, რომელიც ჩემსა და ჩემი შვილის მიმართ გამოიჩინეს ზოგ-ზოგებმა. მით უფრო, როცა მთელი ჩემი არსებით, მოწადინებული ვიყავი საქათმეთი დალუპვას გადამერჩინა.

ჯერ კიდევ რამდენიმე დღის დამჯდარი ვიყავი კვერცხზე, როცა იქიდან წიწილის ხმა შემომესმა. სალამ-ქალამის და ურთიერთგაცნობის მერე გულისფანცქალით ვკითხე: დედა გენაცვალოს, დაფიქრდი და მიპასუხე, დედალი ხარ თუ მამალი-მეთქი: მამალი ვარ, დედალს რა მიგავსო! – ამომძახა პატარამ. ეს დიდად გასახარელი ამბავი ქათმებს შევატყობინე. ყველას ძალიან გაუხარდა, ტატაშამ კი ჩემსკენ გამოიხედა და დამცინავად ჩაიკრიახა: ეგ ჭრელი დედალი ერთ ციცქნა კვერცხზე ზის,რა იმედი გაქვთ იქიდან ღონიერი, წარმოსადეგი მამალი რომ გამოიჩეკოსო.

მეწყინა, მაგრამ არაფერი ვთქვი. მოგვიანებით, როცა კვერცხში წიწილა ცოტა მოიზარდა, ვაჟკაცობაზე, სინდის-ნამუსზე და ქვეყნის ავ-კარგზე ვესაუბრებოდი. ღამღამობით, ძილის წინ, საგმირო ზღაპრებს ვუყვებოდი, რათა ღირსეულ მამლაყინწად ალმეზარდა. აი, ნახევარწიწილას ამბავზე ხომ საერთოდ გიჟდებოდა... ერთხელ მკითხა, – ის გმირი ნახევარწიწილა შემთხვევით ჩემი წინაპარი ხომ არ იყოო?.. ისე ძალიან უნდოდა ამის დაჯერება, შემეცოდა და დავუდასტურე, შემეცოდა და დავუდასტურე, თუმცა შეიძლება სინამდვილეში ასეც იყოს!..

მალე ის ნანატრი დღეც დადგა, როცა ჩემს პატარას კვერცხი უნდა გამოეტეხა. კა-კა-კა-კა. როგორ ვოცნებობდი ჩემი შვილი ღონიერი და წარმოსადეგი ყოფილიყო?.. სამწუხაროდ, დღენაკლულივით სუსტი, შეუბუმბლავი და უშნო გამოვიდა. მაინც ბედნიერი ვიყავი. ერთია მხოლოდ, როდესაც ტატაშამ და მისმა ამხანაგებმა ჩემი წიწილას მასხრად ასაგდებად ჩაიქილიკეს, ისე მეტკინა გული, მინდოდა, მთელი ქვეყანა კრიახითა და ქოთქოთით ამეკლო...



ამ ყოფაში ვიყავი, როცა ახალგამოჩეკილმა შვილმა ქიშოია ყვინჩილა გალახა. ახლა ტატაშას მიზეზი ჰქონდა და სულ მთლად გათავხედდა. გამძვინვარებული მივარდა ჩემს პატარას და ის მძივებივით თვალები კინაღამ ამოკორტნა. მერე მოსდგა და ლანძღა, იმანაც და სხვებმაც - გადარეულოო, გაუზრდელოო, ჩვენი ქიშოია რად გაგვილახეო...

ბოლოს და ბოლოს რა მოხდა ისეთი, რაც არ მომხდარა?.. ახალგაზრდებმა იჩხუბეს, წაკინკლავდნენ, დიდი ამბავი! უარესებიც ხდება, მაგრამ შერიგებულან... ჰმ, ტატაშას და მის მეგობრებს ამის შეგნება ვინ მისცა?.. მაგრამ გვეყო ტატაშაზე ლაპარაკი... იმ ჩხუბისას მივხვდი, ჩემი პატარა, შეუხედავი წიწილასაგან ნამდვილი გმირი, ნაღდი მამლაყინწა დადგებოდა. ამიტომ ტყეში გასეირნება რომ მოისურვა, მაინცდამაინც არ დამიშლია.

დედა ენაცვალოს, გული მიგრძნობდა, ტყიდან სახელოვან გმირად დამიბრუნდებოდა. მართლაც რომ საარაკო საქმე ჩაიდინა...

ამ ამბავსაც მოგიყვებოდით, მაგრამ რომ არ იფიქროთ, შვილით ტრაბახობსო, გავჩუმდები. ბევრად უპრიანი იქნება, თვით მტე , წუწკ მელიას მოვუსმინოთ. იმედია, იმდენი სინდის-ნამუსი კი შერჩა, სიმართლე თქვას.

## მელაკუდას მონაყოლი

ბატონი ბრძანდებით! - წამოიწყო მელამ, - ყველაფერს წვრილად მოგახსენებთ. დამალვა და ტყუილი რა საკადრისია:

შუადღე იყო, როცა სოროდან გამოვედი და სასუსნავის საძებრად გავსწიე. შუაგულ ტყეში თვალი ნაცნობ მგელს ვკიდე. ყირას გადადიოდა და გიჟივით ღრიალებდა.

- რას ოინბაზობ, რა მოგივიდა, ძმობილო?! - შევძახე გაოცებულმა. მგელი ამღვრეული თვალებით მომაშტერდა და შემომტირა:

- მიშველე, ბიჭო, რამე!.. უკანა კბილი მტკივა... ეს ოხერი ესა... ამომაძვრე, თორემ გავგიჟდები!..

ამ სიტყვებისთანავე ხელში საზეინკლო, ჟანგიანი მარწუხი მომაჩეჩა.

- შენ მართლა გაგიჟებულხარ!.. სადაური დანტისტი მე ვარ?! - ყურებს არ დავუჯერე, მაგრამ მგელი არ მომეშვა, მუჭისტოლა ცრემლებს ღვარღვარებდა; დაჯდა ჯირკზე და ხახა დააღო, ჩავხედე შიგ და... აჰ, რა ნერვები აქვთ ამ დანტისტებს, ხალხნო!.. რამდენიმე კბილი ისე ჰქონდა ჩაფშვნილი, გეგონებოდათ, ურო ურტყესო. სინამდვილეში არწივისგან გადმოგდებულ ხარის გამხმარ ბეჭზე მიეფშვნა თურმე, სიჩქარეში... რბილობი ეგონა თურმე ამ ღორმუცელას.

- აი, ეს მოსდევს მსუნაგობას, - ჩავილაპარაკე ჩემდაუნებურად და მარწუხით კბილებს დავეჯაჯგურე... ვერანაირად ვერ მივუდექი. მგელი სიმწრისგან იგრიხებოდა და კვნესოდა... უცებ, მოშორებით, ბილიკზე მომავალი, ერთი გალეული, წელზე ხმალშემორტყმული წიწილა შევნიშნე. ვიფიქრე, აი, ახლა დაგვინახავს და თავქუდმოგლეჯილი გაიქცევა-თქო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, რის გაქცევა, რა შიში? მოვიდა და რიხიანად მოგვმართა:

- გამარჯობათ მელიავ და მგელო! თქვენი მოთქმა-წუწუნი მომესმა და აქეთ გამოვსწიე. იქნებ რამეში დაგეხმაროთ?

მოულოდნელობისაგან პირში ენა ვერ მოვაბრუნე. წიწილამ გვისაყვედურა: ან მუნჯები ხართ, ან უზრდელები! არამია თქვენთვის ჩემი სალამ-ქალამიო.

გავბრაზდი და მგელს ვუთხარი, ამას ახლავე გადავყლაპავ და მერე გიაქიმებ-მეთქი. ყბაგასიებულმა მანჭვაგრეხით იუარა, - არაო, ჯერ პატარაა, მოსუქდეს, ხორცი შეიბას და მერე ძმურად გავიყოთო. მივუხვდი ეშმაკობას, წიწილა მარტოკას უნდოდა შეესანსლა, როცა მომჯობინდებოდა. მეწყინა, მაგრამ ურჩობას ხომ არ გავუწევდი, ისედაც გაცოფებული, ალბათ, იქვე დამგლეჯდა. მგელზე გაბრაზებულმა წიწილას შევუტიე:

- რას მოგვჩერებიხარ, სულელო? მოგვშორდი აქედან, წადი! ფაფა ჭამე, გასუქდი, მერე მობრძანდი და ხმლიანად შეგახრამუნებ...

მგელმაც ანიშნა, - წადი, მოგვშორდიო.

ახლა წიწილა გაბრაზდა: ორივემ ჭკუას მოუხმეთ, თორემ ტყავს გაგაძრობთ და იმით ქალამნებს შევიკერავო.

ჰაი, ჰაი, რომ, სწორედ მადლი იყო შუაზე გამეგლიჯა... სხვათაშორის მგელი სიცილით მიუბრუნდა: ამას ეტყობა თავისი თავი ზღაპრის ნახევარწიწილა ჰგონიაო...



იმ თავხედმა წიწილამ პასუხი არ დაუგვიანა:

- ყოველ შემთხვევაში, იმ ნახევარწიწილის შთამომავალი ვარ, რომელმაც მგელი, მელია და დათვი ჩაყლაპა, ვიღაც-ვიღაცეებთან ერთად... ახლა კი თქვენი ჯერიც დადგაო, - თქვა თუ არა, მძივისმაგვარი თვალები გადმოქაჩა, ჩვენსკენ წამოვიდა, თანაც ხმალს ატრიალებდა. იმ წუთებში ავადმყოფის ხახაში მქონდა ხელი. ჯიქურ წამოსული წიწილას დანახვაზე მგელმა, უნებლიეთ, ისე მომიჭირა, გათავისუფლება ვერ შევძელი. არადა, ის ოხერი წიწილა ნამეტანი სახიფათოდ იქნევდა ხმალს. სხვა გზა არ იყო, მგელთან ერთად მაღლა-მაღლა ვხტებოდი, თან ფეხებით ვცდილობდი მის მოგერიებას.

შორიდან ვინმეს მთვრალი მოცეკვავეები ვეგონებოდით. რომ არაფერმა გასჭრა, ვეხვეწეთ, ვემუდარეთ, უბედურება არ დაეტრიალებინა. ვინ გისმინა? ერთ-ერთი შემოტევისას მაღლა ახტომა ვერ მოვახერხე და კუდი ძირში მომაჭრა. აბა?.. ვიღრიალე, მაგრამ რა ვიღრიალე. მგელიც ლამის გაგიჟდა... საკუთარი კუდი რომ გადაერჩინა, გაიქცა, მეც თან გამათრია. როგორც იქნა, მთაზე ავედით. სამშვიდობოს გასულმა მგელმა მოისაზრა და ხელი გამითავისუფლა. მარწუხი ფეხებთან მივუგდე. ჟანგიან რკინას დახედა და ახარხარდა.

- რა გაცინებს, რა გჭირს, მგელო? - ვკითხე წარბშეკრულმა.

- რა და ამ ვაიუშველებელში კბილის ტკივილმა ►

გამიარა, - თქვა კმაყოფილმა, გამხიარულებულმა. წიწილასგან სამარცხვინოდ გამოქცევას კი, ჩანდა, არაფრად აგდებდა.

– შენ კი გაგიარა კბილის ტკივილმა, მაგრამ მე კუდის ტკივილმა შემაწუხა, - ჩავილაპარაკე განაწყენებულმა.

– მაგას ჯავრობ? ისევ ამოგივა, - გამეხუმრა თავის ჭკუით.

ვიფიქრე, ახლოს აღარ გავეკარები ამ გაუტანელსმეთქი. და წასვლა გადავწყვიტე. ნაბიჯი წავდგი თუ არა, წიწილას მუქარა შემოგვესმა. მთიდან გადავიხედეთ და რას ვხედავთ - ბილიკს სირბილით არ მიუყვება ჩვენი სულთამხუთავი, ის ნახევარწიწილა, თუ იმის ნათესავი... ვაი, იმნაირ დღეში ჩავვარდი, კუდის ტკივილი ვიღას ახსოვდა. მოვძუძგეთ ორივემ. ასე, ქაქან-ქასქასით, რვა მთა გადწვიარეთ და მეცხრეზე გავჩერდით. იმის მერე აქა ვცხოვრობ მოცუცქნულ სოროში. სირცხვილით თავი ვერ გამომიყვია. ხომ იცით, უკუდო მელა ყველასგან აბუჩად აგდებული და გამასხარავებულია.

...ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა. იმ ხიფათიან დღეს წიწილასგან შეშინებული უამრავი მხეცი უკან გამოგვყვა. ეს ამბავი, ალბათ, გაგონილი გექნებათ. თუ არა და წიწილას სთხოვეთ და თავად მოგიყვებათ. თუმცა არა!.. დარწმუნებული ვარ, როგორც დიდბუნებოვან გმირს შეფერის, თავის თავზე სიტყვასაც არ დასძრავს. სჯობია, ისევ მამლაყინწას მოვუსმინოთ.

## მამლაყინწას დასტური

თანახმა ვარ, მელაკუდა მართალია. რახან წიწილას, როგორც გმირს, თავის თავზე ლაპარაკი არ უნდა, თავად მოვყვები ჩვენი გმირის იმდღევანდელი გმირობის ბოლო ამბებს.

ნაშუადღევი იყო. დაბეგვილ ქიშოიას დედლები სალბუნს ადებდნენ ბარკლებზე. ჭრელი დედალი ქანდარაზე იჯდა ჩაფიქრებული, ტყეში წასულ შვილზე თუ ფიქრობდა. მეც ცუდ გუნებაზე გახლდით, რადგან წიწილა მოსვლას აგვიანებდა. ცუდი ამბის გაფიქრებაც შიშით მზარავდა. ასეთ მდგომარეობაში მყოფს, ტყის თავზე წამომართული მთიდან საშინელი ღრიალი მომესმა. ქვეყანა ინგრევა და ესაა-მეთქი. საქათმიდან ყველანი გარეთ გამოვცვივდით. მთას ავაცქერდით და, ჰოი, საოცრებავ! - მგელი და კუდმოკვეთილი მელია კისრისტეხით გარბიან, უკან კი ხმალშემართული ეს ჩვენი ახლადგამოჩეკილი წიწილა არ მისდევს? გითხრათ სიმართლე, თვალებს არ ვუჯერებდი. დაფეთებული მტაცებლები ისე სწრაფად გარბოდნენ, წიწილა კარგა მანძილზე ჩამოიტოვეს. ამ დროს ქალიდან ტურამ ამოსძახა ნირწამხდარებს: - რა ხდება, ბიჭებო, რა უბედურება დაგატყდათ თავსაო. იმათ შიშის კანკალით უპასუხეს, - არიქა, გამოასწარით, ტყეში ახალი ზღაპრის ნახევარწიწილა გამოჩნდა, ყველას დახოცვას გვიპირებსო. ცოტაც შეისვენეს და თვალსაც მიეფარნენ.

დაფეთებულმა და მარტო დარჩენილმა ტურამ, სადღაც, ხევში ჩამალულ დათვს გადასძახა, უბედურება დაგვატყდა, თავს უშველეო. დათვმა ერთი დაიბურტყუნა და თავის მხრივ, ტახს გადასძახა, ტახმა - აფთარს. იმან კიდევ სხვას... მოკლედ, ორიოდ წუთში ჩვენი ტყე მხეცებისგან დაიცალა, ყველანი ცხრა მთის იქით გადაიკარგნენ. ამ ორომტრიალის დანახვამ გამაოგნა, სიზმარში მეგონა თავი. როცა გამოვერკვიე, ერთი ისეთი შევყივლე, ლამის ცა ჩამოიქცა. ქათმებიც მხიარულად კაკანებდნენ, ჭრელ დედალს, ვფიცავ ჩემს ღირსებას, სიხარულის ცრემლები ნაკადულივით ჩამოსდიოდა... კი, ნამდვილად ასე იყო ყველაფერი...

საღამოს, სახელოვანი წიწილა რომ დაბრუნდა, ზარზეიმით შევხვდით. თქვენ წარმოიდგინეთ, ტატაშა და ქიშოიაც კი ულოცავდნენ გამარჯვებულს. მე ერთი შევყივლე და დედლებს მივუბრუნდი:

– სმენა იყოს და გაგონება! დღეიდან ამ საქათმის ბატონ-პატრონი ეს წიწილა, სახელად ქაიხოსრო, დამიდგენია. დიახ, დიახ, ქაიხოსრო. სულ მალე მაგის ნათლიობას ვკისრულობ და ამ სახელს დავარქმევ. ახლა კი, როგორც სახელოვან გმირს შეეფერება, ჩემს საბატონო ქანდარაზე შემოჯდომას ვთხოვ. დღეიდან ეს ადგილი მას ეკუთვნის.

წიწილამ, - ამის ღირსი არა ვარ, ბატონოო, - თავი დახარა, მაგრამ მე მაინც ჩემი გავიტანე. ძალით დავსვი საბატონო ქანდარაზე.

ის დღე იყო და დაიწყო აღორძინება ჩემმა დალოცვილმა ჯიშმა. გამრავლდა, მაგრამ რა გამრავლდა ჩემი ნაგრამი. ქაიხოსრომ აქაც ისახელა თავი, საარაკო ვაჟკაცობა გამოიჩინა. სად აღარ ისმოდა ჩვენს საბუდარებში დაჩეკილი წიწილების წივწივი და წიაქი, მოედვნენ ტყესა და მინდორს. დილით რომ დაგეწყო იმათი დათვლა, დაღამებამდე ვერ მოამთავრებდი. ქაიხოსროს შიშით, ჩემი ადრინდელი ფალავნობისა არ იყოს, ვერც ქორი და ძერა, ვერც ტურა და მელა გამოჩენას ვეღარ ბედავდნენ. თვითონ ჯალაბობაში დიდი სიყვარული და სიამტკბილობა ეპოვნათ, ერთმანეთს სთავაზობდნენ, არა შენ მიირთვი და არა შენო. ნანატრი დრო დაუდგათ.

ჩემი პირდაპირი და ჩემგან ხელდასმული მემკვიდრე ქაიხოსრო თავიდანვე საგანგებოდ გავაფრთხილე: წიწილები კანისა და ბუმბულის ფერით არასოდეს განსხვავო, შავი იქნება, ჭრელი თუ თეთრი, იცოდე, ყველა ღვთის გაჩენილია და ერთნაირად მოესიყვარულე, ყველა თანაბრად დააპურე. დამიჯერა. ამიტომაცაა, თითით საჩვენებელი და საამაყო რომ გახდა ჩვენი საქათმეთი.

საღამო ხანს, ძილის წინ, ვიდრე დასაბუდრებლად განაწილდებოდნენ, წიწილებს დიდი მუხის ძირში მოვუყრი ხოლმე თავს და მათი მამის საგმირო თავგადასავლებს ვუყვები. ნეტავ შეგახედათ, როგორ სულგანაბული მისმენენ. ამ დროს მამაპაპური ხმლით წელდამშვენებული ქაიხოსრო ჩვენს თვალუწვდენელ ეზოს გარშემო უვლის და ყოველ ხესა და ბუჩქს ზვერავს, რათა რომელიმე წუნკმა მტაცებელმა საქათმეთს მყუდროება არ დაურღვიოს, კბილი არ გაჰკრას ჩვენს მონაგარს. ჩემი ღირსეული მემკვიდრე ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა, წინ მთელი ცხოვრება აქვს და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხიფათსა და ფათერაკს შეახვედრებს განგება. იოლად რომ ვერავინ დაჩაგრავს, ეს ნაკვერჩხალივით წითელ ბიბილოსა და ცერისსიმსხო დეზებზედაც ეტყობა. გმირია ნამდვილი, მაგას ენაცვალოს მამამისი! აწი სიკვდილისაც აღარ მეშინია!



არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## შოთა იათაშვილი



### ფხიზელის სიმღერა

ვაჰმე, დამეწყო ფაზა უარყო,
უნდა დავღონდე, უნდა უარვყო
კვამლი, სარდაფი და ვხვლიპო რძენი,
და შევეცადო, რომ გავხდე ბრძენი.

მაგრამ რა ჩირად მიღირს ეგ კასრი
დიოგენური, თუ ვიცი - ჩავსვრი
გეგმას დასახულს და ისევ ბრიყვი,
ცარიელ კასრში, ვით ცირკის ციყვი

დაუსრულებლივ ვიბრუნებ მშრალი
ყელით და სველი კალმისტრის მყრალი
მორფოლოგიით, რითმით, სინტაქსით -
აი, იქით კი სინტია ტაქსით

გაქროლდება და დამტოვებს მარტოს,
ტანჯულს და შეშლილს - ანტონენ არტოს
ტყუპისცალს, აჩრდილს... ვაჰ, ნერვნო, ნერვნო,
ნეტა ასეთი ჩემში რა გევნოთ,

რომ ვერ ვამთავრებ ფაზას უარყოს
და უილაჯოდ ვცდილობ, უარვყო
კვამლი, სარდაფი და ვხვლიპო რძენი,
და მოსაფხანი ვეძიო ენის.

### სხვა ვექტორი

ვერ შეგიყვარებ -
უკვე დიდი ხანი გავიდა
მას შემდეგ, რაც
გითხარი: "ცა!"
და დავიხარე...

აღარ მახსოვს,
რა ავიღე მიწიდან მაშინ:
შენი მარაო,
ჭრელი კენჭი,
მონეტა თუ
სულაც სხვა რამე,
მაგრამ რატომღაც,
რაკი მაშინ
გითხარი "ცა",
ვერ შეგიყვარებ...

ასე მგონია,
საუკუნე მიილია,
რაც დაცვენილ
ნივთებს ვკრეფ და
უკან გიბრუნებ -
თმის სამაგრებს,
ცხვირსახოცებს
და წამწამებს
"წერილი თუ სიხარული"-სთვის -
და მილიონი "მადლობა" მაინც
მოვისმინე ალბათ უკვე
ცვალებადი ობერტონებით,
მაგრამ იცოდე,
საბოლოოდ მივხვდი დღეს, რომ
ვერ შეგიყვარებ...

"ცა!" - გითხარი
იმ შორეულ გუშინდელ დღეს
და მოვიღუნე,
რათა შენგან გადმოყრილი
ბიჟუტერია და სიტყვები
მეგროვებინა...
"ცა!" - გითხარი
სულ ცოტათი უნიათოდ
და უნაკლო მონდომებით
შევუდექი დაკისრებულ მოვალეობას...

რამ მათქმევინა
მაინცდამაინც იმ მომენტში
ეს მოკლე სიტყვა! -
მეთქვა "ჩიტი",
მეთქვა "ვარდი",
მეთქვა "სიზმარი",
მაშინ ხომ არ მოხდებოდა,
რაც მოხდა, ის -
ვიქნებოდი წახრილი და
ძირს ხელების მოფათურე,
მაგრამ ზურგზე
ზეცა აღარ მექნებოდა
აკიდებული...

ხოლო ახლა,
წელში როცა ვიმართები
და თვალიდან გადმოვარდნილ
ლურჯ გუგას გაწვდი,
რომელშიაც ჩემი ძველი
მოკუზული სილუეტი ჩასახლებულა,
საბოლოოდ აგბუტბუტებ ვერსიყვარულს,
რადგან ერთხელ, ერთმარცვლიან,
მოკლე სიტყვა
"ცა"-ს ვამბობდი,
მაგრამ მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვახერხე იმდენი, რომ
ზუსტად მაშინ -
თქმის პროცესში -
დავიხარე ძირს დაყრილი
ნივთებისაკენ...

## შემოდგომა

ზამთრის გრაფიკასა და ზაფხულის ფერწერას შორის
შავი წვერი მაქვს გასაპარსი,
შენ კი ყვითელი თმა - მოსაკვეცი.
სხვა გზა არაა -
გაზაფხულის ფორმატზე უნდა შევედლაბნოთ ერთმანეთს -
გამოქცეულები -
მე - თოვლისა და ნავთის შავ-თეთრი ძაგძაგიდან
და შენ - ვარდთა და მზესუმზირათა
ჭრელი ხვატიდან.

დღეს,
გაზაფხულის ამ გადამწყვეტ დღეს,
არ ვიცი,
რა გამოვა აქედან,
მაგრამ მახსოვს -
ამ ყველაფრის მიღმა
კიდევ ერთი წელიწადის დროა,
რომელმაც არტ-კრიტიკოსივით უნდა შეაფასოს
ჩემი გაპარსული წვერისა და
შენი მოკვეცილი თმის სინთეზით შექმნილი
ეს კონცეპტუალური ნამუშევარი.

* * *

რა გააჩერებს ნისლში შეცურებულ სახეებს?
ჩვენი ხელების შლაგბაუმი,
ან ცა, ყველაფრის გამჩერებელი.
არასდროს მოძრაობს ცაზე მზე,
ან მკვდარი ადამიანის სულის კონტური,
მაგრამ რატომ?
არასდროს ჩერდება აღმოსავლეთის ვარსკვლავი,
და ისევ რატომ?
უფრო უკუღმაა ყველაფერი,
ვიდრე გვგონია.
ნისლიც ძალიან მკაფიოა და
მასში შეცურებული სახეებიც
ვერ ჯობნიან სისწრაფეში ქარონთა ნავებს.
მე გავჩერდი,
ცა გაჩერდა,
ნისლიანი სახეებიც გაჩერდნენ,
რათა რაღაც ამოძრავებულიყო.
მას დაინახავ,
თუ ჩემს ხორხში ჩაიჭყიტები,
როგორც ძველისძველ ჭაში.
იქ მოძრავად აირეკლება
ცას მიყინული მზე.
იქ მოძრავად აირეკლება
ცას მიჭედებული ჩიტი.
და მაინც:
ჩემი ხელების შლაგბაუმია საჭირო,
რათა შეჩერდეს
ეს თავბრუდამხვევი უძრაობა.
და მე მაქვს ორი ხელი,
გრძელი, გრძელი -
წინ გასაშვერად და შენს დასატყვევებლად,
ნისლში ამოვლებულო
ჩემო ყველაზე სხარტო სილუეტო -
სიყვარულო,
ცის სიზანტეს არ შეპუებულო.

* * *

ჩემო ცარიელო ცაო,
როგორ არ მინდა შეგადარო
ჩემს ცარიელ მაცივარს,
მაგრამ თუ შეგადარებ,
ნუ გამინაწყენდები და მიაწერე ეს
ჩემი მხატვრული აზროვნების უმწიფარობას
და მშიერ კუჭთან შეწყვილებულ
მშიერ სულს,
რომელსაც გადაავიწყდა,
რა არის სავსე მაცივარი და სავსე ზეცა.

ჩემო ცარიელო ფურცელო,
როგორ არ მინდა შეგადარო
ჩემს ცარიელ მკერდს,
მაგრამ თუ შეგადარებ,
ნუ შეივსები სტერილური ფრაზებით და
შენს სიბრტყეზე მელნისფერი თმის ბოლოთი
წააწერინე ჩემს უსაშველო შეყვარებულს
ის სიტყვები, ამ მკერდზე თავის
არდადების გამო რომ ჩარჩა
პირში, ჩაუდნა და ჩაეკარგა...

* * *

იმდენხანს ვიყურებოდი ფანჯარაში,
მართკუთხედი სამყაროს ყველაზე
სრულყოფილ ფორმად მომეჩვენა და
ფოთლების კონტურების ჩასწორებაც კი დავიწყე,
მაგრამ... აი, გამოჩნდა ჩიტი და მას
ვეღარ ვახლე ხელი.

* * *

მე ჩემი შვილი გამოვიგონე,
თითქმის როგორც ველოსიპედი...

მაგრამ როცა ვიგონებდი,
თავი მეგონა ის შიშველი არქიმედე,
შუა ქუჩაში შეშლილივით რომ გარბოდა
და "ევრიკა!"-ს გაჰყვიროდა
სუყველას თვალწინ...

* * *

თხელი ჯადო ცის
და ჩემი ფიქრების ჯვალო
სად უნდა შენივთდეს

წებო სად დაისხას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად სად
დავმაგრდე
მე?

### სიყვარულის პროკრუსტე

ჯერ ქალმა დაიბანა ტანი,
მერე კაცმა.
გაემართნენ ჩემი სარეცელისაკენ და
ჟანგბადის ბალიშებზე დადეს
სიყვარულზე მოფიქრალი პროფილები.
დავხედე მათ, შევაფასე და
გავუწელე ქალს ცოტათი სიზმარი,
კაცს კი ცხადი დავუმოკლე ოდნავ.

* * *

კაცი გამოვიდა ქუჩაში - დაწვა - თქვა:
"აჰა - გადამიარონ - ადამიანებმა - მანქანებმა - ქარებმა -
წელიწადებმა!"
გამოვედი ქუჩაში მეც - დავდექი სატრფოს გვერდით -
ვეხებოდი მარჯვენა ფეხსაცმლის ჭვინტით
კაცის წვრილ - გაფითრებულ კისერს.
"დამაბიჯე - დამაბიჯე - ყელზე!" - მიყვიროდა იგი -
მიყვიროდა - მიყვიროდა - თან კაკლავდა:
"აჰა - გადამიარონ - ღმერთებმა - ჭიანჭველებმა - სიზმრებმა -
კისერზე - ახლავე - სულმთლად!"
მაგრამ: "აქში-აქში-აქში-აქში!" -
იძახდა ჩემი გაბახებული სატრფო -
უფრთხობდა კაცს მოახლოებულ კარეტებს -
ტროლეიბუსებს - ლანდებს -
"გადავარჩინოთ - ეს - ადამიანი!" - მეუბნებოდა მე და
შეშფოთებით მიყურებდა მარჯვენა - მარჯვენა ფეხზე.
"აჰა - აქა - ვარ - გადამიარონ - კენტებმა - წყვილებმა -
ლეგიონებმა -
თუკი - უყვართ - ერთმანეთი - სამყარო - მე!" -
გაჰყვიროდა ქუჩაში გაწოლილი კაცი -
გაჰყვიროდა - გაჰყვიროდა - გაჰყვიროდა - ჯერ: პირით -
მერე: ტვინით - დანთხეულით -
მერე: მუქი ლაქით - ასფალტზე -
მერე: აღარაფრით -
მერე: აღარაფრით -
მაგრამ გაჰყვიროდა კაცი მაინც -
კაცი.






ადოლფო ბიოი კასარესი

# სასწაულები არ მეორდება



სადგურ კონსტიტუსიონზე, საგაზეთო კიოსკთან (იმხანად იქ რიგიანი წიგნის ყიდვა შეიძლებოდა გზაში თავშესაქცევად) ჩემს ყოფილ მეგობარს, გრევეს შევეჩეხე. მარტოხელა კაცი იყო, უცოლშვილო. მკითხა, აქ რას აკეთებო.

- ლას ფლორესში მივემგზავრები. მაგრამ უაზრო შემთხვევის გამო მატარებლის გასვლამდე ხუთი საათით ადრე მოვხვდი აქ.

- მეც მაგ დღეში ვარ, - თქვა მან, - კორონელ პრინგლესში ვაპირებ გამგზავრებას, მაგრამ უაზრო შემთხვევამ ორმოცი წუთით ადრე მომიყვანა სადგურზე. კაფეში ხომ არ შევსულიყავით?

კაფეში შევედით. რაღაც შევუკვეთეთ და მე ვთქვი:

- შემიმჩნევია, ცხოვრებაში ერთ პერიოდს მეორე ენაცვლება. დღეს ჩვენ ფუჭი დამთხვევების პერიოდში ვართ.

- ფუჭი დამთხვევების? - ჩამეკითხა გრევე.

- ფუჭი იმ გაგებით, - მივუგე სწრაფად, რათა არაფერი სწყენოდა, - რომ ეს დამთხვევები არაფერს მოასწავებენ.

- ამაში დარწმუნებული არა ვარ.

- იმაში, რომ არაფერს მოასწავებენ. არასოდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პაუზის შემდეგ წარმოთქმული ეს "არასოდეს" განმარტებას ჰგავდა. უფრო სწორად - ბუნდოვან განმარტებას, რომელიც ჩემს კიდევ ერთ შეკითხვას და გრევეს საპასუხო განმარტებას ითვალისწინებდა. ვითარების ასეთმა სირთულემ შემაშფოთა, რადგან მინდოდა მხოლოდ ერთ რამეში დამერწმუნებინა მეგობარი - როდესაც დღევანდელ დამთხვევას ფუჭი ვუწოდე, სულაც არ მიგულისხმია ჩვენი შეხვედრა - მხოლოდ ამიტომ მოვუყევი ძველი ამბავი სომერსეტ მოემის გაორებაზე. შესაძლოა, ეს ამბავი იმიტომაც მოვუყევი, რომ მუდამ იმედი მაქვს, იქნებ ოდესმე მაინც რომელიმე თანამოსაუბრემ მისთვის ლიტერატურული ფორმა მომაძებნინოს. და შესაძლოა, იმიტომაც, რომ მისი გამეორება, უბრალოდ, ჩვეულებად მექცა.

- ეს ამბავი ასე მოხდა, - დავიწყე მე, - "კუნარდის" კომპანიის გემით ნიუ-იორკიდან საუთჰემპტონში მივცურავდი. გემის რესტორანში ჩემს მაგიდასთან აღმოჩნდა მგზავთაგან ერთადერთი ჩვენი თანამემამულე - ენერგიული, ძლიერი ხასიათის ხანდაზმული სენიორა, რომელსაც მეტად დავუმეგობრდი.

მახსოვს, იმ საღამოს მგზავრთა სიები ჩამოგვირიგეს. ყველამ თავისი გვარის ძებნა დაიწყო. აღელვებული - თითქოს და იმ სიიდან გამორჩენა უბილეთო მგზავრად მაქცევდა - ვერა და ვერ ვპოულობდი სამ მაგიურ სიტყვას.

"დაწყნარდი! - შევუძახე საკუთარ თავს, - ყველაფერი გაირკვევა!"

უეცრად გონება გამინათდა: ეტყობა ამ ბრიყვებმა "ბ"-ზე კი არა "კ"-ზე ჩააკვეტეს ჩემი გვარი. და მართლაც, სიაში ფიგურირებდა ვინმე მისტერ კესარესი, ადოლფო ბ. რომელშიც მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ საკუთარი თავი ამოვიცანი. ჩემი მეგობარი ქალბატონი ამგვარ სიძნელეს გადაურჩა, თუმცა მაინც კარგა ხანს ჩაჰკირკიტებდა სიას, და ბოლოს დიდის ამბით მიმითითა უშეცდომოდ დაბეჭდილ თავის გვარზე. მაგრამ ჩემი ყურადღება მიიპყრო სიაში მის წინ დასმულმა გვარმა და ხმამაღლა წავიკითხე: "მისტერ მოემი, უილიამ სომერსეტ". ჩემი შეცდომის გასასწორებლად სენიორამ ხმას აუწია და უფრო მკაფიოდ წაიკითხა ისევ საკუთარი გვარი.

- არა, სენიორა. თქვენი გვარი ხომ უკვე ვიცი, - მივუგე, - უბრალოდ გამიკვირდა, სიაში ცნობილ რომანისტს, სომერსეტ მოემს რომ წავაწყდი.

ქალს თვალები გაუბრწყინდა და მივხვდი - ეს სახელი მისთვის უცხო არ იყო. ჩვენი ახლანდელი ქალიშვილები რას შეედრებიან ძველი თაობის არგენტინელ ქალბატონებს. სადღა აქვთ იმათნაირი კულტურა და სიდარბაისლე:

- სომერსეტ მოემი! - გაიმეორა სენიორამ, - აჰ, რა თქმა უნდა! მისი ერთი რომანი წაკითხული მაქვს. მოქმედება წყნარ ოკეანეში ხდება. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მუდამ მხიბლავდა ეს აღმოსავლური თავგადასავლები.

მერე მკითხა, სახით თუ ვიცნობდი მოემს და ამჟამად აქ, რესტორანში თუ იმყოფებოდა.

- დიახ. მინახავს მისი სურათები, - მოვუგე, - მაგრამ ახლა აქ არ უნდა იყოს.

ალბათ ძალიან გამიმართლა, მოემი რესტორანში რომ არ აღმოჩნდა, რადგან სენიორამ განაცხადა:

- გამოჩნდება თუ არა, მივალ და ვეტყვი, არგენტინელი მწერალი უნდა გაგაცნოთ-მეთქი. აბა რა გგონიათ, - ვეტყვი, რომ დიდი მწერალი ხართ.

- რას ბრძანებთ, - წავიბუტბუტე.

- უბედურება ის არის, - მომიჭრა მან, - რომ ჩვენ, არგენტინელები, გადამეტებულ თავმდაბლობას ვიჩენთ!

- თავმდაბლობაში არ არის საქმე. უბრალოდ არ მინდა ისე გამოგვივიდეს, თითქოს ძალათი ვეტმასნებით.

- აი, ხომ ხედავთ! - ბავშვებს რომ მიმართავენ, იმგვარი ტონით მითხრა სენიორამ - მოჩვენებითი თავმდაბლობა და სიამაყე, - მუდამ ამ წრეზე ვტრიალებთ. ეს არის არგენტინელთა სენი.



მეორე დღეს, სენიორას განზრახვით შეშინებული, ყველნაირად ვერიდებოდი მასთან შეხვედრას. მაგრამ სიფრთხილე ზედმეტი იყო - სომერსეტ მოემი არსად გამოჩნდა. თითქოს კაიუტაში გამოკეტილი მოგზაურობდა.

საუთჰემპტონში ჩასვლის წინადღეს ჩემს თანამემამულეს გემის საპოლიციო პუნქტში და მაღაზიაში წავყევი. ბერიქალი არ სცნობდა დაღლას. დავქროდით ზევით-ქვევით კიბეებზე, ლიფტის უარმყოფელნი. შუაგემბანზე, მიყრუებულ კუთხეში, პორტში შესვლისას ვესტიბულად რომ უნდა ქცეულიყო, და სიცოცხლით აზრიალებულიყო, შემდეგი სურათი ვიხილეთ: ტყავის სავარძელში, ბრიტანეთის სამეფო სახლის მცირეწლოვან შთამომავალთა ფოტოპორტრეტის ქვეშ განმარტოებით მიმჯდარიყო ჩაფიქრებული მოხუცი, რომელიც ისე შეფუთნულიყო, როგორც ფილეას ფოგი მსოფლიოს გარშემო ოთხმოცდღიანი მოგზაურობის წინადღეს. წამში ვიცანი სომერსეტ მოემი. ეტყობა მოსალოდნელი გაცნობა ჩემს შეგნებაში განურჩეველი და შეუძლებელიც კი გამხდარიყო (მართლაც, უკვე მერამდენედ გადაიდო). ასეა თუ ისე, დავიჩურჩულე, ან იქნებ წამოვიყვირე კიდეც, რადგან სენიორას ყურთ აკლდა - "ის არის!"

სჯობდა კრინტი არ დამეძრა. ჩემი მეგობარი ქალი დროშასავით მოფრიალე სამგზავრო ლაბადით, წამსვე შეტევაზე გადავიდა. "ჯერ კიდევ ცოცხლობს მხედრული სული ჩვენი ძველი მეომრებისა, რომლებიც მაიპუსთან, ნავაროსთან და ლა-ვერდესთან იბრძოდნენ", - გავიფიქრე მე.

სენიორა არც დაფიქრებულა, ისე უთავბოლოდ მიაყარა თავისი ჩიქორთული ინგლისურით:

- ჩვენ თქვენი გაცნობა გვინდოდა, ეს ჩვენთვის დიდი პატივი იქნება, სენიორი არგენტინელი მწერალი გახლავთ, ორივენი აღტაცებულნი ვართ თქვენით.

ჩაფიქრებული მოხუცი გამოერკვა.

- ნება მიბოძეთ, ვიკითხო, რატომ ხართ ჩემით აღტაცებული? - იკითხა დარბაისლური თავაზიანობით და მისთვის ჩვეული მედიდურობით შეგვათვალიერა.

მუდამ მოუსვენარმა და დაეჭვებულმა სენიორამ პატრიოტული სიტყვით მიმართა მოემს: - რომ არგენტინელი სულაც არ არის ფრთებგარჭობილი ინდიელი, თუმცა მისი გარეგნობა ამას არ ადასტურებს და რომ რომანები ბუენოს აირესამდეც აღწევს... თავისი გამოსვლა ასე და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამთავრა:

- ხომ დამეთანხმებით, მისტერ სომერსეტ, რომ აღმოსავლელი მომხიბვლელ საიდუმლოს ფარავს?- პატივმოყვარეობამ მიბიძგა, საუბარში ჩავრეულიყავი.

"Cakes and lale" საუცხოო რომანია, რიხიანად წამოვიწყე, - ასევე აღტაცებული ვარ თქვენი ბოლოდროინდელი ნაწარმოებით "A Writer□s Notebook".

ინგლისელმა რაღაც წაიდუდუნა და იძულებული გავხდი, მეთხოვა ნათქვამი გაემეორეთ-მეთქი (თითქოს ჩემი თანამემამულეს სიყრუე გადმომდებოდეს). მაშინ მოხუცი სენიორას მიუბრუნდა და ქედმაღლურად განმარტა: - თქვენ ვილაცაში გეშლებით, მე არავითარი რომანები არ დამიწერია, გადამდგარი პოლკოვნიკი ვარ...

- გვასულელებს? - გადმომილაპარაკა ჩემმა მეგობარმა ქალმა. ორივენი აღშფოთებულები ვიყავით. მე ცივად წარმოვთქვი სათანადო საბოდიშო სიტყვები და ჩვენ იქაურობას გავეცალეთ.

- ჰმ, პოლკოვნიკს დამიხედეთ! - წამოიძახა სენიორამ, - რაღას არ მოიგონებენ, მაგრამ მე ვერ გამაცურებს, ჩემი გვარი ჯერ კიდევ განმათავისუფლებელი ომის დროიდან იღებს სათავეს.

- ცდებით, ჩვენ გასულელებას სულაც არ აპირებდა, პირიქით, - მივუგე მისი უაზრო სიტყვებით გაღიზიანებულმა.

მეორე დილით შერბურის რეიდზე ბაქნიდან ვუცქეროდით, როგორ გადადიოდნენ მგზავრები საბუქსირო კატარღაზე, რომელსაც ისინი ნაპირზე უნდა გადაეყვანა. სენიორამ ქვემოთ ბუქსირის გემბანისკენ მიმითითა და თქვა:

- აი ისიც!

მე კი მოპირდაპირე გემბანზე მივანიშნე: - არა, მოემი იქ არის...

- აქაც არის და იქაც, - ნაღვლიანად გაიღიმა სენიორამ.

და მართლაც, წყლიდან თითქოს განსაცვიფრებელი მირაჟი ამოიმართაო, საბუქსირო გემზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორი მოემი დავინახეთ.

- ორივე ერთნაირია, - დაბნეულად წამოვიძახე.

- განსხვავებულად აცვიათ, - შემისწორა სენიორამ.

ჩემი ლაპარაკის დროს გრევეს სიცარიელისთვის მიეპყრო მზერა და წააგავდა პირუთვნელ მოსამართლეს, რომლის განაჩენზე გავლენას ვერ მოახდენს ვერავითარი მტკიცება თუ პირადი სიმპათიები. მისი დუმილი ერთობ ხანგრძლივი მეჩვენა და ვთქვი! - დიახ, ასე იყო, სულ ეს არის...

- მართალი ხარ, დამეთანხმა ბოლოს და ბოლოს, - ნამდვილად ფუჭი დამთხვევაა. მაგრამ ეგ ამბავი ოდნავადაც არ ჰფენს შუქს ჩემს შემთხვევას. მხოლოდ იმას თუ ამტკიცებს, რომ არის მომენტები, როდესაც ყველაფერი შესაძლებელია.

არ ვიცოდი, რა მეპასუხა, - ალბათ, ასეა, - დავეთანხმე ბოლოს.

- ეს მომენტები განუმეორებელია, - განაგრძო გრევემ, - რადგან იმწამსვე წარსულს ერწყმიან, მაგრამ რეალურნი არიან და წარმოქმნიან განსაკუთრებულ, ამოუხსნელ რეალობას, რომელიც არ ექვემდებარება ბუნების კანონებს.

- შენ მითხარი, "ჩემი შემთხვევაო" - შევაწყვეტინე მსჯელობა.

- დიახ, ერთი ამბავი გადამხდა თავს, შენი საუბრისას რაღაც იმედი აღმეძრა, - განმიმარტა გრევემ.

- გული ხომ არ გატკინე, რამე საიდუმლოს ამოხსნას ხომ არ ელოდი?

- არ ვიცი, რას ველოდი... ეგება ამოსაცნობიც არაფერია, უცნაურია, მაგრამ ძალზე ესადაგება ღრმა რწმენას, უაზრო გულდაჯერებას, რასაც ყოველი ჩვენგანი სულის სიღრმეში გრძნობს. კარმენ სილვეირა თუ გახსოვს?

- რა თქმა უნდა, სიცოცხლით სავსე იყო, საბრალო, მე მას...

მინდოდა მეთქვა, კარმენს ლუიზა ბრუკეს ვამსგავსებდი-მეთქი. ბრუკე კინომსახიობი იყო, ყმაწვილკაცობაში ვგიჟდებოდი მასზე. თვალწინ დამიდგა ორივე ქალის ოვალური სახე, თეთრი კანი, მუქი თვალები, ამავე ფერის თმა და საფეთქლებთან პაწია კულულები.

- შენ სიტყვა არ დაგიმთავრებია, რაღაცას მეუბნებოდი, - მითხრა გრევემ რაღაცნაირი თრთოლვით.

- უბრალოდ მინდოდა მეთქვა, რომ საოცრად მომხიბლავი და ახალგაზრდა იყო.

- მოხარული ვარ, რომ მოგწონდა, - თქვა გრევემ და სწრაფად დასძინა:

- მკრეხელობაში ნუ ჩამომართმევ, კარმენს ვუყვარდი, მეც მიყვარდა, მაგრამ ქვეშეცნეულად. რა ბრიყვი ვიყავი! ერთს კი ვაცნობიერებდი, - მასთან არასოდეს მწყინდებოდა. ქალების ამბავი ხომ იცი. კარმენი მუდამ პოულობდა, უფრო სწორად, გამოძებნიდა ხოლმე საშუალებას შინიდან თავი დაეღწია და სადმე გავმგზავრებულიყავით, თუმცა ჩვენს გარემოებაში არ ივარგებდა, ვინმეს ერთად ვენახეთ.

- მარადიული გარემოებები! ყოველ ქალს შეიძლება შეექმნას ისეთი გარემოება, რომელიც მისგან სიფრთხილეს მოითხოვს. ან, უკეთ რომ ვთქვა - რისკს.

მე ხმამაღლა გავიცინე, საკუთარმა ეპიგრამამ გამამხნევა, გრევეს კი, როგორც ეტყობოდა, ნაღველი შემოაწვა.

- ამას ვერ ვითვალისწინებდი, ეტყობა, სხვებზე უფრო გულუბრყვილო ვარ, კარმენის ოჯახურ პირობებს ანგარიშს ვუწევდი. ბევრჯერ გადავათქმევინე ჩანაფიქრი, მაგრამ ზოგჯერ ნებაზე მივყვებოდი და ეს სანანებლად არასოდეს დამრჩენია. ამ ქალს საოცრად უყვარდა ცხოვრება, სადაც უნდა გავყოლოდი, რესტორანში, ნავით სასეირნოდ თუ სასტუმროში უიკ-ენდების დროს, წინდაწინ ვგრძნობდით, რომ უდიდესი სიამოვნება გველოდა. ამ სიამოვნებათა ულევი მარაგი გვქონდა და, სურვილისამებრ, მუდამ ვპოულობდით. ერთ-ერთი ამგვარი გასხლტომა მარ-დელ-პლატაში მოვაწყვეთ: სწორედ იმ ხანებში მანქანა გავყიდე და გამგზავრება მატარებლით მოგვიხდა. ეს ერთგვარ რისკთან იყო დაკავშირებული. ვინ იცის, ამხელა გზაზე ვის გადავეყრებოდით. ვაგონში ჩვენს პირდაპირ ახალგაზრდა ქალი იჯდა, როგორც შემდგომ გაირკვა, - კბილის ექიმი. გაუჩერებლად ლაპარაკობდა. კარმენმა ხმადაბლა გამაფრთხილა, თავი შეიკავე, არ გამოელაპარაკო, თორემ წუთიერი სისუსტე და ხუთსაათიანი მაღალფარდოვანი საუბარი არ აგვცდებაო.

იგი მალე დარწმუნდა, რომ მთელ მატარებელში ერთადერთი სახიფათო არსება ჩვენს პირდაპირ იჯდა.

- სახიფათო სულაც არ არის, - მივუგე, - ცოტა მოსაწყენი და თავმომაბეზრებელია, ეს არის და ეს. ჩვენ ხომ არ ვიცით, რას უნდა ველოდოთ სხვა ვაგონებში.

- იქ არავინ იქნება, - დამარწმუნა კარმენმა, - იგი გულისხმობდა, ჩვენი ნაცნობები სხვაგან არ იქნებიანო.

- რომელ სასტუმროში გავჩერდეთ? - ვკითხე.

ნომრის დაჯავშნა ვერ მოვასწარი, გამგზავრება დღისით, სადილობის ხანს გადავწყვიტეთ, ორივენი შინისკენ გავეშურეთ ჩემოდნების წამოსაღებად და დავთქვით, რომ ერთმანეთს ხუთ საათზე, სადგურ კონ-



სტიტუსიონზე შევხვდებოდით. ბოლო წუთს კარმენს გაახსენდა, რომ შაბათს და კვირას საქველმოქმედო სალამოზე უნდა გამოსულიყო. სასწრაფოდ ტელეფონისკენ გავქანდით. კარმენმა შეძლო მოლაპარაკება და ბოდიშის მოხდა. შემდეგ მითხრა: "ძალიან გამიმართლა, ვშიშობდი, რომ დამელაპარაკებოდა თავმჯდომარე, მკაცრი და რესპექტაბელური ბებრუხანა, მას მთელი ბუენოს-აირესი იცნობს, მაგრამ ტელეფონთან მისი მდივანი, სასიამოვნო ქალბატონი მოვიდა, ვუთხარი ავად ვარ, წამოდგომა არ შემიძლია-მეთქი. აბა, თუ გამოიცნობ რა მითხრა? ბებრუხანაც ავად გახდა და ჩაწვაო. ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზეა".

ჩემს კითხვაზე, რომელ სასტუმროს აირჩევ-მეთქი, მიპასუხა: - "პროვინსიალზე" რა აზრისა ხარ?

- ხომ არ შეიშალე, - მივუგე პასუხად, - უფრო მყუდრო ადგილი უნდა მოვძებნოთ.

ახლა მგონია, შეშლილი ის კი არა, მე ვიყავი. სიფრთხილის გამო, უბადრუკი მანიაკივით მუდამ რომ ვბორკავდი მის სურვილებს და მისწრაფებებს.

- რა მოსაწყენია ეს ყველაფერი, - მითხრა პასუხად კარმენმა, - შენ მგონი ლეონის სასტუმრო ახსენე, გათბობა და კარგი სამზარეულო აქვთო.

- ყველანი იქ ჩერდებიან.

- ამ სიცივეში იმ სასტუმროში ვინ წავა?

დავდუმდი. ასე მეგონა, მაწავლებელი ვიყავი და მოწაფეს ვტუქსავდი; ისიც ვიცოდი, რომ ამ ქალის სიყვარული დიდი ფუფუნება იყო. უკვე მაშინვე მხიბლავდა მისი თავდაჭერილობა.

ზემოაღწერილი საუბარი ჩვენი გასავლელი გზის პირველ მონაკვეთში ხდებოდა. ნუ მკითხავ, რა იყო შემდეგ, მაგრამ გეტყვი, რომ მარ-დელ-პლატასთან მიახლოებისას ჩვენმა თანამგზავრმა ქალმა გაბედულება მოიკრიბა და გვირჩია, ოტელ "კეკენში" გავჩერებულიყავით, სადაც, ჩვეულებრივ, თვითონ ჩერდებოდა ხოლმე და გვაცნობა სპეციალისტი ვარო (უბრალოდ თქვა, სპეციალისტიო, თითქოს ეს ერთი სიტყვა ყველაფერს განსაზღვრავდა). ოდნავ მოგვიანებით კი დააზუსტა - "სტომატოლოგიო". ამას მოჰყვა ისეთი სცენა, სიზმრადაც რომ არ მომელანდებოდა. საკმარისია გავიხსენო, როგორ მოიჭრა ჩვენთან, პირი დაგვაღებინა და საფუძვლიანად გამოგვიკვლია. კარმენმა ღირსეულად გაუძლო გამოცდას, მე კი, თუმცა მძიმე ბრალდებები არ ამკიდეს, მაგრამ კარგა მაგრად შემარცხვინეს. ჩემმა მავედრებელმა მზერამ ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა და იძულებული გავხდი, მეყვირა - კარგი, რა საჭიროა ეს სიზუსტე და წვრილმანები-მეთქი.

მივხვდი, საკადრისი მომეზღო. ქალი ხომ ჩვენს საუბარში ადრევე ჩაერთო, ამასთან, ამაში მეც წავეხმარე, მამაკაცს ახასიათებს მანკიერი სულმოკლეობა - უცხოთა გულის მოგება საყვარელი ადამიანის განაწყენების ფასად.

მატარებლიდან გადმოსულები ღამის ცივ წყვდიადში ჩავყურყუმელავდით. ღია ცის ქვეშ, ტაქსის გაჩერებასთან, გრძელი რიგი იყო გაჭიმული. ჩვენ დანტისტ ქალთან ერთად ვიდექით. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, თავის ოტელში წავეყვანეთ. მე დავემორჩილე და მზად ვიყავი, კარმენიც დამეყოლიებინა. უეცრად ხელზე ხელის მოჭერა ვიგრძენი და ბრძანება შემომესმა, წავედით!

კარმენი წინ მექაჩებოდა. მალე ორივენი ლუროს გამზირის შუაგულში აღმოვჩნდით. სიბნელეში აქეთ-იქით ფარებანთებული მანქანები მიმოქროდნენ. ახლაც ჩამესმის კარმენის მოგუდული სიცილი. მან ხელის აწევით მოუხმო ტაქსისტს.

- კი მაგრამ, რიგი ხომ უნდა დავიცვათ, - საყვედურით ვუთხარი.

მძღოლი გვერდის ავლას აპირებდა, მაგრამ კარმენის დანახვაზე შეჩერდა, სხვანაირად არც შეეძლო, ის ხომ ისეთი ახალგაზრდა და მომხიბლავი იყო.

- სად მივდივართ? - ვიკითხე.

- შენი ლეონის სასტუმროში, - მითხრა და როდესაც მძღოლს მისამართი ვუთხარი, მომიჭრა, "კეკენ პალასი!" ნურას უკაცრავად, ჯერ კიდევ არ გავგიჟებულვარ. ასეთი სახელწოდების ოტელი, ისიც მარ-დელ-პლატაში, იცი, რა პრეტენზიული იქნება?

მართალი რომ გითხრა, გუნება გამიფუჭდა. ჩემს მდგომარეობაში მყოფისათვის სასტუმროს ადმინისტრაციასთან ნაცნობობა არც ისე მომგებიანი მეჩვენა... ალბათ არ დაიჯერებ - როცა ვამბობ, ჩემს მდგომარეობაში მყოფს-მეთქი, კარმენს ვგულისხმობ. რატომღაც თავს მოვალედ ვთვლიდი, თავი მემართლებინა, რაღაც განმემარტა, ეს მაშინ, როცა მასთან ერთად ყოფნით უნდა მეამაყა.

სასტუმროში შესვლა ვერც კი მოვასწარით, რომ მოგვახარეს, ღუმელებს ვცვლით, ამიტომ ვახშამს ვერ მოგართმევთ, ამასთან, თბოგაყვანილობაც დაზიანებულიაო. შუაღამისას, თანაც ასეთ სიცივეში, სხვა სასტუმროს ძებნა დაგვეზარა და იქვე დავრჩით. ოთახში ელექტროღუმელი დაგვიდგეს. საკმაოდ მალე ვიაზრეთ, რომ უნდა აგვერჩია ორში ერთი - ღუმელს ოდნავ დავშორებოდით და გავთოშილიყავით, ან რაც შეიძლება, ახლოს მივჩოჩებოდით და დავხრუკულიყავით. რაღა გაეწყობოდა, დამატებით მოვატანინეთ საბნები და ტანგაუხდელნი საწოლში ჩავწექით. კარმენმა გასათბობად თავზე პირსახოცის ჩალმა შემოიხვია. მისმა სილამაზემ ლამის დამაბრმავა.

მეორე დღეს მზემ მკრთალად რომ გამოანათა, პლაჟზე გავედით, რომელიღაც სახლის უკან ბრეზენტზე დავსხედით და საკმაოდ შევთბით. სასიამოვნო დილა გავატარეთ, ზღვას გავცქეროდით და მოგზაურობებზე ვლაპარაკობდით. მოგვიანებით პლაჟზე შეხნიერებული წყვილი გამოჩნდა; ქარისგან წელში მოხრილნი ნაპირს მიუყვებოდნენ, ქვიშას მკაფიოდ აჩნდებოდა მათი ნაფეხურები. კარმენმა თქვა, წელიწადის ამ დროს ნებისმიერი კურორტი პოეტური გრძნობების აღმძვრელიაო.

საღამოს ჩაის ვსვამდით სანტიაგო დელ-ესტეროსა და სან-მარტინის ქუჩების კუთხესთან მდებარე საკონდიტროში, ეს შენობა მოგვიანებით დაანგრიეს.

დარბაზში ხშირ-ხშირად შემოდიოდა ან გადიოდა ხალხი და ყოველთვის, როცა კი უზარმაზარი მინის კარი იღებოდა, გვეჩვენებოდა, რომ ჩვენსკენ უზარმაზარი აისბერგი მოცურავდა. სიცივისაგან გატანჯულნი თვალს ვეღარ ვაცილებდით იმ კარს, თითქოს გვინდოდა ჩვენი მაგიური მზერით გაგვეშეშებინა ადამიანები, კარის გაღება რომ ვეღარ შეძლებოდათ.

- ოჰ, ღმერთო! - დაიჩურჩულა უცებ კარმენმა. დარბაზში ზღვის ლომის მედიდურობით ვიღაც ზონზროხა ქალბატონი მოალაჯებდა.

- ნამდვილი დრაკონია, - დავასკვენი მე.

- ის არის, - დააზუსტა კარმენმა.

- ვინ ის?

- მისი უდიდებულოსობა თავმჯდომარე.

- ეგებ ვერ დაგინახოს.

- სიტყვაც არ მქონდა დასრულებული, რომ სენიორა შეჩერდა და თვალები ჩვენ მაგიდას დაასო. მერე დავინახე მაღლა აწეული საჩვენებელი თითი, მეგონა, მელოდრამა გათამაშდებოდა. მსახვრალი ხელი კარმენზე მიანიშნებდა, გავშეშდი, დავიძაგრე. ამასობაში სენიორამ აბზეკილი საჩვენებელი თითი ორჯერ მიიდო ტუჩებზე. კარმენმა მოგვიანებით მითხრა, თვალიც ჩამიკრაო, მაგრამ ამის მტკიცება ან უარყოფა არ შემიძლია. დავსძენ მხოლოდ, რომ უეცრად დავინახე, როგორ გამოსხლტა წინ ცხვირწითელა სველულვაშა, ჩია ბერიკაცი, აქამდე სენიორას უზარმაზარი სხეული რომ ფარავდა. კაცს საოცრად გულგრილი, ყველაფრის მიმართ განურჩეველი სახე ჰქონდა.

- მართლა მანიშნა, ჩუმად იყავიო, თუ ჭკუიდან გადავედი? - წამჩურჩულა კარმენმა და იმწამსვე მხიარუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად დასძინა: – ჩემსავით მოიავადმყოფა თავი და ჩვენსავით მარ-დელ-პლატაში ჩამოვიდა!

– იმ განსხვავებით, რომ მისი ბერიკაცი გაციებულია.

ამ წუთიდან ყველაფერი შეიცვალა. ეს მოულოდნელი კარიკატურული სცენა შეფორიაქებული ბებერი ქალის მონაწილეობით დამეხმარა, თავი დამეღწია გამუდმებული სიფრთხილისა და უნიათობის საზიზღარი გრძნობისათვის და ერთიანად მივნდობოდი ჩვენს ბედნიერ ვარსკვლავს. შემიძლია დავიფიცო, რომ იმ საღამოსვე სიცივემ იკლო, ყოველ შემთხვევაში, მახსოვს, რომ საწოლში ტანგახდილი ჩავწექი და თუ მაინც ოდნავ შემცივდებოდა, სითბოს კარმენის სიახლოვეს ვეძებდი.

იმ დღის შემდეგ ბებერი ქალის ჟესტის პაროდირება ჩვენი ოხუნჯობის საგნად იქცა. როდესაც გველაპარაკებოდნენ ან გვთხოვდნენ, ნათქვამი საიდუმლოდ შეგვენახა, ჩვენ, იმ ქალბატონის მიბაძვით, თითი ტუჩებთან მიგვქონდა. შესაძლოა, ამგვარი ხუმრობა ცოტა სულელურიც კი ჩანდა, მაგრამ ჩვენთვის რაღაცას ნიშნავდა, რადგან მარ-დელ-პლატაში გატარებულ უკეთეს დღეებს გვაგონებდა. ადამიანს ხშირად ბევრი რამ ავიწყდება, მაგრამ თუ მოვლენებს თანმიმდევრულად გაიხსენებს, შეძლებს დიდი ხნის წინათ მივიწყებული ამბების გაცოცხლებას. კარგად მახსოვდა, რომ პირველ საათზე მატარებელში ჩავსხედით, მაგრამ სრულებით გადამავიწყდა კარმენის თხოვნა, შინ უფრო მოგვიანებით დავბრუნებულიყავით. ახლაც ნათლად ვხედავ, როგორ იწვა საწოლზე ბალიშში თავჩამხობილი. საკოცნელად თავი რომ ავუწიე, არც კი გაუცინია.

– დავრჩეთ, – მითხრა სერიოზულად. თან ათრთოლებული შემომყურებდა, თითქოს რაღაცის ეშინოდა. სწორედ იმ თრთოლის გამო აღმძრა წინააღმდეგობის გრძნობა.

– ყველასათვის ცნობილია, რომ ქალი შედგება პერიოდებისა და ციკლებისაგან, – ვუთხარი, – ტყუილად ხომ არ ადარებენ მას მთვარეს, მაგრამ მამაკაცი, რომელსაც ეს არ ავიწყდება და ტირილის მიზეზს ნერვების სისუსტეს ან ჯირკვლების ზემოქმედებას მიაწერს, უგულო კაცად მიაჩნიათ. ის კი, ვინც ეს დაივიწყა, როცა საბოლოოდ მიატოვებენ, დაე ნუ წამოიძახებს: "ასეა თუ ისე, შენ ჩემთვის ტიროდი", რადგან პასუხად მიიღებს, ეს, ალბათ დაგესიზმრაო.

– საძაგელო! – ღიმილით დაიჩურჩულა კარმენმა.

– მაინც ხომ უნდა გავემგზავროთ, მაშ, რაღა საჭიროა ტრაგედიის გათამაშება?

– მაშინ სამუდამოდ დავრჩეთ აქ, – მითხრა კარმენმა.

პასუხის ნაცვლად, ჩემოდნის ჩალაგებას შევუდექი, რადგან არ მიყვარს გადაწყვეტილების შეცვლა, ეს საკუთარ ღირსებად მიმაჩნია და ამით ხშირად ვამაყობ კიდეც.

რამდენიმე დღის შემდეგ ბუენოს-აირესში უეცრად აღმოვაჩინე, რომ გული მწყდებოდა ჩვენს ცხოვრებაზე მარ-დელ-პლატაში. კარმენი, თუმცა ადრინდელივით ნაზი და მგრძნობიარე იყო, ჩემს მიმართ როგორღაც გაცივდა. იგი ხშირად სტუმრობდა ჩემთან, ვსეირნობდით, ვმხიარულობდით, ვიხსენებდით ბებერი ქალის ჟესტს, ყველაფერი გვართობდა და გვამხიარულებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მინდოდა მეკითხა, ჩემზე გული ხომ არ გაგიცივდა-მეთქი, რაც ადრე აზრად არასოდეს მომსვლია.

გაზაფხულზე მეგობრებმა უშუაიაში გამგზავრება შემომთავაზეს. ცეცხლოვანი მიწა მუდამ მიზიდავდა და შემთხვევის ხელიდან გაშვება არ მინდოდა, ერთადერთი დაბრკოლება კარმენი იყო. ჩვენი ერთად წასვლა მისთვის უხერხული იქნებოდა, მაგრამ მარტოს სად გამიშვებდა. საქმე აღარ გავართულე და მასთან დაუმშვიდობებლად წავედი.

სამხრეთიდან საღამო ხანს დავბრუნდი და სახლის ზღურბლთან ორი მამაკაცი დავინახე. საინტერესოა, მაგრამ ეს ადამიანები ჩემთვის სამუდამოდ უსახონი დარჩნენ. მათი არც სიმაღლე მახსოვს და არც რაიმე განსაკუთრებული ნიშნები.



დამამახსოვრდა მხოლოდ რამდენიმე სიტყვა და გამაოგნებელი ელდა. მამაკაცები გულის გამაწყალებლად ჩამჩიჩინებდნენ რაღაცას ვიღაც მოსამსახურე ქალზე, რომელიც გაუგებარი მიზეზის გამო, უარს ამბობდა წაჰყოლოდა მათ გვამის ამოსაცნობად, მე კი ცხელ აბაზანაზე და წუთიერ სიმშვიდეზე ვოცნებობდი.

– რა ჩემი საქმეა ეს ყველაფერი? – ავღშფოთდი.

ისინი კვლავ დაჟინებით მიხსნიდნენ, თუ რა მოხდა. ბოლოს, როგორც იქნა, ვძლიე დაღლილობას და გავარჩიე, რომ უბედურ შემთხვევაზე მელაპარაკებოდნენ. ჩამესმა სიტყვა "დაღუპული" და კიდევ მომდევნო ორი სიტყვა გულგრილად თქმული. ხმა მონოტონურად განაგრძობდა: კარმენ სილვეირა. მოსამსახურე ქალი, ვისაც პროზექტურაში წაყოლა სთხოვეს, ოთახში ჩაიკეტა. ვის გულისხმობდნენ? იმ ქალს ხომ არა, დილდილობით კარმენის ოთახის დასალაგებლად რომ მოდიოდა? ცხედრის ამოცნობა შემომთავაზეს, შემინდოს ღმერთმა, თუმცა გული დარდით მქონდა გასენილი, მაინც რაღაცნაირი სიამაყე ვიგრძენი.

– მე გნახე მიცვალებულთან ღამის თევისას, – ვუთხარი.

– იმ ღამიდან თითქმის არაფერი მახსოვს, – მომიგო ლუის გრევემ.

– ალბათ, თავზარი დაგცა კარმენის სიკვდილმა, – თანაგრძნობით ვუთხარი, – ის ხომ ისეთი მშვენიერი იყო, განა შეიძლებოდა მისი დაღუპვა?

– მინდოდა მეთქვა, განადგურებული ვიყავი-მეთქი, მაგრამ ახლა შემიძლია ზუსტად გამოვხატო ჩემი მაშინდელი განცდები, ის, რასაც იმ წუთებში ვგრძნობდი და დღემდე განვიცდი. გულხელდაკრეფილი რომ დავინახე, შევძრწუნდი, მაგრამ სიმართლე რომ გითხრა, მანამდე უფრო ვიტანჯებოდი. მზარავდა ფიქრი იმაზე, რომ ამიერიდან ვერასოდეს ვნახავდი, სიკვდილში ყველაზე საშინელი ის არის, რომ ადამიანები ქრებიან.

– ზოგი ადამიანის სიკვდილი წარმოსადგენია, – დავეთანხმე, – ასეთ დროს ძნელი არ არის, ცრუმორწმუნე გახდე, ან თავი დამნაშავედ იგრძნო. რაც მოხდა, საშინელებაა, მაგრამ თავს ვერაფერში დაიდანაშაულებ.

– ამაში მთლად დარწმუნებული არა ვარ, – მომიგო მან, – სხვა რაღა გითხრა? ჩემი ცხოვრება თითქმის არ შეცვლილა, არ გეგონოს, კარმენი დავივიწყე. პირიქით, დღისით გამუდმებით თვალწინ მედგა, ღამე სიზმრებში ვხედავდი, მაგრამ წარსული თანდათან გაფერმკრთალდა. მე შემიყვარდა სოფელი, უფრო ხშირად ჩავდიოდი და დიდხნობით ვრჩებოდი პრინგლესში,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ერთხელ იქით მიმავალმა გავიცანი სენიორი, რომელმაც მოგზაურობაზე დამიყოლია. რაკი ეს სენიორი ტურისტული სააგენტოს მენეჯერი გახლდათ, ბილეთის შოვნა არ გამჭირვებია. კარმენის სიკვდილის შემდეგ ადგილსამყოფელს ისედაც ხშირად ვიცვლიდი. ერთხელ ჩვენი თვითმფრინავი ზღვის თავზე რომ მიფრინავდა, მივხვდი ჩემს შეცდომას. სამყარო საოცარია, მაგრამ მე არაფერი მახალისებდა. არ გეგონოს, რომ დარდი მკლავდა. ყველაფერი გულგრილობის ბრალი იყო. მოგზაურობა და ხეტიალი რომ აინტერესებდეს, ტურისტს რაღაც ილუზიები მაინც უნდა ჰქონდეს. ბოლო დროს ერთ ადგილას არსად ვჩერდებოდი და ადგილზე ჩასული, პირველივე თვითმფრინავით განვაგრძობდი გზას. დღეში რამდენჯერმე მიხდებოდა საათის ისრების გადაწევ-გადმოწევა. დროში განსხვავებამ და დაღლილობამ დროისა და საკუთარი თავის მიმართ არარეალურობის გრძნობა აღმიძრა. ერთხელ ბომბეიდან ორლიში ჩავფრინდი, ერთხანს აეროდრომზე ვიხეტიალე. და შემდეგ ბუენოს-აირესისკენ გავემგზავრე. ვგონებ, გამთენიისას დაკარში შევისვენეთ. თვლემას თავი რომ გავართვი, რაღაცნაირი სისუსტე ვიგრძენი, შეუძლოდ შევიქენი. მახსოვს, სწორედ იქ, ან შესაძლოა, უფრო მოგვიანებითაც, საათის ისრები უკან გადავწიეთ. მგზავრებს თვითმფრინავიდან გადასვლა გვთხოვეს: ჩვენ ჩავყევით ხის ღობურებს, საქონლის გრძელი სადგომებივით ერთიმეორის გასწვრივ რომ იყო ჩამწკრივებული და შევედით ბარში, რომელსაც ზანგები ემსახურებოდნენ. შესვლისთანავე შემოგვესმა ხმა, კეიპტაუნში მიმავალ მგზავრებს თვითმფრინავისკენ რომ უხმობდა და გავუსწორდი ბარიდან აეროდრომისკენ მიმავალ ადამიანებს, რომლებიც ჩვენს პარალელურად, ღობურის გასწვრივ მოძრაობდნენ. ხალხის ამ ნაკადში უეცრად შევნიშნე, ვიღაც მიმალვას ცდილობდა. მზერა იქით გამექცა. როდესაც მიხვდა, დამინახესო, ქალმა გადაწყვიტა, თავის დაკვრით მომსალმებოდა. იმწამსვე ვიცანი - კარმენი იყო, არ შეიძლებოდა, ვინმეში შემშლოდა. მან ორჯერ ასწია ხელი და ტუჩებთან მიიტანა საჩვენებელი თითი ჩვენი ძველი ნაცნობი მოხუცი ქალის მსგავსად, რომელიც მარ-დელ-პლატაში შეგვხვდა. ამით უსიტყვოდ მთხოვა, მისი საიდუმლო არ გამემჟღავნებინა. მე დავიბენი. კარმენი თავის ჯგუფს გაჰყვა კეიპტაუნის თვითმფრინავისკენ.

მე კი იქ დავრჩი.

თარგმნა ზაზა თვარაძემ

არილი

**ადოლფო ბიოი კასარესი ინტერნეტში**

http://www.literatura.org/Bioy/Bioy_Casares.html
http://www.granavenida.com/labutaca/libros/autores/casares.htm
http://www.eltallerliterario.com.ar/grandes_escritores/bioycasares.htm
http://www.fantasticfiction.co.uk/authors/Adolfo_Bioy-Casares.htm
http://www.arterealidad.com/literatura/abioycasares3.html
http://www.archipielago.org/casares.htm
http://www.ricordi.de/auto/pages/febel_morel.html

იუკიო მიშიმა

# გაზეთი



საცოკოს ახალგაზრდა ქმარი სულ დაკავებულია. კი, გუშინ საღამოს, ვითომ შინ იყო, ათ საათამდე არსად წასულა, მაგრამ მერე ისევ საჭეს მიუჯდა, ცოლს ღამე მშვიდობისა უსურვა და მანქანა მორიგი შეხვედრისაკენ გააქროლა.

სატოკოს ქმარი კინომსახიობია. უნდა თუ არ უნდა, სატოკო იძულებულია, მოითმინოს ამგვარი ღამეული შეხვედრები, ქმარს რომ არასოდეს ხლებია, არასოდეს წაუყვანია. უკვე მიეჩვია - დაიჭერს ტაქსს და შინ, უსიგომოს კვარტალში მარტო დაბრუნდება. სახლში პატარა ბიჭუნა - ორი წლის შვილი ელოდება...

და აი ამ საღამოს უცებ ფეხით გასეირნება გადაწყვიტა.

გუშინდელის გამო ერთი აზრი აეკვიატა, რამდენი არ ვხეხეთ და სასტუმრო ოთახს სისხლის კვალი ვერ მოვაშორეთო - ამ ღამეს შინ მარტო შესვლის ეშინია...

გუშინ საღამოს, როგორც იქნა, მორჩნენ იმ ენით აუწერელი ამბით ატეხილ ფაციფუცს. იმედი ჰქონდა, დღეს, როცა ორივეს ასე ესაჭიროებოდა ნერვების დაწყნარება, ქმარი საღამოს მის გვერდით გაატარებდა, მაგრამ გვიან ღამით პროდიუსერმა რომ დარეკა და მაჯიანის სათამაშოდ მიიპატიჟა, ქალი მიხვდა, ამაღამ ქმარს ტყუილად დაელოდებოდა.

სატოკო ლამაზი ქალიშვილი იყო. მომცრო ტანისა და მეტისმეტად აღგზნებადი, მგრძნობიარე ხასიათის გამო ზედმეტ სახელად სკოლაში "ტერიერი" შეარქვეს. ყოველ წვრილმანზე გადმუდმებულმა ნერვიულობამ და განცდებმა საშუალება არ მისცა სხვებივით გასქელებულიყო, ტანი დაესრულებინა. მამამისი კინოკომპანიის დირექტორი გახლდათ. მოხდა ისე, რომ მის ქალიშვილს კინომსახიობი შეუყვარდა და მათი სიყვარული ქორწინებით დამთავრდა.

ჩვეულებრივი თავშესაქცევების ნაცვლად, სატოკოს ნამდვილი გატაცება გაჭირვებაში მყოფის თანაგრძნობა იყო. ნაზი შინაგანი ბუნება ისე აისახებოდა მის სუსტ სხეულსა და სახის ნატიფ ნაკვთებში, თითქოს კალმით მიახატესო.

იმის გახსენებაზე, ღამის კლუბში მეუღლე თავის მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობარ ცოლ-ქმარს როგორი აზარტით და დაწვრილებით უყვებოდა მომხდარის შესახებ, მთელი საღამო მოშხამული ჰქონდა.

ბუნებისგან სატოკო მდიდარი წარმოსახვის უნარით იყო დაჯილდოებული, მისი მეუღლე კი, ამერიკული ყაიდის კოსტიუმში გამოწყობილი ახალგაზრდა ლამაზი მამაკაცი, ამ უნარს მოკლებული გახლდათ. როგორც ჩანს, წარმოსახვა მსახიობის პროფესიისათვის შეიძლება აუცილებელიცაა, სხვა შემთხვევაში კი საჭირო სრულიადაც არ არის.

- რა უნდა მოგიყვეთ, ზედგამოჭრილი იდიოტური ამბავია! - ამბობდა მისი ლამაზი ქმარი და თავისი ხმით ორკესტრის ხმის დაფარვას ცდილობდა, - ორი თვის წინ ჩვენს პატარას ძიძა შეუცვალეს, ყოფილი ძიძის მაგივრად ერთ დღესაც, ვხედავ, ქალი გამოგვეცხადა აი ასეთი ღიპით. აბა წარმოიდგინეთ, ფაშვი ასე რომ ამოივსო, რა ფულის პატრონი უნდა იყო! ესო მუცლის კანის მოშვებულობისგანააო, - გვეუბნება...

და აი, გუშინწინ ვწევართ მე და სატოკო სასტუმრო ოთახში და გვძინავს. შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, რომ უცებ ბავშვის ოთახიდან კვნესა და არაადამიანური კივილი შემოგვესმა... მაშინვე წამოვხტით და გავცვივდით. რას ვხედავთ! - იმ ჩვენს ძიძას ორივე ხელი მუცელზე დაუდვია და რაც ძალი და ღონე აქვს, ღრიალებს. ჩვენი პატარაც მის გვერდით დგას და ისიც სლუკუნებს. რა მოხდა-მეთქი, - ვეკითხები, ის კი - მგონი, ვაჩენო, - აკანკალებული ხმით მპასუხობს.

შევშინდი და რა შევშინდი! მანამდე დარწმუნებული ვიყავი, ეს უშველებელი მუცელი ნამდვილად მოშვებულობისაგან აქვს-მეთქი. ჰოდა, კარგიც დაგვემართა ასეთი დოყლაპიობის გამო.

მოკლედ, როგორც იქნა, წამოვაყენეთ, ჩავჭიდეთ აქეთ-იქიდან ხელი და დიდი გაჭირვებით სასტუმრო ოთახში გავიყვანეთ.

იქ კი სინათლეზე ერთი შევხედე და თავზარი დამეცა - თეთრი წინსაფარი ერთიანად წაბლისფრად ჰქონდა შეღებილი!

იატაკზე დაგებული ფარდაგი ავკეცე, რაღაც ძველი საბანი დავუგე და დავაწვინე. ქალი თავით ფეხამდე ოფლშია გახვითქული, შუბლის ძარღვები ლამის დასკდომაზე აქვს... ამ ფაციფუცში ვიდრე ექიმის გამოძახებას მოვასწრებდით, იმან უკვე გააჩინა კიდეც. სასტუმრო ოთახი სისხლით ისე იყო მოსვრილი, გეგონებოდა, საშინელი ავტოკატასტროფა მოხდაო.

- ჰო, კაი ასპიტი კი შეგიკედლებიათ! - ჩაურთო სიტყვა მეგობარმა.

- ყველაფერი წინასწარ ჰქონია გათვლილი! ისიც, რომ ერთი ბავშვი უკვე იყო ოჯახში და, ცხადია, ბავშვის სახვევებიც ბლომად გვექნებოდა. ისიც, რომ ამგვარი სისაძაგლე, უმჯობესი იყო, რაც შეიძლება პრესტიჟულ სახლში ჩაედინა... მოკლედ, ყველაფერი მანამდე ჰქონდა გათვლილი, ვიდრე ჩვენსას შემოაბიჯებდა. რომ იტყვიან, ნამდვილი მელაკუდა ბრძანდება! მაშინაც კი, მთავარი ძიძა რომ მოვიდა და გამოკითხვა დაუწყო, ბოდიშის მოხდა აზრად არ მოსვლია, იჯდა შუბლგამოკოხილი და ხმას არ იღებდა. გუშინ, როგორც იქნა, დავაწვინეთ საავადმყოფოში. სხვა პატრონი არა ყავს, ან ვის რა იმად ენდომება მაგისთანა ბატისტვინა...

- ახალშობილს რაღა მოუვიდა?

- რა უნდა მოსვლოდა? ჯანმრთელი და საღ-სალამათი დაიბადა!.. სანამ ჩვენთან იყო, დედამისს ლამის ლოყები ასკდებოდა! ბიჭიც მაგარი და ჯანიანი გაჩნდა!.. აი მე და სატოკო კი, გუშინდელი ღამის შემდეგ, ჩათვალე, რომ სანახევროდ ნევრასთენიკები გავხდით...

- კიდევ კარგი, მკვდარი არ დაიბადა.

- ეჰ, რა ვიცი, იმ ქალისთვის იქნებ ჯობდა კიდევაც, მკვდარი დაბადებულიყო...

სატოკოს არ უკვირს ის დაუდევრობა და სიმჩატე, რა სიმჩატითა და დაუდევრობითაც მისი ქმარი ამ საშინელ ამბავს ჰყვება. თითქოს ყველაფერი გუშინწინ მის საკუთარ სახლში მომხდარი კი არა, შემთხვევით ყურმოკრული ჭორია. და წუთით სატოკო თვალებს ხუჭავს - დიდი ხნით თუ ვერა, წამით ხომ მაინც მოიშორებს მშობიარობის შემზარავ სურათს! მაგრამ, პარკეტის იატაკზე დასტა-დასტა დაყრილი გაზეთები, სისხლით დასვრილ გაზეთში გახვეული ახალშობილი გონებიდან არ ცილდება.

იმის გამო, რომ ექიმს გულს ურევს დედა, რომელმაც უქმროდ, ამგვარ არანორმალურ პირობებში გააჩინა შვილი, ახალშობილსაც სრულიად შეგნებულად უსულგულოდ ეკიდება. სიტყვის უთქმელად, ნიკაპით იმ ადგილზე მიანიშნებს, სადაც ძველი გაზეთები ალაგია. ექიმის დამხმარე ერთ გაზეთს იღებს, ბავშვს ახვევს და პირდაპირ იატაკზე დებს... გულში თითქოს დანა გაუყარესო მაშინ სატოკოს. გაბრაზება აზრადაც არ მოსვლია, ფლანელის ნაჭერი მოიტანა, ბავშვს გაზეთები გამოაცალა, შეფუთნა და ჩუმად, ისე რომ არავის დაენახა, სავარძელზე დააწვინა.

ამ ქვეყნად სატოკოს ყველაზე ნაკლებ ის უნდოდა, თუნდაც ცოტათი დაემძიმებინა გული ქმრისათვის, ამიტომაც გადაწყვიტა, არაფერი ეთქვა ამ თავის განწყობაზე, ერთი სიტყვითაც არ ეხსენებინა გულში ღრმად ჩარჩენილი და ახლაც ცნობიერების ზედაპირზე მოტივტივე ზმანების შესახებ. მთელი ის ღამე წამდაუწუმ ილიმებოდა, სულითა და გულით ცდილობდა, გათავისუფლებულიყო შიშისა და წუხილის ამ გაურკვეველი გრძნობისაგან.

"იატაკზე დადებული, ხორცის გასახვევ ქაღალდში გამოკრული ჩვილი... სისხლში ამოსვრილი გაზეთის ფურცლები... პატარა, საბრალო, ღარიბი ობოლი!"

იმ საცოდავი ძიძის მიმართ არავითარ ბრაზსა და სიძულვილს არ გრძნობს სატოკო. მხოლოდ მწარე სინანულს მოუცავს, ასე ჰგონია, ახლა სწორედ თვითონ არის ის საბრალო, ბედუკუღმართი ჩვილი, თუმცა, თავის სიყმაწვილეში კარგის მეტი არაფერი ახსოვს.

"კაცმა რომ თქვას, მხოლოდ მე ვარ იმ სცენის შემსწრე, მხოლოდ მე დავინახე სისხლიან გაზეთში გახვეული ახალშობილი. ვთქვათ, დედამაც... ვთქვათ, თვითონ ბავშვმაც იგრძნო ყველაფერი. მიუხედავად ამისა, ჩვენ სამთაგან მხოლოდ მე მომიწევს მისი საშინელი დაბადების საიდუმლოს ზიდვა. ვინ იცის, გაიზრდება და ხალხმა იქნებ უამბოს კიდევაც, როგორ დაიბადა, როგორი საშინელი შესახედავი იყო ის ყველაფერი... წარმოდგენილი მაქვს, რა კოშმარი დაუტრიალდება თავში!.. არა, ეს შეუძლებელია!.. არა, ყველაფერი კარგად უნდა იყოს! მე ხომ არასდროს გავამხელ ამ საიდუმლოს, საიდუმლოს, რომელიც მხოლოდ ჩემთვისაა ცნობილი. ბოლოსა და ბოლოს, ასეა თუ ისე, ხომ სიკეთე ჩავიდინე, ფლანელის სახვევში გავახვიე, იატაკიდან სავარძელში გადავაწვინე".

სატოკო ფიქრებშია ჩაძირული.

ღამის კლუბის ჭიშკართან ქმარი მძღოლს სიტყვას გადაუგდებს:

- უსიგოში! - მერე სატოკოს მანქანაში ჩასვამს და კარს გარედან მიუხურავს. მინის გარეთ წამით ქმრის ღიმილი გაკრთება, თეთრი, ჯანსაღი კბილების ორი მწკრივი გაიელვებს.

"არა, ჩემსა და შენს ცხოვრებაში შიშსა და მწუხარებას ადგილი არასოდეს ექნება!.." ამ აზრმა ქანცი გააცალა სატოკოს, სკამის ზურგს მიალურსმა. ფანჯრისაკენ შებრუნდა და ქმარს გახედა. კაცმა თავისი "ნეშისაკენ" ისე თავაულებლად გასწია, უკან არც კი მოუხედავს. მალე თვალს მიეფარა მისი ღია ფერის კოსტიუმი, თანდათან ხალხის ტალღას შეერია. მით უფრო, ის ხომ ერთ ადგილზე დგომას ვერასოდეს იტანს, ირგვლივ ჯგლეთა და რია-რია თუა.

თეატრში ეს-ესაა სპექტაკლი დამთავრდა. ნელა, მწყობრად, ერთმანეთის მიყოლებით ქრება ნეონის რეკლამის ნათურები. მაყურებელი გასასვლელში ჩაწოლილ ბინდს აწყდება. თეატრის წინ რამდენიმე ალუბლის ხე თეთრად არის გაპენტილი. მათ დანახვაზე სატოკო უცებ ილუშება, შუბლს ისე იკრავს ტოტებზე გამოფეთქილი ეს სითეთრე, თითქოს ქათქათა ყვავილები კი არა, გაზეთის ჭუჭყიანი ნაგლეჯები იყოს.

"ისევ... ისევ ის ბავშვი"...

კვლავ მოგონებებმა შეიპყრეს სატოკო.

"როგორც არ უნდა ეცადო, არაფერი სასიკეთო გამოვა იმ ადამიანისაგან, ვინც არა იცის რა თავისი დაბადების შესახებ. ჭუჭყიანი გაზეთის სახვევი შეიძლება მთელი მისი ცხოვრების სიმბოლოდაც იქცეს... მაგრამ რატომ ვნერვიულობ ასე ვიღაც უცხო ყრმის ცხოვრებაზე? იმიტომ ხომ არა, რომ ჩემი საკუთარი შვილის მომავალი მაშინებს?.. აი, გაივლის ოცი წელი. გაიზრდება ჩემი პატარა ბიჭი, ნორმალური ადამიანი დად-

გება. ერთიც ვნახოთ, ავმა ბედისწერამ ის უბედური ბავშვი, მაშინ უკვე ოცი წლის ჭაბუკი, ჩემ ვაჟს შეახვედროს და რაღაც დაუშავოს?!"

მართალია აპრილის თბილი, ღრუბლიანი საღამო იყო, მაგრამ ამის გაფიქრებაზე სატოკოს კეფა ყინულივით გაუხდა.

"ბევრი რამ შეიცვლება ოც წელიწადში... ოცი წლის შემდეგ მეც ორმოცის ვიქნები... მართებულიცაა და უბრალოდ, ვალდებულიც ვარ, ყველაფერი მოვუყვე იმ საბრალოს. მოვუყვე, ჭუჭყიანი გაზეთი ფლანელის რბილი სახვევით როგორ შევუცვალე"...

ბაღს შემოვლებული თხრილის გვერდაქცევით ტაქსი ფართო გზაზე მიქროდა. ფანჯარაში მარჯვნივ ბირუ-გაის ცათამბჯენების სინათლეები ციმციმებდნენ.

"...მაგრამ ეს საბრალო ბიჭი მთელ იმ ოც წელიწადს საშინელი ცხოვრებით იცხოვრებს. დღეებს თაგვივით უშინაარსოდ, უფულოდ, სურვილების გარეშე გაატარებს. წლიდან წლამდე თავადვე გაინადგურებს ახალგაზრდა ორგანიზმს. ასე დაბადებულ ბავშვს სასიკეთო არაფერი ელის. მამისაგან დაწყევლილი, დედისაგან მიტოვებული, მთელი სიცოცხლე ეული და მარტოსული იქნება"...

ჩანს, ეს შავბნელი აზრები სატოკოს სულის რომელიღაც შორეულ სიმს მტკივნეულად შეეხო. აბა, "ის ბიჭი" რატომ ჩაეჭედა ასე გონებაში, რატომ უხატავს ასე დეტალურად იმის მომავალს საკუთარი წარმოსახვა?..

ტაქსმა ჰან-გომონის სადგურს ჩაუარა, ინგლისის საელჩოს შენობას მიადგა და სატოკოს თვალწინ აყვავებული საკურას მშვენიერი ხეივანი გადაეშალა. და აი, უცებ გადაწყვიტა, ცოტაოდენი უცნაურობის უფლება მიეცა თავისათვის - ამ ღამით მარტოდმარტო ესეირნა, აყვავებული ალუბლების ცქერით დამტკბარიყო, ტაქსი გაეშვა და მშვიდად ეყურებინა თეთრად აფეთქებული ყვავილებისათვის, მერე კი ისევ ტაქსი აეყვანა და შინ იმ ტაქსით დაბრუნებულიყო.

მართალია, ისეთი მორიდებული და მშიშარა ქალის პირობაზე, როგორიც სატოკოა, ყოველივე ეს საკმაოდ სერიოზულ ავანტიურად გამოიყურებოდა, მაგრამ, იმის გამო, რომ მღელვარების მომგვრელმა ჩვენებებმა ისევ იმდღევანდელი ძალით იფეთქა მის გულსა და გონებაში, სხვა დღეებისაგან განსხვავებით, დღეს მარტო შინ დაბრუნება უჭირდა.

ტანმომცრო ახალგაზრდა ქალი ტაქსიდან გადმოვიდა და ქუჩას გაუყვა. მართალია, მისი სული ჯერ ისევ ირთოდა გაურკვეველი წინათგრძნობისაგან, მაგრამ თავისუფლების უცნაურმა შეგრძნებამ პირთამდე აავსო, გზა ისე სულმოუთქმელად გადაჭრა, თითქოს ღამეში გაფრენილი მანქანების ჯაჭვი საკუთარი სხეულით გაჭოლა და ქუჩის მეორე მხარეს, ღრმა თხრილის პირზე გაყოლებული ტყისაკენ წავიდა.

ეს ტყე, სენტგაუფის პარკი - "ჩიტების მორევი" იყო.

პარკის კორომში თეთრად დაეთრთვილა ალუბლის ხის ტოტები ქათქათა ყვავილებს.

შესასვლელში ქაღალდის ფანარი ჩაქრა, მაგრამ ტოტებს ქვემოდან კვლავ წითლად, ყვითლად, მწვანედ ჟიკჟიკებდნენ ელექტრონათურები. რა ხანია გადასცდა ათ საათს. სასეირნოდ გამოსულ საკურვას მოყვარულებს სულ უფრო იშვიათად, თითოოროლას თუ გადაეყრებოდა დროდადრო. ფეხებში წარამარა ქაღალდის ნაგლეჯები ებლანდებოდა. ზოგჯერ ბაღში გამეფებულ მდუმარებას ქაღალდის შრიალი ან თუნუქის ქილის გაგორების ხმა არღვევდა, კანტიკუნტად ვინმე თუ ჩაივლიდა სიჩუმეში.

"ქაღალდი... გასისხლიანებული გაზეთის ფურცელი... უბედური, ბედკრული ადამიანის დაბადება... ამგვარ სურათს ვინმე შემთხვევით რომ შეესწროს, მერე კი უცებ მიხვდეს, ჩემი ხვედრიც ასეთი ყოფილაო, ეჭვი არ არის, იმ დღიდან მთელი ცხოვრება თავდაყირა დაუდგება. ამიტომაც, მე, ანუ ის სრულიად უცხო ადამიანი, რომელიც შემთხვევით გახდა ამგვარი საიდუმლოს მოწმე და მნახველი, ვალდებული ვიქნები, სიცოცხლის ბოლომდე გაუმხელლად ვატარო"...

მაგრამ გაცხოველებულმა ფანტაზიამ წინა დღეს განცდილი შიში და გულისხეთქვა დაავიწყა. არგვლივ მოყვარული წყვილები დასეირნობდნენ და, ალბათ, აზრადაც არავის მოუვიდოდა, აკიდებოდა, ანდა რაიმე უსიამოვნება მიეყენებინა. ერთ წყვილს ეტყობა მობეზრდა ყვავილების ყურება, ისხდნენ ქვის მერხზე ხრამის პირას და შავად პირდაღებულ უფსკრულს, იქ, სადაც წყლის ზედაპირს მძიმე, გაუვალი ჩრდილი დასწოლოდა, ჩუმად ჩასცქეროდნენ. ზემოთ, ნაყარს იქით, იმპერატორის სასახლის ტყე იყო კედელივით აღმართული. ლარივით სწორი, შავად ჩაბნელებული ჰორიზონტალი ხეთა კენწეროებს ღრუბლით დაფარული ცისაგან თიშავდა.

სატოკო ნელა მიაბიჯებდა დაბურულ ხეივანში, თეთრად აფეთქებული ხეების ტოტებქვეშ. თავზევით გადმოფენილი ყვავილები უცნაურ, დამთრგუნველ გრძნობებს ბადებდა...

ანაზდად წყვდიადში ჩაძირულ ქვის მერხზე რაღაც თეთრი მოეჩვენა. ეს "რაღაც" ბღუჯა-ბღუჯა ჩამოცვენილი ყვავილები არ იყო, არ იყო არც ქვის ჩამონათალი. სატოკო მერხს მიუახლოვდა.

ბნელში ჩაძირულ ქვის მერხზე კაცი იწვა და ეძინა.

კაცი მთვრალს არ ჰგავდა - სატოკო ამას მაშინვე მიხვდა, როგორც კი შეხედა, მძინარეს გაზეთები რა გულმოდგინებით ჰქონდა ქვეშ ამოფენილი. ყავისფერჯემპრიანი კაცი სქლად დაგებულ გაზეთებზე სკამის საზურგისკენ ზურგშექცევით იწვა და ეძინა. ჩანს, გაზაფხულის მოსვლამ მას აქ ბინა აპოვნინა.

სკამის წინ სატოკო როგორღაც ცნობადაკარგულივით შედგა. ძველ გაზეთებზე გაწოლილმა კაცმა მისდაუნებურად უცებ გაზეთში გახვეული და იატაკზე დაგორებული ახალშობილი გაახსენა.

თვალში დიდი ხნის დაუვარცხნელი, ჭუჭყისაგან გაზინთული თმა მოხვდა. სიბნელეში ჩანდა, იმის მიხედვით, ჩაისუნთქავდა თუ ამოისუნთქავდა, ყავისფერი ჯემპრი მკერდზე როგორ აუდ-ჩაუდიოდა.

სატოკოს მგრძნობიარე გულში ტანჯვით დაბადებულმა შიშმა და მღელვარებამ კიდევ უფრო მეტი სიცხადით იძალა. კაცის ნაოჭებით დაქსელილ ახალგაზრდა სახეზე, რომელიც ძლივს ირჩეოდა სიბნელეში, ხელმოკლეობასა და სილატაკეში გატარებული წლების კვალი ამოიკითხა. ხაკისფერი შარვლის ტოტები საგულდაგულოდ აეკეცა, შიშველ ფეხებზე ამოცმულ სპორტულ ფეხსაცმელს ეტყობოდა, პირი კარგა ხანია დაღებული ჰქონდა.

სატოკოს უცებ მოუნდა, ყურადღებით დაეთვალიერებინა კაცის სახე, დაიხარა და ხელისგულქვეშ მოქცეულ ადგილს დააცქერდა. სახე მოულოდნელად ძალზე ახალგაზრდა აღმოჩნდა - ხშირი, ლამაზად მოხაზული წარბები... სწორი ცხვირი...

როცა კიდევ უფრო დაიხარა, უცნობის ქვეშ ლეიბად დაფენილ გაზეთებს წამოედო და ქაღალდის მოულოდნელად მკვეთრმა შრიალმა შავად ჩამოწოლილი მდუმარება გაკაწრა...

კაცს გაეღვიძა, თვალის გუგებმა თეთრად იელვა სიბნელეში და... უზარმაზარი ტორი ქალს მაჯას სალტესავით შემოეჭდო...

სატოკოს შიში არ უგრძვნია, არც კი განძრეულა, ხელის გაშვებინებაც არ უცდია, მხოლოდ ეს გაიფიქრა გონების განათების რომელიღაც წამს: "ესეც ასე... ესე იგი, ის ოცი წელიწადი უკვე გავიდა!"

იმპერატორის სასახლის შავად დაბურული ტყე სამარისებურ სიჩუმეში ჩაიძირა.

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა

## იუკიო მიშიმა ინტერნეტში

http://www.nytimes.com/books/98/10/25/specials/mishima.html
http://impact.civil.columbia.edu/~fawaz/mishima.html
http://www.vill.yamanakako.yamanashi.jp/bungaku/mishima/nenpu/nenpu_e.html
http://www.meaus.com/articles/MISHIMA.html
http://www.ononline.com/books/authors/mn/ymishima/ymishlnk.htm
http://www.ox.compsoc.net/~gemini/simons/historyweb/mishima.html
http://www02.so-net.ne.jp/~m-hara/Mishima.html

არილი

მიხეილ ქვლივიძე

# ვაკვირებ ცხოვრებას

## ავტობიოგრაფიული ჩანაწერები

* * *

ქართველებს, ბევრ კარგ თვისებასთან ერთად, გამორჩეული უზნეობაც გვახასიათებს: ისეთი შურიანები ვართ, თვით დონ ჟუანსაც მამათმავლობა შეგვიძლია დავაბრალოთ!

* * *

მწერალი თავის მშობლიურ ენაზე უნდა წერდეს. დედა-ენის დავიწყება - სქესის დაკარგვაზე უარესია, ხოლო "ორენოვანი" მწერალი (იშვიათი გამონაკლისის გარდა!) ჩემთვის ისეთივე გაუგებრობაა, როგორც "ორსქესოვანი" ადამიანი!

* * *

ძველად, გონიერი ხელისუფალი თავის ქვეშევრდომებს ყველაფერს როდი ართმევდა, რაღაცას უტოვებდა, რადგან ადამიანი, ვისაც ყველაფერი წაართვეს, აღარავის ემორჩილება - იგი თავისუფალია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით!

* * *

ხელმძღვანელობის ჟინით შეპყრობილი მწერალი - მწერლობის ხუშტურით აღტკინებულ ხელმძღვანელზე უარესია!

* * *

საყვარელი ნაწარმოების ხელახლა გადაკითხვა ხშირად საჭირო არცაა: იმაში მეტი სიამოვნებაა, როცა ეს წიგნი უბრალოდ გეგულება და პირველი, ყველაზე მძაფრი შთაბეჭდილება უკვე მიღებული გაქვს!

* * *

ნაყოფიერი შემოქმედებისთვის საკმარისი როდია შინაგანი თავისუფლება და ე.წ. "ობიექტური პირობები": მინიმალური კომფორტი, სიმშვიდე, განმარტოება... ხელისშემშლელი მიზეზიცაა საჭირო, რომ კარგი რამ დაიწეროს!

* * *

რემბრანდტის ოფორტის შემინულ ჩარჩოში თავის ანარეკლს მისჩერებია მავანი და ცხვირზე ამოსული მუწუკის ამორწყვას ცდილობს!

* * *

მარინა ცვეტაევა წერდა: "უსინათლოს რომ წამით დაუბრუნდეს თვალისჩინი - ესაა შთაგონება, იგი გაელვებასავითაა. ამის შემდეგ, ხელოვანმა თვალგახელილმა, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გაიაროს ის გზა, მანამდე თვალდახუჭულმა რომ გაირბინა".

* * *

სიყვარული - გაუმჟღავნებელი ფოტო-ფირივითაა: სინათლეზე გამოტანილი, ფუჭდება... ამიტომაც, ის, რაც მხოლოდ ორმა იცის, ყოველთვის სუფთა და უცოდველია, მაგრამ საკმარისია მესამე თვალმა შეხედოს და... ჭუჭყიანი საცვლები შეგვრჩება ხელში!

* * *

პოეტები, ვისაც სათქმელი არაფერი აქვთ, მკითხველის ყურადღებას მოულოდნელი, ეფექტური "ილეთებით" იპყრობენ ხოლმე. ნუ დაგვავიწყდება, რომ ყოველი "ილეთი", რასაც ჩვენი ყურადღება შინაარსიდან ფორმაზე გადააქვს, სარისკოა და ავტორის მარცხით თავდება!

* * *

ადამიანზე ხშირად ამბობენ: "მხეციაო"... არადა, რა უსამართლობაა: მხეცი არასდროს არ შეიძლება იყოს ისეთი სასტიკი, დაუნდობელი და, რაც მთავარია, დახელოვნებული ბოროტების ჩადენაში, როგორც ადამიანია!

* * *

ლექსის წერის დროს მთავარია, სიტყვებს არ აჰყვე და მათი მორჩილი არ გახდე, ფორმას არ უნდა მისცე საშუალება, ჩააქროს შენში ცოცხალი წარმოდგენის უნარი. განუწყვეტლივ უნდა ხედავდე იმას - ამბავსა თუ მოვლენას, - რაზეც წერ და შენს განცდას და ფიქრს ამ სურათის ხილვით ამოწმებდე!

* * *

ადამიანს, მისი პირადი ბედნიერებისთვის, ცოდნის გარკვეული დონე ჰყოფნის და ნუ გადავალთ ამ ზღვარს!

* * *

სიკვდილი ყოველთვის უეცარი და მოულოდნელია - ჩვენს გონებას არ ძალუძს, გაიაზროს და დაიჯეროს მისი გარდუვალობა.

* * *

რომაელები ამბობდნენ: "როცა არ შეგვიძლია მოვიქცეთ ისე, როგორც გვინდა, მოვიქცეთ ისე, როგორც შეგვიძლიაო!" ალბათ, ეს ერთადერთი პრინციპია, რითაც ვხელმძღვანელობდი მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში!

* * *

ნამდვილი პოეტი თავის თავში ცხოვრობს, ამიტომ სამშობლოდან გადახვეწილიც ვერ გახდება ემიგრანტი: იგი თვითონვეა თავისი სამშობლო!

* * *

ომი საშინელება იყო, მაგრამ ერთი "დადებითი" თვისება მაინც ჰქონდა: მისი აფეთქების შუქში წამით განათდა და გამოჩნდა დავიწყებული ზნეობრივი ფასეულობანი, რამაც შეამჭიდროვა და გააერთიანა ხალხი და თითოეული ჩვენგანი ყველაზე დიდი საშიშროებისგან - სიმარტოვისა და გაუცხოებისგან იხსნა!

* * *

რა ადვილად ეგუება ადამიანი ყოველგვარ ტექნიკურ სიახლეს: ტელევიზორს, კომპიუტერს, მრავალსართულიან სახლებს, მთვარეზე გაფრენას... და რა კონსერვატულია ჩვენი ბუნება ზნეობრივ სფეროში: ახალი მორალის დამკვიდრებას ზოგჯერ საუკუნე არ ჰყოფნის!

* * *

შემოქმედებითი სიმწიფე სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი ნიჭის ზუსტი შეფასების უნარი, როცა მხატვარმა დანამდვილებით იცის, სადაა მისი შესაძლებლობების ზღვარი... მე თავიდანვე ვგრძნობდი და მწვავედ განვიცდიდი ჩემთვის, ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანისთვის, განკუთვნილი დროის სიმცირეს, ამიტომ საწერ მაგიდას-

21952
საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ჯდომით შეძენილ ბუასილს მჩქეფარე ცხოვრება ვამჯობინე: კალმის წრიპინს - ადამიანებთან ცოცხალი საუბარი, ქალის მშვენების აღწერას - მასთან ფიზიკური ურთიერთობა, ბუნების ხატვას - ტყე-ღრეში ხეტიალი, ლიტერატურულ სიუჟეტებსა და კონფლიქტებს - თვითონ სინამდვილე თავისი სიხარულითა და ჭირ-ვარამით... ჩემი მთავარი "ნაწარმოები" - თვითონ ჩემი ცხოვრების სპექტაკლია, რომლის რეჟისორიც და მონაწილეც მე ვარ... წარმოიდგინეთ, სრულებით არ ვნაღვლობ იმას, რომ ცოტა დამიწერია! სამაგიეროდ ვცხოვრობდი, როგორც პოეტი, ყოველი ჩემი ნაბიჯი შთაგონებით იყო გაპირობებული, ყველა ჩემი დაუწერელი ლექსის ჩანაფიქრი ქმედებით გავანაღდე, ცხოვრებაში განვახორციელე და მე მგონი, უფრო ბედნიერი ვარ, ვიდრე რომელიმე მრავალი ტომეულის ავტორი!

* * *

"დონ კიხოტის" მთავარი გმირი, ჩემი აზრით, სანჩო პანსაა, დონ კიხოტი კი - რომანის მთავარი პერსონაჟი, საკმაოდ არასიმპატიური პიროვნებაა. იგი გატაცებულია ადამიანისა და ცხოვრების გაუმჯობესების აბსურდული იდეით, კარგად იცის, რისკენ მიისწრაფის და თავისი მიზნების მისაღწევად, ყველაფერს ითმენს: დაცინვას, დამცირებას, ფიზიკურ გვემას და სხვა. სანჩოს კი არავითარი იდეა არ გააჩნია, მას უბრალოდ უყვარს თავისი ბატონი, რომელსაც ერთგულად ემსახურება. სანჩოს სიდიადეც ამაშია: იგი კეთილია და მოწყალე, მას კონკრეტული სიყვარული შეუძლია, მაშინ როდესაც დონ კიხოტს, არა სიკეთისა და მოწყალების გრძნობა, არამედ აბსტრაქტული იდეა ამოძრავებს... ლამანჩელ რაინდს მხოლოდ ერთი ღირსება აქვს, უანგაროა. ეს რომ მოვაშოროთ, ჩვეულებრივი ფანატიკოსი შეგვრჩება, ვისაც (კომუნისტების მსგავსად!) ჯიუტად და განუკითხავად თავისი "წესრიგის" დამყარება სურს ქვეყანაზე!

* * *

მახსოვს, მოსკოვში, ერთ ოჯახში ჩემი ლექსების რუსულ თარგმანებს ვკითხულობდი. მასპინძელმა მთხოვა, ქართულადაც წამეკითხა ლექსი. მსმენელთა შორის გოგონა იჯდა, ჩვენი მასპინძლის ქალიშვილი. ბავშვი იყო. დიდი ყურადღებით მისმენდა და როცა დავამთავრე, პირდაღებული მომაჩერდა. სტუმრები აყაყანდნენ: ქართული ენა ძალიან ლამაზიაო, ძველ ბერძნულსა ჰგავსო... მასპინძელმა შვილს შეხედა: გაიგე, ძიამ რა თქვაო?

- სიტყვები ვერ გავიგე, მაგრამ მივხვდი, სიმართლეს ლაპარაკობდაო, - არაბავშვური სერიოზულობით უპასუხა გოგონამ.

ამისთანა დიდებული შეფასება ჩემს ლექსს არასდროს ღირსებია!

* * *

ვიღაც მოდის და გვეუბნება იმას, რაც ჩვენ დიდი ხანია ვიცით და მაინც, მიუხედავად ამისა, ყურადღებით ვუსმენთ ამ კაცს მისი სიტყვების სიახლითა და მოულოდნელობით გაოცებულნი... ამაშია გენიოსის თავისებურება!

* * *

ხშირად მომხდარა, სიმართლე არ მითქვამს, მაგრამ ტყუილს ყოველთვის ვერიდებოდი. სიმართლის ართქმა და ტყუილის თქმა - ერთიდაიგივე როდია.

* * *

ქართულ ეროვნულ ხასიათში მუდამ არის პოზის ელემენტი - ერთგვარი დახვეწილობა, რასაც რუსები "იზისკს" ეძახიან. ეს "პოზა" სიყალბეს სრულებით არ ნიშნავს, იგი ქართველი კაცის ბუნების განუყოფელი ნაწილია, მისი მეტყველებისა და მოქმედების "სტილი"... "სამშობლოს მთებო, თქვენი შვილი განებებთ თავსა"... (ი.ჭავჭავაძე), "წარვედ წყლისა პირს, სევდიანი, ფიქრთ გასართველად..." (ნ.ბარათაშვილი). "რა სიჩუმეა! მთვლემარე კორდზე მე შევაყენე დაღლილი ცხენი..." (გალაკტიონი).

დაუკვირდით, რა ღირსეულადაა ნათქვამი საკმაოდ პროზაული, ყოფითი გარემოების შესახებ!.. ერთი საყურადღებო ამბავი მიამბეს. მხატვარი ე.მაღალაშვილი კონსტანტინე გამსახურდიას პორტრეტს ხატავდა. ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ქამარ-ხანჯლიანი კონსტანტინე სულ დაძაბულ, მედიდურ "პოზაში" იჯდა და მხატვარი წამდაუწუმ ეხვეწებოდა: ბუნებრივად, თავისუფლად დაჯექითო... მაგრამ, როგორც კი ბატონი კონსტანტინე მოეშვებოდა, თავისუფლად და ბუნებრივად იგრძნობდა თავს, იმწამსვე ჩაეძინებოდა!..

* * *

ხშირად ვეკითხები ჩემს თავს: რატომ ვწერ ლექსებს? რა ძალა მადგას, რომ ამ "ჩიტის ენაზე" გამოვთქვამ ჩემს ფიქრებსა და განცდებს? იქნებ "პოეტობა", წინააღმდეგ გამეფებული აზრისა, პროფესია კი არა, თავისებური ფსიქიკური დაავადებაა, რასაც პასტერნაკმა "ამაღლებული სნეულება" დაარქვა?

მაინც რა არის პოეზია? რას წარმოადგენს ხელოვნება, რომლის გარეშე, ადამიანის სიცოცხლეს - ერთადერთს, რაც დასაფასებელია ამ პლანეტაზე, აზრი დაეკარგებოდა?!

პოეზია, ალბათ, სინამდვილის ნარჩენის, მისი შენარჩუნებისა და გახანგრძლივების ცდაა: "მშვენიერი ხარ, წამო, შეჩერდი!" ასეთია ხელოვნების ფორმულა...

პირველი ლექსი თორმეტი წლისამ დავწერე. ზაფხული იყო და სოფელში ვისვენებდი. იორზე წავედი სათევზაოდ, იქ, შემთხვევით, რაღაცას შევხედე, მომეწონა, სახელი დავარქვი და წინადადებას, ჩემში რომ იშვა, მეორეც მოჰყვა; ორი სტრიქონი ერთმანეთს გაერითმა და ამ თამაშმა იმდენად გამიტაცა, ყველაფერი დამავიწყდა: თევზიც, ანკესიც, ჭიაყელებიც... ერთი საზრუნავიღა მქონდა: ჩემი გამოგონილი სიტყვები არ დამვიწყებოდა და რაკი ქაღალდი არ აღმომაჩნდა, პირველყოფილი ადამიანივით, რიყის ბრტყელ ქვებზე ამოვკაწრე სიტყვები და ქვებით დატვირთული შინ დავბრუნდი...

იმის შემდეგ დიდი დრო გავიდა. ისევ და ისევ ჩემს თავს ვეკითხები: რატომ ვწერ ლექსებს? მარტო იმიტომ, რომ მსიამოვნებს? რასაკვირველია, არა, რადგან ზოგჯერ მგონია, ჩემი დაწერილი სხვებსაც ჭირდება და მაშინ, ამ ფიქრს აყოლილმა, ლამის დავიჯერო, რომ ზუსტი ცოდნისა და პრაქტიკული გაანგარიშების ხანაში, პოეზიას შეუძლია დაიცვას და გადაარჩინოს ადამიანი "ტექნიკური გაველურებისაგან"!.. მართალია, მხატვრული სიტყვის მოქმედების არე შეზღუდულია, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ახლა, როგორც არასდროს, საჭიროა სიკეთისა და სილამაზის გრძნობა ჩავუნერგოთ ადამიანს, შთავაგონოთ ვაჟკაცობა და სიმხნევე, კეთილშობილება, აწმყოსა და მომავლის რწმენა, რათა ღირსი გავხადოთ იმ ძალისა და თავისუფლების, რაც ადამიანს თანამედროვე ტექნიკურმა პროგრესმა მიანიჭა. შეუძლია კი პოეზიას ამდენი? მე მგონი, შეუძლია და ამ მიზანს ემსახურება ჩემი კალამი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# უოლტ უიტმენი






# "მზის ნათელი"

## რალფ უ. ემერსონი



სერ!

მხოლოდ ბრმა ვერ დაინახავს, თუ რა ძვირფასი საჩუქარია თქვენი "ბალახის ფოთლები". სიბრძნითა და თვითმყოფადი ნიჭით იგი ყველაფერს აღემატება, რაც კი დღემდე შეუქმნია ამერიკას. მე ბედნიერი ვარ, რომ ვკითხულობ ამ წიგნს, რადგან დიადი ძალა ყოველთვის ბედნიერებას გვანიჭებს, თქვენ გააკეთეთ ის, რის გაკეთებასაც ვესწრაფოდი მუდამ, იმიტომ რომ აქ, დასავლეთში, ადამიანთა სულებს სისხლნაკლულობა და სიბერწე შეეპარათ, ქონი დაედოთ და დამძორდენ, თითქოს მეტისმეტი შრომისაგან გამოიფიტნენო. მე აღფრთოვანებული ვარ თქვენი თამამი და თავისუფალი აზრების გამო. მათ გული სიხარულით ამივსეს. ამ წიგნში მე ვპოვე შეუდარებელი საგნები, რომლებიც ასევე შეუდარებლად არის გამოხატული, სწორედ ისე, როგორც უნდა გამოხატულიყო. თქვენ შეჰქმენით გაბედული, ლაღი სტილი, რაც ასე გვხიბლავს და რასაც მხოლოდ დიადი შემეცნება შთაგვაგონებს.

დიდი სარბიელის კარიბჭესთან მოგესალმებით!

ამ სარბიელამდე თქვენ უეჭველად, რაღაც ხანგრძლივმა და ძნელმა გზამ მიგიყვანათ. მე თვალებს ვიფშვნეტდი, რომ დავრწმუნებულიყავი - მზის ეს ნათელი ხომ არ მეჩვენება-მეთქი. მაგრამ ამ წიგნის სიდიადე ნამდვილად არსებული სინამდვილეა. მას ჭეშმარიტი ღირებულება ახლავს, სახელდობრ, მწედ უდგას მხარში და გულოვნებას მატებს ადამიანს.

წუხანდლამდე, სანამ გაზეთში რეკლამირებული თქვენი წიგნი არ ვიხილე, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასეთი რეკლამისადმი და ჩვეულებრივი სახელისადმი ნდობით განვიმსჭვალებოდი. მე ისე მომინდა იმ კაცის ნახვა, ვინც ამდენი სიკეთე მომანიჭა, რომ კინაღამ არ მივატოვე სამუშაო და არ წამოვედი ნიუ-იორკში, რათა თქვენთვის ჩემი პატივისცემა დამედასტურებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯონ ედინგტონ საიმონდსი

# "მკურნალი"



მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ახალგაზრდობას მისი სული მხსნელად მოევლინება და მასზე ნაყოფიერ გავლენას მოახდენს. თავს ნებას მივცემ მოგიყვეთ, თუ რაზომ კეთილად იმოქმედა უიტმენმა ჩემზე. არისტოკრატების უმრავლესობის მსგავსად მეც ჰეროუსა და ოქსფორდში ვიზრდებოდი, სადაც ჩემი სუსტი ჯანმრთელობის გამო უფრო მეტად მეცნიერებას ვეწაფებოდი, ვიდრე სპორტს, და უკვე იმ გზაზე ვიდექი, რომ მოსაწყენზე მოსაწყენ პედანტად ვქცეულიყავი. 1865 წელს, ჯანმრთელობა იმდენად შემერყა, რომ ნათელი შეიქნა, ყველა ცხოვრებისეული ასპარეზი შეიძლებოდა დახშულიყო ჩემთვის. იმავე წლის შემოდგომაზე ჩემმა ამხანაგმა, პროფესორმა მაიერსმა ხმამაღლა წამიკითხა "ბალახის ფოთლებიდან" ერთ-ერთი პოემა. თითქოს გუშინ ყოფილიყოს, ახლაც ისე ჟღერს მისი მელოდიური ხმა, რომელიც ელექტრონის დენივით ედებოდა მთელ ჩემს არსებას და შიგ გულისგულში აღწევდა. მაგრამ ოცი წლის განმავლობაში მე ამაოდ როდი ვიყავ ჩაძირული ბერძნულ-ლათინურ კულტურაში: ჩემი აკადემიური ცრურწმენები, ჩემი ლიტერატურული გემოვნება, ჩემი არისტოკრატიული აღზრდის სინატიფე და განსაკუთრებულობა, - ყველაფერი ეს ამ უხეშად დაკორძილი, მოუხეშავ-მოტორტლილი პოეტის წინააღმდეგ განმაწყობდა. მისი სტილი მაღიზიანებდა, მაგრამ მალე უოტ უიტმენმა სავსებით განმკურნა ზემოთხსენებული სამარცხვინო სიძაბუნისაგან. მან გამაგებინა დემოკრატიული მეცნიერული გონისა და ფართო, ყოვლისმომცველი რელიგიის ჰარმონია, რისკენაც საყოველთაო ძმობისა და სამყაროს მეცნიერული წვდომის მეშვეობით ილტვის თანადროული კაცობრიობა. მან ხორცი შეასხა და კონკრეტული სიცოცხლე მიანიჭა იმ რელიგიურ გრძნობას ჩემს გულში გოეთეს, რომაელი და ბერძენი სტოიკოსების, ჯორდანო ბრუნოსა და ევოლუციური დოქტრინის დამაარსებელთა მეშვეობით რომ ყალიბდებოდა. მან ჩამინერგა რწმენა და მაიძულა მეგრძნო, რომ ოპტიმიზმი უბრალო ახირება და უაზრობა არ არის. უიტმენი მამხნევებდა და მიმსუბუქებდა ჭირს იმ შავსა და ავბედით წლებში, როცა მე ავადმყოფობის გამო იძულებული უმაქნისობისა და გონებრივი უმოქმედობის წერა გავხდი. და რაც უმთავრესია, მან შემაძლებინა უკუმეგდო ჩვენი განსწავლული ფენის ბევრი წვრილმანობა, აზრის სივიწროვე და ფუჭსიტყვაობა. მან ამიხილა თვალი იმაზე, თუ რაოდენ ლამაზი, მადლითცხებული და დიადია ყოველი ადამიანი, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს იგი. მისი მეოხებით მე ძმად გავეფიცე ყველა ერსა და ფენას, მიუხედავად რწმენის, კასტის, რელიგიისა და განათლების სხვადასხვაობისა. უიტმენს ვუმადლი, ჩემს საუკეთესო მეგობრებად რომ მიმაჩნია შვილნი ამა სოფლისა - შავი მუშები, ის "უწიგნური დევკაცები", რომელთაც მთელი გულით უმღეროდა იგი.

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

რომენ როლანი

# „ფარული სული"



უიტმენის რელიგია კონცენტრირებულია ერთ სიტყვაში, რომელიც ინდური სულის მუსიკასავით ხმიანებს: იგივეობა. ყოვლისმიერი იგივეობა სიცოცხლის ყველა ფორმასთან. განხორციელებული ერთიანობის უშუალობა და იმის ღრმა რწმენა, რომ ყოველი წამი და ყოფიერების უმცირესი ატომიც კი მარადიულია.

როგორ დაეუფლა უიტმენს ასეთი რწმენა? ძნელი წარმოსადგენია, რომ მას ოდესმე წაეკითხოს ინდური წიგნები. როცა 1856 წლის ნოემბერში ტორომ უთხრა, შენი „ბალახის ფოთლები" აღმოსავლურ პოემებს მაგონებს, ხომ არ იცნობ რომელიმე მათგანსო, უიტმენმა კატეგორიული „არათი" უპასუხა. და ჩვენ საბაბი არა გვაქვს ამაში დაეჭვებისა: ის ცოტას კითხულობდა და არ უყვარდა ბიბლიოთეკები და წიგნზე გაზრდილი ხალხი. იგი ერთხელაც არ დაინტერესებულა, რამდენად სწორი იყო კონკორდის ვიწრო წრეში შექმნილი შეხედულება იმის თაობაზე, რომ მისი მსოფლმხედველობა აზიურ მოძღვრებებს უახლოვდება. ყოველთვის, როცა თავის ჰომეროსისეულ ჩამოთვლებში ინდოეთის სახე შემოაქვს, გამოთქმათა უკიდურესი ბუნდოვანება წარმოადგენს საგნის არცოდნის საუკეთესო დასტურს...

მით უფრო საინტერესოა, როგორ შეძლო მან, თავისი პიროვნების (ასპროცენტიანი ამერიკელის) საზღვრებიდან გაუსვლელად თავისდაუნებურად გამოეხატა ვედანტური თვალსაზრისი. აკი ეს მსგავსება ემერსონის წრიდან არავის გამოეპარვია, არც თვითონ ემერსონს, ავტორს ნაკლებად ცნობილი, მაგრამ შესანიშნავი ხუმრობისა: „ბალახის ფოთლები" მე მაგონებს „ბჰაგავატ გიტას" და „ნიუ-იორკ ჰერალდის" ნაზავსო.

რა პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, უიტმენი თავისი რასის შინაგანი არსიდან, ამ რასის რელიგიური მემკვიდრეობიდან გამოდიოდა. მამის მხრივ, მისი ოჯახი კვაკერიზმის მემარცხენე ფრთას ეკუთვნოდა... ეს, ყოველგვარი ეკლესიისგან და კრედოსაგან თავისუფალი ინდივიდუალისტები რელიგიის არსს შინაგან ნათელხილვასა და „უსიტყვო ექსტაზში" ხედავდნენ. ასეთ ზნეობრივ წინასწარგანწყობას უკვე ბავშვობიდანვე ხელი უნდა შეეწყო უიტმენისათვის გამოემუშავებინა მისტიკური თვითდაუნჯების ჩვეულება. და მას ბუნებისაგან მონიჭებული ჰქონდა რაღაცნაირი ხარბი ამთვისებლობა, რომელიც აიძულებდა მსოფლიო ზვრებიდან არა მარტო ტანჯვისა და ნეტარების მტევნები ეკრიფა ჩვეულებრივ მოკვდავთა მსგავსად, არამედ მეყსეულად ყველა მის მიერ ხილულ საგნად გარდასახეულებულიყო. მან ეს იშვიათი თვისება აღწერა თავის ერთ განსაცვიფრებელ პოემაში „შემოდგომის ნაკადულები". პირწმინდა ინსტინქტის მსგავსად, გაუცნობიერებლად, მთელი სამყარო მისთვის ობიექტი კი არ იყო, არამედ სუბიექტი, - იყო თვითონ ის... და ეს უმაღლეს ექსტაზს, ბჰაქტაიოგას მიმდევართა ყველაზე თავდავიწყებულ სამადჰის გავდა.

აქ ჩვენს წინაშეა ვედანტიზმისადმი მიდრეკილების ტიპიური გამოვლინება. ეს მიდრეკილება ფაქტობრივად, ყველა ქვეყანასა და ყველა ეპოქაში ადამიანის სულის თვისებას წარმოადგენს და სრულიადაც არ არის დაკავშირებული რომელიმე ერთი ქვეყნის რელიგიური მოძღვრების სისტემასთან, როგორც ამას შეცდომით ვარაუდობს ზოგიერთი ინდოელი ვედანტისტი. ასეთნაირი განწყობილება ფარული სახით ყველგან არსებობს, ყოველი კაცის გულში. განსაკუთრებით ეს ითქმის დიდ ხელოვანთა შესახებ, რომელთა არსებაში არა მარტო აირეკლება, არამედ ხორცს ისხამს მთელი სამყარო.

რა უცნაურია, რომ ეს რწმენა არ შეეჯახა ვივეკანანდას რწმენას! იგი უნდა განეცვიფრებინა მთელ რიგ მოულოდნელ შეხვედრებს, დიდად მკვეთრსა და დაჟინებულს უიტმენთან, მაგალითად, მის უაღრესად მტკიცე რწმენას იმის შესახებ, რომ პიროვნება „ტრილიონი წლების წიაღ" მოგზაურობს და რომ გამუდმებული „გარდასახეულებისას" გათვალისწინებულია ყველა წინა არსებობის წაგებ-მოგება. იგი უნდა განეცვიფრებინა „ატმან-ბრაჰმანის" შესაბამის ორმაგ „მე"-ს, რომელთაგან არცერთს არა სურს ქედი მოიდრიკოს მეორის წინაშე, „მაიას ბადეს", რომელსაც ის გლეჯს, რათა ფართო ჭუჭრუტანებიდან ღვთის მოელვარე თვალი იხილოს...

უიტმენს ვივეკანანდასთან ანათესავებდა პიროვნულ თვისებათა ზოგიერთი მხარე. ის ზვიადი ქედმაღლობა, რომელიც ნებას რთავდა ღმერთისთვის გაეტოლებინა თავი („არავინ, თავად ღმერთიც კი, არ ნიშნავს კაცისთვის უფრო მეტს, ვიდრე თვითონაა"). მშვიდობიანობის



ეროვნული ბიბლიოთეკა

მტრის და შერკინების მოსურნე გულოვანი ქშატრიის მეომრული სულისკვეთება, რომელიც არა თუ უკრთის, პირიქით, თვითონ მოუხმობს ხიფათს და სიკვდილს. და ბოლოს, საშინელის ის კულტი, ჰიმალაის მთებში მოგზაურობისას ვივეკანანდას პირქუშ აღსარებებს რომ გვაგონებს ("ჩემიანებად მიმაჩნიხართ. თქვენ - საზარელო, მუქარით სავსე ჩვენებანო").

და მაინც, ნათლად ვხედავ, რა არ მოეწონებოდა უიტმენში ვივეკანანდას: ეს არაბუნებრივი ნაზავი "ნიუ-იორკ ჰერალდისა" და "გიტასი", რომელმაც ემერსონის ასეთი ღიმილი გამოიწვია, ეს მეტაფიზიკური ჟურნალიზმი, ეს იაფი, ლექსიკონებიდან ამოკრეფილი ერუდიცია, ეს ცოტა არ იყოს, ბაზრული მორთულობა წვეროსანი ნარცისისა, ეს მეტისმეტი კმაყოფილება თავისი თავით და თავისი ხალხით, ეს დემოკრატიული ამერიკანიზმი, ბალღური ამაოება და სარკის წინ ფრთაგაშლილი ვულგარიზმი, - ყველაფერ ამას დიდი ჰინდუსის არისტოკრატიული ათვალისწუნება უნდა გამოეწვია, განსაკუთრებით კი იდეალიზმის მაკომპრომეტირებელ სიახლოვეს "მეტაფსიქიკის" საეჭვო გასართობებთან - სპირიტიზმთან, მოჩვენებებთან და სხვ., რაც ჭირისდღესავით სძაგდა ვივეკანანდას...

მაგრამ მივაგებთ რა საკადრის ადგილს ვივეკანანდას გვერდით, მაინც მოვერიდებით ამერიკაზე უიტმენის გავლენის გადამეტებულ შეფასებას. მასათა ამ ჰომეროსმა ვერ შეძლო მასებში შეღწევა. ამერიკაში დემოკრატიის დიადი ბედის მაუწყებელი ეს წინასწარმეტყველი კვდებოდა გაუგებარი, ახალი ქვეყნის დემოკრატიების მიერ შეუმჩნეველი. ღვთაებრივი საშუალოების ამ მგალობელს იყვარებდნენ და თაყვანს სცემდნენ მხოლოდ ხელოვანთა რჩეული წრეები და ამასთან, უფრო მეტად ინგლისელები, ვიდრე ამერიკელები. მაგრამ ასეთია ბედი ყველა წინამორბედისა და ამის გამო ისინი სულაც არ არიან უფრო ნაკლებ ჭეშმარიტი წარმომადგენლები თავიანთი ხალხებისა, თუნდაც რომ საკუთარი ქვეყანა მათ არ აღიარებდეს. მათში დროზე ადრე თავისუფლდება სიღრმისეული ძალები, რომლებიც ადამიანთა მასაშია დაფარული და რომელსაც ეს მასა თვითონვე თრგუნავს. უიტმენი იყო გენიალური წინამორბედი იმ ფარული სულისა, რომელსაც ეძინა (სავსებით არც ახლაა გაღვიძებული) მისთვის მშობლიური ხალხის ოკეანისეულ სიღრმეებში.

არილი




კნუტ ჰამსუნი

# "ველური სიტყვების საზეიმო თამაში"...



1855 წელს, ბოსტონში გამოვიდა წიგნი, რომელსაც ემერსონი წერილით გამოეხმაურა, ხოლო მეორე გამოცემა ლონდონში - რუდოლფ შმიდტის მსჯელობის საგნად იქცა. წიგნის სათაურია "ბალახის ფოთლები", პოეტის სახელი და გვარი გახლავთ უოლტ უიტმენი, ვისაც იმ ხანებში მხოლოდ 36 წელი შესრულებოდა. თვითონ მწერალი თავის ნაწარმოებს "სიმღერებს" უწოდებს ისევე, როგორც რუდოლფ შმიდტი. ემერსონს კი, რომელიც მეტად სუსტი სისტემატიკით გამოირჩევა, მისთვის არავითარი განსაკუთრებული სახელწოდება არ გამოუძებნია. სინამდვილეში უიტმენის თხზულებები იმდენადვე ჰგავს სიმღერას, რამდენადაც გამრავლების ტაბულას. ისინი პროზად არის დაწერილი, ყოველგვარი საზომის გარეშე, ურითმოდ. ლექსებს მხოლოდ იმით გვაგონებენ, რომ ერთ სტრიქონში ორი ან სამი სიტყვაა მომდევნოში რვა ან ათი, ხუთი ან ცამეტი და ასე ორმოცდასამ სიტყვამდე.

მწერალი თავის თავს "მსოფლიო მოვლენას" უწოდებს. რუდოლფ შმიდტიც აგრეთვე "მსოფლიო მოვლენას" უწოდებს მას. თვითონ მე მიჭირს რომელიმე ცნება მივუსადაგო ისეთ არაჩვეულებრივად ფართო წარმოდგენას, როგორც "მსოფლიო მოვლენაა", ვინაიდან "მსოფლიო მოვლენად" წოდებული კაცი სწორედ ამიტომ შესაძლებელია გადაიქცეს კოსმოსად, სივრცედ ანდა ყველაფრად, რის გამოც მე ვამჯობინე მისთვის უბრალოდ ველური მეწოდებინა.

უიტმენი ბუნების ძახილია ამ დაუხვეწავ, პირველყოფილ ქვეყანაში, მის ენასა და გრძნობებში გამოსჭვივის რაღაც ინდიელთათვის დამახასიათებელი. იგი უპირატესად უმღერის ბუნებას, ზღვას, ჰაერს, მიწას, ხეებს, ბალახებს, მთებსა და მდინარეებს. თავის სამშობლოს -

ლონგ აილენდს, - იგი ყოველთვის ინდიური სახელით პაუმანოკით მოიხსენიებს... მის ლექსებში თავდაპირველი დასახელებების მთელი პწკარებია. მას იმდენად იტაცებს ამ სიტყვების პრიმიტიული მუსიკა, რომ ამ დასახელებებით ავსებს სტრიქონებს მაშინაც კი, როცა ტექსტს არავითარი კავშირი არა აქვს მათთან. ზოგჯერ იგი რიგრიგობით ჩამოთვლის ხოლმე შტატებს, მაგრამ არაფერს ამბობს თვითონ შტატებზე. ეს არის ველური სიტყვების საზეიმო თამაში...

ამ ლექსების წასაკითხად სულ ცოტა ორჯერ მეტი შთაგონება მაინცაა საჭირო, ვიდრე იმისთვის, რომ ისინი დაწერილიყო. მის სტილს ვერ დაერქმევა ინგლისური. იგი საერთოდ, ცივილიზებული მსოფლიოს არანაირ სტილს არ მიეკუთვნება. ეს არის მძიმე ინდიური ხატოვანი სტილი სახეების გარეშე, ალბეჭდილი ბიბლიის დამამძიმებელი გავლენით, რაც ყოველგვარ გაგებას აღემატება. მისი ენა მძიმე და ბუნდოვანია...

უიტმენის ენაში არ იგრძნობა ხალხური ენის შეფარული სიმაგრე, არის მხოლოდ მყივარი ძალმოსილება. ხან აქ, ხან იქ, ორკესტრის გუგუნივით გამოიჭრება ხოლმე გამარჯვებულთა აღტაცებული ყიჟინა, რაც გადაღლილ მკითხველს ინდიელთა საომარ როკვას აგონებს. ყველგან სიტყვების ამ დაუცხრომელ ველურ ყიჟინას აწყდები. პოეტი დაძაბულად ცდილობს რაიმე საჩინოჰყოს თავისი ლექსებით, მაგრამ ვერ აღწევს ამას. მისი ბევრი ლექსი მხოლოდ სახელწოდებებისაგან არის შედგენილი ისე, რომ ყოველი ცალკეული სტრიქონი სათაურად შეგვეძლო მიგვეღო...

თავისთავად ცხადია, თუ ცივილიზებული მკითხველი მხედველობაში მიიღებს იმას, რომ უიტმენი თავის მოძღვრებად ქრისტეს, სოკრატესა და პლატონს ასახელებს, მას უთუოდ ეგონება, რომ პოეტი, მთლად ვერ არის ჭკუაზე. ემერსონსა და ინგლისელებს, როგორც ჩანს, მის ლექსებში აღაფრთოვანებდა სახელთა უსასრულო რიგები, კატალოგის მსგავსი კოლონები. უეჭველია, ეს ყველაზე არაჩვეულებრივი და ორიგინალური თვისებაა მისი ნაწერებისა, ეს არის ლიტერატურული ფენომენი, რომლის მსგავსი არაფერი გვინახავს. მთელი მისი წიგნი სავსეა ამ გაუთავებელი სიებით...

რა უნდა უოტ უიტმენს?.. არავინ იცის. მე ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს კაცი, რომელსაც ამდენი ეთქვას ისე, რომ არაფერი იყოს თქმული. ამ ხელოვნებაში მას ბადალი არა ჰყავს. მისი სიტყვა მხურვალეა, იგი გიზგიზებს. მასშია ძალა, ვნება, შთაგონება... ჩვენ ვგრძნობთ, როგორ ღელავს მისი მკერდი, მაგრამ არ შეგვიძლია გავიგოთ, რით არის ასე აღფრთოვანებული ავტორი. მისი წიგნი გრგვინავს და ქუხს, მაგრამ ელვა და ნაპერწკალი არა ჩანს, გვერდი გვერდს მიყვება, აზრს კი ვერა და ვერ პოულობ. და ეს აღტაცებით დატენილი სიტყვის კოლონები პირდაპირ თრგუნავს, ჩლუნგი უიმედობით მიწამდე დრეკს მკითხველს. მათი დაუსრულებელი მონოტონურობა, ბოლოს და ბოლოს, გამაბრუებლად მოქმედებს მკითხველის ცნობიერებაზე. წიგნის ბოლო გვერდზე იგი უკვე კარგავს იმის უნარს, რომ ოთხამდე დაითვალოს. ეს პოეტი ჩვეულებრივი ადამიანების აზროვნებით შესაძლებლობებს სრულიად ანადგურებს...

მას ძალიან ცოტა, ანდა სულაც არაფერი წაუკითხავს და ძალიან ცოტა, ანდა თითქმის არაფერი განუცდია...

თავისი ბუნების თანდაყოლილი პირველყოფილების შედეგად უიტმენს მეტნაკლებად პრიმიტიული შინაარსის მქონე წიგნები უყვარს. ამიტომ ბიბლიის კითხვა მას განუზომელ პოეტურ ნეტარებას ჰგვრის. ბიბლიის კითხვამ არამცთუ ხელი შეუწყო მისი ველური სტილისტური მიდრეკილებების აღმოფხვრას, პირიქით, კიდევ უფრო განავითარა ისინი. მის ლექსებში გამუდმებით იპარება ბიბლიური გამოთქმები და აზრთა ბიბლიური მიმოქცევა. მისი თხზულებების ზოგიერთი ადგილი იმდენად ჰგავს ბიბლიურ ტექსტს, რომ პირდაპირ გიკვირს, რაზომი სიღრმითა აქვს შეთვისებული ეს გარდასული პოეტური ფორმა...

ბიბლიურ პოეზიასთან ყოველდღიურმა ზიარებამ, როგორც ჩანს, გარკვეული სითამამე მიანიჭა მის ლიტერატურულ ნაწარმოებებს, და იგი მოურიდებლად ლაპარაკობს დიდად სარისკო ამბებზე.

იგი უხეშად აღწერს ვნებიან მგრძნობელობას და განუვითარებელი გონების ნააზრევს, - ამაში გამოიხატება მისი თანადროულობა. მაგრამ ეს რეალიზმი გაცნობიერებული მხატვრული სითამამის ნაყოფი როდია, - იგი ბუნების პირველყოფილი შვილის გულუბრყვილობიდან გამომდინარეობს. "ბალახის ფოთლების" ეროტიკული განყოფილება, რისთვისაც მან დაჰკარგა სამსახური და რის გამოც ულტრაზნეობრივი ბოსტონელების გოდება ცასა წვდებოდა, სინამდვილეში მხოლოდ იმას შეიცავს, რაზედაც დაუსჯელად შეიძლება წერა ყველა ქვეყანაში, თუმცა ისიც მართალია, რომ მისი თამამი აზრები უხეში მოურიდებლობით არის გამოხატული...

უოტ უიტმენის გულუბრყვილობა უსაზღვროა იმ ზომამდე, რომ ზოგჯერ მკითხველსაც გადაედება ხოლმე. ამ განსაცვიფრებელმა გულუბრყვილობამ მოუპოვა მას რამდენიმე მომხრე ლიტერატორთა შორის... მაგრამ მას რომ ეს განსაცვიფრებელი და სრულიად გულწრფელი გულუბრყვილობა არ ახასიათებდეს, მის ლექსებს საერთოდ არავინ წაიკითხავდა იმიტომ, რომ მათში ნატამალიც არ არის პოეტური ტალანტისა...

მას მეტისმეტად დაუდეგარი გონება და განუვითარებელი აზროვნება აქვს იმისათვის, რომ რომელიმე საგანზე შეჩერდეს და მას უმღეროს. იგი გამოხატავს ცხოვრებას საერთოდ, არ ასხვავებს ცალკეული საგნების ნატიფ თავისებურებებს. მას მხოლოდ მათი ხმაურიანი რაოდენობა აკვირვებს. იგი ყველგან და ყოველთვის მასებს ხედავს...

ამ კაცის გულუბრყვილობა იმდენად პრიმიტიული, ცინცხალი და საყვარელია, რომ არასოდეს ტოვებს გამოგონილის შთაბეჭდილებას. იქაც კი, სადაც ეს თვისება ყველაზე ძალუმად არის გამოხატული და ყველაზე ნაკლებ არის მოტივირებული, სრულიადაც ვერა გრძნობ მის პატივმოყვარეობას.

უიტმენი ძალიან კარგი კაცია. და მაშინაც კი, როცა შინ მოსახმარი საგნების სახელწოდებებისაგან თავის ხუხულებს აგებს, ასე გგონია გეხვევა და გეფერებაო...

უიტმენი ბუნებით ნიჭიერი პიროვნებაა, მასში ბევრი განწყობილებაა, მაგრამ იგი მეტისმეტად გვიან დაიბადა... უიტმენი უფრო მეტად ადამიანია, ვიდრე ნიჭიერი პოეტი. მას არ შეუძლია წერა, მაგრამ შეუძლია იგრძნოს. იგი გრძნობებით ცხოვრობს. ემერსონს რომ მისთვის წერილი არ მიეწერა, მის წიგნს ვერავინ შენიშნავდა და ეს სავსებით ბუნებრივი იქნებოდა.

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორხე ლუის ბორხესი

# „უოლტ უიტმენი"



Ერთ დროს უიტმენი მიმაჩნდა არა მარტო დიდ პოეტად, არამედ ერთადერთ პოეტად. მე ნამდვილად ვფიქრობდი, რომ 1855 წლამდე ყველა პოეტი უიტმენისკენ მიდიოდა და რომ მისი არმიბაძვა უმეცრების დამამტკიცებელი იქნებოდა...

უიტმენის ლექსები ფსალმუნებზე რთულია. ამოსავალი წერტილი, რა თქმა უნდა, ფსალმუნებია. გარდა ამისა, ბიბლია სამაგიდო წიგნია ინგლისში და ინგლისური წარმოშობის ხალხებისათვის. და არა ნაკლებ, ვიდრე შექსპირი. ცხადია, რომ უიტმენი დავალებულია ბიბლიისაგან თავისი ინტონაციით, თავისი ხმით. ეს ინგლისური ენის თავისებურებაა. ინგლისელები, ჩვეულებრივ, ბიბლიურ ფრაზებს ბრჭყალებში არ სვამენ. ეს ფრაზები იქ სრულიად ბუნებრივად ჟღერს. ბიბლიური გამოთქმები ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ინგლისურ ენას...

დაუახლოვო ერთმანეთს უიტმენი და პოლ ვალერი, ერთი შეხედვით, უცნაური და, რაც ბევრად უარესია, უპერსპექტივო საქმეა. ვალერი უკიდეგანო ოსტატობის სიმბოლოა და ამასთანავე, უკიდეგანოდ დაუკმაყოფილებელია, ხოლო უიტმენს თითქოსდა უადგილო, მაგრამ არაჩვეეულებრივი ნიჭი აქვს იყოს ბედნიერი. ვალერი სულის ლაბირინთების შესანიშნავი განსახიერებაა, უიტმენი - სხეულის დაუნაწევრებელი ამოძახილებისა. ვალერი ევროპისა და მისი მშვიდი დაისის სიმბოლოა, უიტმენი ამერიკის განთიადისა. მთელ ლიტერატურულ სამყაროში ძნელად თუ დაიძებნება პოეზიის განმასახიერებელი ორი ესოდენ შეურიგებელი პიროვნება. და მაინც, მათ აქვთ შეხების საერთო წერტილი: ჩენთვის მათ ლექსებს უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ამ ლექსებით შობილ, მათ მიერვე გამოჭედილ პოეტის სახებას.

ინგლისელი პოეტი ლესელზ ებერკრომბი დამსახურებულად ასხამს ხოტბას უიტმენს იმისთვის, რომ „მან საკუთარი ფასდაუდებელი გამოცდილების საგანძურიდან თანამედროვე, მცირე, მაგრამ ჭეშმარიტ მიღწევათა შორის, ერთ-ერთი ცოცხალი და განუმეორებელი სახე შექმნა". ხოტბა რამდენადმე ბუნდოვანი და გადაჭარბებულია, თუმცა ერთი უდავოა: ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს ტენისონის პოეზიით გულმოყირჭებული თაყვანისმცემელი და „ბალახის ფოთლების" ნახევრად ღვთაებრივი გმირი. განსხვავება პრინციპულია: უიტმენი თავის რაფსოდიებს წარმოსახული არსების სახელით ჰქმნიდა, იმ არსების სახელით, რომლის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდა თვითონ, დანარჩენს მკითხველები შეადგენდნენ. აქედან - შეუთავსებლობა, რაც ასე აღიზიანებდათ კრიტიკოსებს, აქედან - ლექსებში იმ ადგილებზე მითითების ჩვეულება, სადაც არასოდეს ყოფილა ავტორი, აქედანვე - მისი ქვეყნად მოვლინების დაფიქსირება, ერთი მოწმობის მიხედვით, რომელიღაც სამხრეთ შტატში, ხოლო მეორის მიხედვით (და ნამდვილად) ლონგ აილენდში.

უიტმენის შემოქმედების ერთ-ერთი მამოძრავებელი ჭანჭიკია აღბეჭდოს კაცის - უოლტ უიტმენის შესაძლებლობანი, იყოს უსაზღვროდ და უჩრდილოდ ბედნიერი. ვალერის ნაწარმოებებში აღბეჭდილი ადამიანის სახეც ასევე გაზვიადებული და მოჩვენებითია, თუმცა უიტმენისაგან განსხვავებით, ხოტბას არ ასხამს კაცის უნარს უანგარობისადმი და თავდავიწყებული ბედნიერებისადმი. ვალერი კაცში გონებრივ ძალმოსილებას ადიდებს...

თარგმნა თამაზ ჩხენკელმა

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტავიო პასი

# უიტმენი - ამერიკის პოეტი



უოლტ უიტმენი ერთადერთი დიდი თანამედროვე პოეტია, რომელიც, როგორც ჩანს, არ უპირი პირდება სამყაროს. მას არ ტანჯავს მარტოობა, მისი მონოლოგი - უზარმაზარი ქოროა. უეჭველია, რომ მასში სულ მცირე, ორი ადამიანი შეთვისებია ერთმანეთს: პოეტი-ტრიბუნი და კერძო პირი, თავის ჭეშმარიტ ეროტიულ მიდრეკილებებს რომ ფარავს. მაგრამ დემოკრატიის მეხოტბის ნიღაბი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ნიღაბი, ეს მისი ნამდვილი სახეა. იმის საპირისპიროდ, რასაც აქამდე ამბობდნენ, პოეტური და ისტორიული ზმანებები უიტმენთან სრულიად ემთხვევა ერთმანეთს. მის მრწამსა და გარემო სინამდვილეს შორის არ არსებობს უფსკრული და ეს გარემოება გაცილებით მნიშვნელოვანია, ფართო და დამაჯერებელი, ვიდრე ნებისმიერი ფსიქოლოგიური ნიუანსი. სხვა სიტყვებით, უიტმენის პოეზიის თავისებურება მხოლოდ მეორე, განსხვავებული თავისებურების წყალობით შეიძლება აღვიქვათ, რომელიც კიდევ უფრო ყოვლისმომცველია და თავის თავში ამ პირველსაც მოიცავს - ესაა ამერიკის თავისებურება.

ერთ წიგნში, ედმუნდო ო□გორმანმა დაამტკიცა, რომ ჩვენი კონტინენტი არასდროს აღმოუჩენიათ. მართლაც, შეიძლება თუ არა აღმოაჩინო ის, რაც არ არსებობს, ამერიკა ხომ ამ ე.წ. აღმოჩენამდე არც არსებობდა. და ამ შემთხვევაში ამერიკის აღმოჩენის კი არა, მისი გამოგონების შესახებ უნდა გვესაუბრა. რადგანაც, თუკი ამერიკა ევროპული სულის ქმნილებაა, იგი კოლუმბამდე გაცილებით ადრეც უნდა არსებულიყო. და ევროპელებს, როცა ამ მიწაზე დადგეს ფეხი, სხვა არაფერი აღმოუჩენიათ, გარდა თავიანთი ისტორიული ოცნებისა. რეიესმა შესანიშნავი გვერდები მიუძღვნა ამ თემას: ამერიკა მოულოდნელი განხორციელებაა ევროპული უტოპიისა, ცხადად, აწმყოდქცეული ოცნება. ამერიკა აწმყოა - ძღვენი, ისტორიის წყალობა. მაგრამ ესაა ღია აწმყო, ერთგვარი ახლა, რომელსაც ხვალის ელფერი გადაჰკრავს. ახლანდელი ამერიკა თავისი აწმყოთი, ესაა ხვალინდელი დღე.

ჩვენი კონტინენტი ის ადგილია, რომელიც თავისთავად არ არსებობს, მაგრამ იქმნება, მუდმივ ქმნადობაშია. მისი ყოფიერება, მისი რეალური არსებობა ყოველთვის მომავლითაა განსაზღვრული, მისი ისტორია წარსულში კი არა, მომავალში პოულობს გამართლებას. ამერიკა არ არსებობდა და თუკი დღეს იგი რაიმეს წარმოადგენს, მხოლოდ როგორც უტოპია, როგორც ისტორია ოქროს საუკუნისკენ სავალ გზაზე.

მაგრამ შესაძლოა, ეს არ არის ასე. განსაკუთრებით, თუკი ესპანურ-პორტუგალიური ამერიკის კოლონიალურ ეპოქას გავიხსენებთ. თუმცა, საქმე იმაში გახლავთ, რომ როგორც კი კრეოლებმა გააცნობიერეს თავიანთი მდგომარეობა და ესპანელებზე აღმართეს ხელი, მაშინვე დარწმუნდნენ ამერიკის უტოპიურობაში და აითვისეს ფრანგი უტოპისტების გაკვეთილი. დამოუკიდებლობაში ისინი ყველანი წყაროებთან დაბრუნებას ხედავდნენ, იმასთან, რაც სინამდვილეში იყო ამერიკა. დამოუკიდებლობის მოპოვება ცვლის ლათინოამერიკულ ისტორიას და შეიძლება ითქვას, აღადგენს თავდაპირველ ჭეშმარიტებას. ამგვარი რესტავრაციის უჩვეულობა და პარადოქსულობა განსაკუთრებით საგრძნობი მაშინ ხდება, როცა გესმის, რომ ეს მომავლის რესტავრაციაა. ფრანგული რევოლუციის იდეათა წყალობით ამერიკა კვლავ იქცა იმად, რასაც იმთავითვე წარმოადგენდა: მომავლად, ოცნებად; ევროპის ოცნებად, ადგილად, რომელიც სპეციალურად იპოვეს დროსა და სივრცეში და ამ ევროპასაც შეეძლო ასეთი გამხდარიყო, თუკი საკუთარ თავსა და წარსულს უარყოფდა. ამერიკა საკუთარი ისტორიისგან და ტრადიციის სიმძიმისგან გათავისუფლებული ევროპაა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ლიბერალური ამერიკის უტოპიური და განყენებული არსი კვლავ გვახსენებს თავს ისეთი მოვლენებით, როგორც, მაგალითად, ფრანგების შეჭრა მექსიკაში. არც ხუარესი და არც მისი ჯარისკაცები არასდროს იფიქრებდნენ - აღნიშნავს კორიო ვილიეგარი - რომ ისინი საფრანგეთს ებრძვიან, ფრანგ უზურპატორებს. ჭეშმარიტი საფრანგეთი საყოველთაო იდეალი იყო, არა იმდენად ერი, რამდენადაც იდეა, აზროვნების წესი. კუესტას სრული საფუძველი ჰქონდა, რათა ფრანგებთან ომი სამოქალაქო ომად მოენათლა. საჭირო გახდა მექსიკური რევოლუცია, რათა ქვეყანას გამოეღვიძა ამ ინტელექტუალური ოცნებიდან - თუმცა მის მიღმა ისტორიული რეალობის სხვა პლასტი იმალებოდა, პლასტი, რომელსაც დამოუკიდებლობა, რეფორმა და დიქტატურა თითქმის არც შეხებია, - და გააცნობიერა თავისი არსება არა როგორც აბსტრაქტული მომავალი, არამედ როგორც გარკვეული დასაბამიერი ფენომენი, თავისთავში რომ სამ დროს მოიცავდა: წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ისტორიამ სხვა დროზე გადაიტანა აქცენტი და სწორედ ამაში მდგომარეობდა მექსიკის რევოლუციის ჭეშმარიტი არსი.

ამერიკის უტოპიურობა უფრო ნათლად ჩანს კონტინენტის ანგლოსაქსურ ნაწილში, იქ ხომ ისე არ იყო განვითარებული ინდიელთა კულტურა და ვერც კათოლიციზმმა გაიდგა ფესვები თავისი ზედროული,

ეროვნული ბიბლიოთეკა



განაფული განსჯებით. ამერიკა იყო - თუკი ამას ყოფნა შეგვიძლია ვუწოდოთ - გეოგრაფია, სუფთა სივრცე, ღია ადამიანური ქმედებებისათვის. ამერიკაში - სადაც არც ისტორიული რეალიები იყო, არც ძველი გვარ-ტომები, ინსტიტუტები და არც ტრადიციით კურთხეული ჩვეულებები და ნორმები - მხოლოდ ბუნება ჯიუტობდა, არ ნებდებოდა. ადამიანები ისტორიას კი არა, ბუნებას ებრძოდნენ. იქ კი, სადაც ისტორიული დაბრკოლება ჩნდებოდა - მაგალითად, ინდიელთა რომელიმე კულტურა - მას კვეთდნენ ისტორიიდან და ეპყრობოდნენ როგორც წმინდა ბუნებრივ მოვლენას.

ჩრდილოამერიკელთა ქცევა შემდეგ სქემაში ჯდება: ყველაფერი, რაც ამერიკის უტოპიურ არსს არ მიეკუთვნება, არც ეკუთვნის ისტორიას, - იგი ბუნებრივი ფაქტია და ამგვარად, ისტორიისთვის არც არსებობს. მისი არსებობა მხოლოდ მექანიკურ დაბრკოლებად უნდა მივიჩნიოთ და არა უცხო ცნობიერებად.

ბოროტება ბუნების ნაწილია, როგორც ინდიელები, მდინარეები, მთები და სხვა ბუნებრივი მოვლენები, რომლებიც ან უნდა გაანადგურო, ანდა დაიმორჩილო და გამოიყენო. მაგრამ ბოროტება უცხო საწყისის - მაგალითად, ინგლისური ტრადიციის, ესპანური კათოლიციზმის, მონარქიის შემოჭრაც შეიძლება იყოს. აშშ-ს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება ამერიკული არსისთვის უცხო ელემენტების მოკვეთას ნიშნავდა. თუკი ამერიკული სინამდვილე საკუთარი თავის მუდმივი გამოგონებით ცოცხლობს, მაშინ ყველაფერი, რაც ხელს უშლის და არ ნებდება მას, არაამერიკულად ცხადდება. სამყაროს სხვა კუთხეებში მომავალი ადამიანის ატრიბუტია: რადგან ადამიანები ვართ, მომავალიც გვაქვს; გასული საუკუნის ანგლოსაქსურ ამერიკაში ყველაფერი პირიქითაა - ადამიანი მომავლითაა განპირობებული. ვართ ადამიანები, რადგან მომავალი ვართ. და ყველა, ვისაც არა აქვს მომავალი, ადამიანი არაა. ასეთ შემთხვევებში ორაზროვნებასა და წინააღმდეგობას ადგილი არა აქვს - ყველაფერი უდავო, უცილობელ ჭეშმარიტებად იქცევა.

უიტმენსაც შეუძლია გულწრფელად და პირუთვნელად შეასხას ხოტბა დემოკრატიას, ამერიკული უტოპია და ამერიკული სინამდვილე ხომ ერთი და იგივეა. უიტმენის პოეზია დიდი წინასწარმეტყველური სიზმარია, მაგრამ ესაა სიზმარი სიზმარში, წინასწარხედვა, რომელიც მეორე, კიდევ უფრო გრანდიოზულ და ყოვლისმომცველ წინასწარმეტყველებაშია მოქცეული. ამერიკა ზმანებებს ეძლევა უიტმენის პოეზიით - რადგანაც იგი თავადაა ზმანება. იგი ცხადლივ ხედავს ამ აჩრდილებს, თითქმის ხელით ეხება მათ, ყველა ამ ადამიანს, მდინარეებს, ქალაქებსა და მთებს. მთელი ეს თვალუწვდენელი მასა ისე მსუბუქად მოძრაობს, თითქოს არაფერს იწონიდეს და მართლაც, მას ისტორიული წონადობა აკლია, ეს ხომ მომავალია, განხორციელებას რომ ესწრაფის. უიტმენის მიერ ხოტბაშესხმული რეალობა უტოპიურია. ამით იმის თქმა კი არ მსურს, რომ იგი ილუზორულია, მხოლოდ იდეაა; უბრალოდ მინდა ვთქვა, რომ მისი არსი - მომავალია, იგი მისი მამოძრავებელი ძალა, გამართლება და იგი ანიჭებს მის არსებობას საზრისსა და ქმედებებს კი სადღესასწაულო იერს. როგორც სიზმარი სიზმარში, უიტმენის პოეზია მხოლოდ იმიტომაა რეალისტური, რომ მის სიზმარში რეალობას საკუთარი თავი ეზმანება, რომლის ხვედრიც ოცნება და საკუთარი თავის გამოგონებაა. "როცა გვესიზმრება, რომ სიზმარს ვხედავთ, - ამბობს ნოვალისი, - ეს იმას ნიშნავს, რომ მალე გავიღვიძებთ". უიტმენს არასდროს უფიქრია, რომ სიზმარში იყო. იგი ყოველთვის რეალისტად მიიჩნევდა თავს, რადგანაც, რეალობას ასხამდა ხოტბას, რეალობას, რომელიც თავიდან ბოლომდე მომავლით იყო განსაზღვრული. ამერიკას უიტმენში საკუთარი თავი ეზმანება, რადგანაც იგი თავად იყო სიზმარი, წარმოსახვის ნაყოფი. იგი არ იყო ერთადერთი, პოეტური სიზმრები მანამდეც და მის შემდეგაც, ხშირი მოვლენა იყო, მაგრამ ყველანი ისინი - პო თუ დარიო, მელვილი თუ დიკინსონი - ცდილობდნენ, გაქცეოდნენ ამერიკულ კოშმარს.

თარგმნა სანდრო სილაბიძემ

## უოლტ უიტმენი ინტერნეტში

http://www.majorauthors.psmedia.com/whit_toc/datmain.htm
http://icdweb.cc.purdue.edu/~lawsont/portfolio.html
http://rishi.serc.iisc.ernet.in/books/Poetry/Whitman/Grass/index.html
http://ipoet.com/ARCHIVE/CLASSIC/Walt/Whitman.html
http://www.library.utoronto.ca/utel/rp/authors/whitmn.html
http://lcweb.loc.gov/spcoll/261.html
http://www.liglobal.com/walt/links.shtml
http://earth.vol.com/~daniel/whitman.htm
http://www.indiana.edu/~eric_rec/ieo/bibs/waltwhit.html
http://www.uiowa.edu/~wwqr/index2.html
http://whitman.hypermart.net/whit.htm
http://www.hutchison.org/poetry/whitman_walt/index.html
http://members.aol.com/waltwhitmanofli/

არილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა არის თანამედროვე ხელოვნება

## ლექცია

ბორის გროისი

ხელოვნების რაობის პრობლემა ყოველთვის დგას და ისმის კითხვა, საერთოდ რატომ ჩნდება ხოლმე ეს პრობლემა. რადგან არამხოლოდ ცხენის ან ძროხის რაობის შესახებ არ სვამს ვინმე ამგვარ კითხვას, არამედ ბევრი სხვა საგნის გამოც. რაც შეეხება ხელოვნებას: ადამიანები სვამენ კითხვას, რა არის ხელოვნება - და უფრო მეტიც, ცდილობენ პასუხიც გასცენ მას - თავად ხელოვნებისავე ფარგლებში. ეს კი - როგორც ყველა ამ საკითხში განსწავლული ადამიანი აღნიშნავს - აქამდე მხოლოდ ფილოსოფიისთვის იყო დამახასიათებელი. მხოლოდ ფილოსოფიისთვის წარმოადგენდა რეფლექსიის საგანს საკუთარი საგნისა და მეთოდების განსაზღვრა. ფილოსოფიის მიერ დაფუძნებულ ამ პარადიგმას სულ უფრო და უფრო ერგება ხელოვნებაც და ეს ახალი ფენომენია. ადრე ეს საკითხი არ იყო პრობლემატური, რადგანაც ცნობილი იყო, რითი გამოირჩეოდა ხელოვნება და უნდა ითქვას, რომ არა-ხელოვნებისგან იგი ხელოვნურობით გამოირჩეოდა, ანუ ნახელავობით. ხელოვნება ბერძნულად "ტეხნეა", ანუ უპირველეს ყოვლისა, ბუნებისგან იმით განსხვავდება, რომ იგი ადამიანის ხელითაა ნაკეთები, მაშინ როცა ბუნებრივი ნივთები არაა ნაკეთები. სხვათა შორის, ხშირად ხელოვნებას არასწორად მიიჩნევენ გარკვეული ესთეტიკური ობიექტების ერთობლიობად. სინამდვილეში კი ესთეტიკა, როგორც ეს კანტთანაა (და არსებითად, კანტის მიერ შექმნილი ეს სტრუქტურა დღემდე არსებობს) ფორმულირებული - ესთეტიკურ განცდაზეა დამყარებული, რომელიც ნებისმიერმა ობიექტმა შეიძლება მოგვანიჭოს. ამგვარად, განსხვავება ესთეტიკური ობიექტი/არაესთეტიკური ობიექტი ან ესთეტიკური განწყობა/ არაესთეტიკური განწყობა არარელევანტურია ხელოვნებისა და არახელოვნების გამიჯვნასთან მიმართებაში. რადგანაც ჩვენ შეგვიძლია, როგორც უკვე ვთქვი, ეს ესთეტიკური განწყობა ნებისმიერი ობიექტის მიმართ გამოვიმუშავოთ. ასე რომ, ნახელავობა ერთადერთი ტრადიციული კრიტერიუმია.

სწორედ ეს ტრადიციული კრიტერიუმი დააყენა ეჭვის ქვეშ დიუშანის ready-made-მა, როცა მან ერთ-ერთ გამოფენაზე ნიუ-იორკში, 1917 წელს, ცოტათი გადაბრუნებული პისუარი "გამოფინა", ხელი მოაწერა "ნამუშევარს" და სხვა მხრივ არანაირად არ ჩარეულა მის გარეგნულ სახეში. ამას გარდა, დიუშანმა კიდევ რამდენიმე ready-made შექმნა, ანუ კიდევ რამდენიმე ობიექტი გამოფინა, როგორც ხელოვნების ნიმუში, ისე, რომ არაფრით შეუცვლია მათი გარეგნული სახე და ამით თითქოს ერთგვარი ნულოვანი შემოქმედებითი აქტი "ჩაიდინა". საერთოდ, ცნობილია, რომ ყველა პრობლემები და მათ შორის ფილოსოფიურიც, ნებისმიერ სისტემაში მაშინ იჩენს თავს, როცა ამ სისტემაში ნული ჩნდება. და დიუშანის ეს ოპერაცია სწორედ ნულოვანი შემოქმედებითი ოპერაცია იყო, რომელმაც ხელოვნების სფეროს პრობლემატიზირება მოახდინა.

მაგრამ მაშინ ასე არავის აღუქვია ეს ყველაფერი და ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მთელი ეს პისუარები და სხვა ობიექტები, ტრადიციული თვალსაზრისით ჯერ კიდევ "ტეხნედ" მიიჩნეოდნენ, ადამიანის ნაკეთობად და ამიტომაც ისინი ნახელავობის პარადიგმაში ექცეოდნენ. ერთი სიტყვით, გადასვლა, განსხვავება არ იგრძნობოდა ისე მწვავედ. მეორე - teady-made დიუშანის პრაქტრიკის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდა. იგი თავისი ოსტატური, რთული ნამუშევრებითაც იყო განთქმული და ამასთანავე სურვილის, ლიბიდოსა და ა.შ. სურეალისტურ დისკურსშიც ჯდებოდა, რის გამოც ამგვარი ხერხი გამოცდილი, გაწაფული მაყურებლის თვალშიც კარგავდა სიახლის ნიშნებს.

სრულიად სხვაგვარად ამუშავდა ეს მექანიზმი, როცა 50-60-იანი წლების ამერიკელ მხატვართა თაობამ დიუშანის ეს იდეები აითვისა; მათ თავი ანებეს დიუშანის დისკურსსაც, მის პრაქტიკას და საგნების (თანაც ყველანაირი, მათ შორის ბუნებრივი ნივთების) ერთი სივრციდან მეორეში უბრალო, უაზრო გადმოტანას მიჰყვეს ხელი. ეს იყო გადატანის განურჩეველი, გულგრილი ოპერაცია: ადამიანი უბრალოდ უნივერმაღში მიდის, ან იქცევა, როგორც ენდი უორჰოლი (როცა მას რამე ნივთი აკლდა გა-



ლერეაში, სანაგვედან მოათრევდა და გამოფენდა)... სწორედ შინაარსისადმი, განსაზღვრებისადმი, მხატვრული ფენომენის ობიექტში ინტერვენციისადმი ამ გულგრილობამ შვა ეს ნულოვანი ხერხი, რომელმაც დასვა კიდეც საკითხი ხელოვნების რაობის შესახებ, ანუ მისი წყალობით გაჩნდა შეკითხვა - შეგვიძლია თუ არა ხელოვნების ნაწარმოები გავარჩიოთ არა-ხელოვნების ნაწარმოებისგან.

70-იანი წლების დასაწყისში გამოვიდა არტურ დანტას წიგნი "ბანალურის (ან ყოფითის) გარდასახვა", სადაც პირველად დაისვა საკითხი - თანაც საკმაოდ მაღალ თეორეტიკულ დონეზე - იმის შესახებ, თუ რამდენად შეგვიძლია ხელოვნების არა-ხელოვნებისგან გარჩევა, თუკი არ გაგვაჩნია ამ განსხვავების მატერიალური კრიტერიუმები. ეს წიგნი იმპულსი აღმოჩნდა ხელოვნების ე.წ. ინსტიტუციონალური თეორიის შესაქმნელად, თუმცა თავად დანტამ შემდგომში უარი თქვა ამ თეორიაზე და აღნიშნა, რომ მას მსგავსი არაფერი უგულისხმია. უარის მიზეზებზე მას შემდეგ მოგახსენებთ, რაც ამ ინსტიტუციონალურ თეორიას ჩამოვაყალიბებ, რომელიც უფრო მისმა მოსწავლეებმა შექმნეს, ვიდრე დანტამ. საქმე იმაში გახლავთ, რომ იმ დროისთვის საკმაოდ გავრცელებული იყო პერფორმატიულ-სიტყვიერი აქტების თეორია, რომელიც ინგლისურ ანალიტიკურ ტრადიციაში აღმოცენდა ვიტგენშტეინის გავლენით. იგი შემდეგნაირად ფუნქციონირებს: ჩვენ განვასხვავებთ დესკრიპტულ, აღწერით აქტებს და პერფორმატიულს, ანუ აქტებს, რომლის გამოთქმითაც საგნები რაღაც სხვა

---

*ცნობილი რუსი ფილოსოფოსი და არტ-კრიტიკოსი, არის რამდენიმე წიგნის ავტორი, ამჟამად მოღვაწეობს გერმანიაში.*

ხარისხსა და თვისებებს იძენენ. მაგალითად, შემიძლია დავაარსო პეტერბურგი და ვთქვა: "ეს ქალაქი რუსეთის დედაქალაქია". ამით ჩვენ ვერ აღვწერთ ქალაქ სანკტ-პეტერბურგს, რადგანაც მანამ, სანამ ეს ითქმებოდა, იგი არ იყო დედაქალაქი. პერფორმატიული სიტყვიერი აქტიც სწორედ ეს გახლავთ, რისი წყალობითაც პეტერბურგი მართლაც დედაქალაქად იქცევა. ეს იყო პირველი თეორეტიკული პასუხი კითხვაზე, რა არის ხელოვნება. ხელოვნება პერფორმატიული აქტია, როცა მივუთითებ რომელიმე ობიექტზე და ვამბობ: ეს ხელოვნების ნაწარმოებია. მე აღარ ვარ ვალდებული, დავასაბუთო ეს დებულება, განვმარტო, ან ინტერპრეტირება მოვახდინო ხელოვნების ნაწარმოებისა, რათა დავამტკიცო მისი "ნახელავობა". ერთი სიტყვით, ყველაფერი გამონათქვამზეა დამოკიდებული, ანუ, პისუარი არ იყო ხელოვნების ნაწარმოები მანამ, სანამ დიუშანმა არ თქვა ეს. ასე რომ, სიტყვებმა "ეს ხელოვნების ნაწარმოებია", სხვა ლინგვისტური სტატუსი შეიძინა და აზრი დაკარგა კითხვის დასმამაც, დასაბუთებამაც, განსხვავებამ და ინტერპრეტირებამაც.

ამ ძალზე მაცდური თეორიის მინუსი იმაში მდგომარეობს, რომ მაშინვე ჩნდება კითხვა სუბიექტის შესახებ, ვისაც აქვს ამგვარი სიტყვების თქმის უფლება. თუკი შენ მეფე ხარ, ან პატრიარქი, მაშინ გაქვს ამა თუ იმ ობიექტის საკრალიზების შესაძლებლობა, ან უფლება, ქალაქი დედაქალაქად გამოაცხადო. მაგრამ დიუშანი არც მეფე იყო და არც პატრიარქი, იგი აღიარებული მხატვარიც კი არ იყო. მან სწორედ ამის გამო გაითქვა სახელი და არა პირიქით. ეს ის პრობლემაა, რომელიც დანტამ იმთავითვე დაინახა, მაგრამ ბოლომდე ვერ გააცნობიერა და თავის წიგნშიც არ აღუნიშნავს ეს. საქმე იმაში გახლავთ, რომ იგი სორენ კირკეგორის ფილოსოფიას ეყრდნობოდა, რომელიც თავის თავს შემდეგ კითხვას უსვამდა: როგორ უნდა ამოვიცნოთ ქრისტეში ქრისტე, ანუ, როგორ შეგვიძლია ადამიანში ღმერთი ამოვიცნოთ და იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ ამის გაკეთება შეუძლებელი იყო, რადგან არ გაგვაჩნია შესაბამისი კრიტერიუმები. გვაქვს კრიტერიუმები ადამიანში ადამიანის, მაგრამ არა ღმერთის ამოსაცნობად. ამგვარად, ადამიანში ღმერთის ამოცნობა არჩევის წმინდა სუბიექტური აქტია და არაფრით საბუთდება. ამოცნობის აქტი შეუძლებელია განხორციელდეს, რადგან არ არსებობდა პრეცედენტი. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის პალესტინა სავსე იყო სხვადასხვა ჯურის მოხეტიალე ფაკირებით, ჯადოქრებით, მქადაგებლებით და ქრისტეს მხოლოდ გადაწყვეტილების სუბიექტური აქტის წყალობით თუ ამოიცნობდი. ამგვარად, ხელოვნებაში ერთგვარი ეკლესიურობიდან, გარკვეულ მხატვრულ პროტესტანტიზმამდე მივდივართ. ეკლესია ამბობს, რომ ხელოვნების ესა თუ ის ნაწარმოები რელიქვიაა, რაღაცის ნამტვრევი ან ნაფლეთი ხელოვნების ნიმუშია და ა.შ. ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მათი საკრალურობა ოდესღაც, ვიღაცამ აღნიშნა და ასეთივე კათოლიკური პრინციპით ფუნქციონირებს მხატვრული სისტემა. მაგრამ ამ ორთოდოქსულ-ქრისტიანულ თვალსაზრისთან ერთად გვაქვს პროტესტანტულიც, რაც იმას ნიშნავს, რომ მხატვარს, შემდეგ კი მნახველსაც, ვანიჭებთ ამგვარი სუბიექტური საკრალიზაციის უფლებას. მართლაც, ჩვენ დემოკრატიულ ეპოქაში ასეთი კათოლიციზმი ხელოვნებაში შეუძლებელია. მაშინვე ჩნდება კითხვა: რატომ აქვთ ამ ადამიანებს უფლება გადაწყვიტონ, რა არის ხელოვნება და მე კი არა?



დისკუსია ამის თაობაზე ერთ ძალზე მოდურ წიგნში შეჯამდა, რომელიც 3-4 წლის წინ გამოვიდა. ესაა ტიერი დე დიუფის წიგნი "კანტი დიუშანის შემდეგ", მხატვრული პროტესტანტიზმის მანიფესტი, სადაც ავტორი ამბობს, რომ ყოველ ადამიანს აქვს თავის წარმოსახვაში საკუთარი მუზეუმის შექმნის უფლება, უფლება თავისით გაარჩიოს ნაწარმოებები და თავისივე კოლექციას მოუყაროს თავი. ერთი სიტყვით, ჩვენს ეპოქაში სიტყვები "ეს ხელოვნებაა", ისევე ფუნქციონირებს, როგორც სიტყვები "ეს მშვენიერია".

დე დიუფის თეზისი იმაში მდგომარეობს, რომ ხელოვნება პირველად ესთეტიზირდა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე და ეს 2-3 წლის წინ მოხდა. ანუ მხატვრის ეს ჩარევა, რეალობის გარდამსახავის სუბიექტის, ადამიანის ხელის ჩარევა, ხელისა, რომელიც სპეციალურად ქმნის ობიექტებს, რათა შემდეგ იგი მშვენიერებად მიიჩნიონ, უკვე ზედმეტი გახდა და გაქრა ჰორიზონტიდან. დარჩა მხოლოდ სუბიექტური გადაწყვეტილება, სუბიექტური არჩევანი. და ამ აზრით, ესთეტიკა ხელოვნებას დაემთხვა. ავტორი თვლის, რომ ესაა ეტაპი ევროპული კულტურის განვითარებაში. მე რამდენჯერმე დისკურსია მქონდა დე დიუფთან. ის, რასაც იგი ამბობს, საშინლად რევოლუციური და დემოკრატიული ჩანს, სინამდვილეში კი ასე არაა, რადგანაც იგი საბოლოოდ მაინც სუბიექტურ გადაწყვეტილებას, სუბიექტს ეყრდნობა. ბოლოს და ბოლოს, იგი გემოვნებას ეყრდნობა და ადამიანის უნარს, რაიმე თქვას გემოვნების შესახებ...

კიდევ ერთი საეტაპო წიგნი მახსენდება, რომელიც შარშან გამოვიდა; ესაა გერმანელი ფილოსოფოსის, ნიკლას ლუმანის "ხელოვნება საზოგადოებაში", სადაც უკანასკნელი ნაბიჯი გადაიდგა ზემოთ აღნიშნული მიმართულებით: ლუმანი იმის შესახებ საუბრობს, რომ არამხოლოდ ინსტიტუციას არ ძალუძს საკრალიზაციის შესახებ ეკლესიური გადაწყვეტილების მიღება, არამხოლოდ ინდივიდუუმს - ანუ პროტესტანტიზმის მიხედვით, ინდივიდუალური არჩევანის, ინდივიდუალური გემოვნების სუბიექტს - არამედ არანაირ სუბიექტს არ შეუძლია ეს, რადგანაც არსებობს რაღაც ავტონომიურად ფორმირებული მხატვრუ-





ლი სისტემა, რომელიც ჩვენი ნების, ჩვენი სურვილისა და არჩევანის მიუხედავად მოქმედებს, გაუცნობიერებლად; ყოველ შემთხვევაში ჩვენ მას ვერ ვაკონტროლებთ, პირიქით, იგი თავს გვახვევს ამ კრიტერიუმებს. და მართლაც ასეა, თუკი გავითვალისწინებთ, როგორ ვითარდება მხატვრული ბაზარი, ყიდვისა და შეფასების სისტემა თანამედროვე მხატვრულ სამყაროში... ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეში, მაგალითად, კოლექციონერი მხოლოდ იმას ყიდულობდა, რაც მოსწონა, თავისი გემოვნებიდან გამომდინარე. ახლა კი ეს შეუძლებელია. თანამედროვე კოლექციონერი ხელოვნების ნაწარმოების შეძენისას თავისი გემოვნებით არ ხელმძღვანელობს. იგი ყიდულობს იმის მიხედვით, თუ რა სტატუსი აქვს (ან ექნება) ამა თუ იმ ქმნილებას, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თანამედროვე კოლექციონერი ხელოვნების ნაწარმოებს მემკვიდრეობაზე გადასახადებისგან და საერთოდ, გადასახადებისგან თავის დასაღწევად ყიდულობს. და იგი, ბუნებრივია, იმაში აბანდებს ფულს, რაც მის სიმდიდრეს, მის მდგომარეობასა და სახელს შეინარჩუნებს (სახელს იმ შემთხვევაში, თუკი იგი მუზეუმს აჩუქებს თავის კოლექციას). ანუ მას თავისი პატივმოყვარეობისა და სხვა მდაბალი მოტივების დაკმაყოფილება მხოლოდ საკუთარ გემოვნებაზე უარის თქმას შეუძლია და იგი ორიენტირად თავად მხატვრული პროცესის იმანენტურ დინამიკას ირჩევს. ანუ მან გარკვეული თვალსაზრისით, წინასწარ უნდა განჭვრიტოს ეს პროცესი ისევე, როგორც ამინდი, აქციათა კურსი და ა.შ. ანუ პროცესები, რომლებიც ჩვენს გადაწყვეტილებაზე არაა დამოკიდებული; მაგრამ მათი პროგნოზირებით ან წარმატებას ვაღწევთ ხოლმე, ან პირიქით, ვმარცხდებით. ეს მხატვრული სისტემის სწორედ ის სიტუაციაა, რომელსაც ლუმანი აღწერს. ანუ მხატვრული სისტემა, როგორც იგი ამბობს, ავტონომიზირდა და "ავტოპოიესისის" რეჟიმში ხორციელდება, იგი თავად შობს საკუთარ თავს, ყოველ მომდევნო ეტაპს და ერთადერთი, რაც შეგვიძლია ვქნათ - ესაა ყველაფერ ამის თვალყურის დევნება და პროგნოზირება, მაგრამ ჩვენ ამ პროცესის ვერც სუბიექტად ვიქცევით და ვერც აგენტად. ამგვარად, საკმაოდ საინტერესო სიტუაციაში ვვარდებით, როცა ხელოვნება, გარკვეული ევოლუციის შემდეგ ბუნების სფეროში აღმოჩნდა. ბუნება აქ ყველაზე ზოგადი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, ანუ ის, რაც ადამიანის ხელით არაა შექმნილი, რასაც შეგვიძლია მხოლოდ თვალყური ვადევნოთ და აღვწეროთ.

ამ პროცესთანაა დაკავშირებული მაყურებლის, ხედვის პროცესის პრივილეგირებაც, რომელიც მომხმარებელია მხატვართან მიმართებაში. ეს პროცესი უკვე კანტთან დაიწყო და მისთვის თვალყურის მიდევნება არაა ძნელი. ვინ წყვეტს საკითხს იმის შესახებ, ხელოვნების ნაწარმოებია ეს თუ არა? დამკვირვებელი, ექსპერტი, ანუ ის, ვინც თავად არ მონაწილეობს ამ სისტემაში. ყოველ შემთხვევაში, მხატვარი არაა. მხატვარი საერთოდ ამოვარდნილია ამ განსაზღვრებიდან. პროცესი უკვე გენიოსის კანტისეული ცნებიდან დაიწყო, გენიოსის, რომელიც ქვეცნობიერად მოქმედებს და ქმნის ხელოვნებას, როგორც ბუნებას. თავად მხატვარი იმდენადაა ნორმალური ადამიანი, რამდენადაც თავადაა საკუთარი შემოქმედების მაყურებელი და ამით ჩვენ გვგავს. როგორც მხატვარი, იგი ბუნების ბრმა სტიქიაა, რომელმაც არ უწყის, რას იქმს. ამგვარად, ჩვენს ეპოქაში, მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული გენიოსის ცნება კომპრომეტირებულია და სირცხვილია, ამ სიტყვით აღნიშნო საკუთარი თავი, გენიალობა არსად დაკარგულა. სინამდვილეში კანტის მიერ გამოგონილი გენიალობის ფიგურა, ანუ ქვეცნობიერი ქმედების ფიგურა დაშორდა სუბიექტს, მაგრამ სისტემად იქცა. ყოველი ცალკეული მხატვარი არარად იქცა, სამაგიეროდ, სისტემამ ყველაფერი მოიცვა. სისტემა გახდა გენიალური. ხელოვნება გახდა გენიალური, იმ მომენტში, როცა მხატვარი უკვე აღარ იყო გენიოსი და ლუმანის მოდელი სხვა არაფერია, თუ არა მხატვრული სისტემის გენიალობის აღწერა. მაგრამ ჩვენ, როგორც დამკვირვებლებს, მჭვრეტელებს, შეგვიძლია გავარჩიოთ ხელოვნება არა-ხელოვნებისგან; როგორც არაგენიალური ადამიანები, ჩვენ განსხვავების ამ გასაღებს ვფლობთ, შემდეგ კი კომპეტენცია და არჩევანი მომხმარებელზე, მაყურებელზე, საბოლოოდ კი მყიდველზე ვრცელდება. ერთი სიტყვით, ჩვენ უკვე მივაღწიეთ ამ დისკურსის განვითარების უკანასკნელ წერტილს, მე თავს ვანებებ რეფერირებას და შევეცდები გადმოგცეთ უშუალოდ ჩემი რეაქცია სიტუაციაზე.

თარგმნა სანდრო ჯანდიერმა

დასასრული შემდეგ ნომერში

ნომრის გასაფორმებლად გამოყენებულია მარსელ დიუშანისა და ენდი უორჰოლის ნამუშევრები

**ბორის გროისი და თანამედროვე ხელოვნება ინტერნეტში**

http://gelman.ru/critics/grois.htm
http://www.vavilon.ru/metatext/mj54/grois1.html
http://www.uncp.edu/home/canada/work/markport/lit/introlit/modart2.htm
http://www.artchive.com/
http://www.arts.ouc.bc.ca/fiar/hndbkhom.html
http://www.constable.net/



კალეო სერალესი

# საგნების დანახვა თვალების გარეშეც შეიძლება



მან ისე ჩუმად ჩაიქროლა, როგორც მოჭედილ ცაზე მოწყვეტილმა ვარსკვლავმა, როგორც ჩიტმა, ობობამ, სირინოზებმა - მისი მხატვრული შემოქმედების ქმნილებებმა. უკანასკნელ ხანს მისეულ სამყაროშიც დისკომფორტს განიცდიდა. ვიწრო სახელოსნოდ ეჩვენებოდა ის ადგილი, სადაც ოთხმოცდაათი წლის განმავლობაში შეძლო ყველა ზღვარი გადაელახა და გამარჯვებები ეზეიმა. მირო იმდენად ხარბად შეიგრძნობდა საგნებს, რომ მისთვის საკმარისი არ იყო მხოლოდ ის, რასაც თვალი წვდებოდა. მას ხიბლავდნენ მონტუუის (უბანი ბარსელონაში) რომანტიკული ფრესკები და როცა აღფრთოვანება თავის მეგობარ რაილანდს გაუზიარა, მან უპასუხა, რომ ტცარამ უკვე აღნიშნა ეს თვისება, და რომ ამ ფრესკებიდან ყველაფერი გიმზერს. მირომ კი მხოლოდ ერთი რამ დაამატა: "ოღონდ თვალების გარეშე".

ცხოვრება ზეკაცივით განვლო. ყველასა და ყველაფრისაგან გარიყული ცხოვრობდა. უსაზღვრო წარმოსახვით შეპყრობილი, გრძნობდა საგნების სიდიადეს სივრცეში და ამიტომაც დაბრკოლებების მორევში აღმოჩნდებოდა ხოლმე.

ოცნება და ფანტაზია ერთადერთი გამოსავალი იყო, რათა ამ უმოწყალოდ ჩაკეტილ სამყაროში კლაუსტროფობიას გამკლავებოდა. ერთ-ერთი მისი პირველი მასწავლებელი კატალონიაში ფრანცისკო გალი ამჩნევდა, რომ ახალგაზრდა მოწაფეს უჭირდა საგნის მოცულობის რეალურად აღქმა, ამიტომ თვალებს უხვევდა და აიძულებდა მას საგანი დაეხატა მხოლოდ ხელის შეხებით მიღებული შთაბეჭდილებით.

თვალის დახუჭვა რეალობაზე, ფანტაზიისათვის გასაქანის მიცემა, ფიქრი ხელებით, ოცნება, ილუზირება... იქნებ მირო კომფორმისტი იყო, რომელსაც უბრალოდ თავის დაღწევა სურდა აუტანელი რეალობისაგან. ანდრე ბრეტონმა, სიურეალიზმის სკოლის დამაარსებელმა, რომელშიც მირო მყისვე გაერთიანდა, ნათელი მოჰფინა ამ საკითხს. მხატვრული გამომსახველობის ენაზე გაქცევა ნიშნავს მიგნებას (გამოგონებას) და იგი ერთადერთი საშუალებაა მხატვრის იმ დამამცირებელი კომფორმიზმის დასამარცხებლად, რომელიც ტრადიციულად რეალობის ასახვისთვისაა განწირული.

რას გულისხმობდა ბრეტონი, როცა ამტკიცებდა, შესაძლოა მირო ჩვენს შორის ყველაზე სიურეალისტი იყოსო? სუპერრეალისტი ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. საით მიილტვოდა მირო თვალების ახვევით, სად იყო მისი ოცნების ქვეყანა, სამყარო, სადაც ჭეშმარიტებას მხოლოდ ხელის შეხებით შეიგრძნობდა. იგი მხდალად მიიჩნევდა ურწმუნო თომას, რომელიც თითით უსინჯავდა იესოს ჭრილობებს, რათა მისი აღდგომა ერწმუნა. სიმხდალედ უთვლიდა ტცარასაც მხოლოდ იმის აღმოჩენას, რომ "ჭიპიც იხედება".

იმ ხალხს, რომლებიც განწყობილნი იყვნენ მხოლოდ სანახევროდ ერწმუნათ ჭეშმარიტება, მირო ასე პასუხობდა: "ჩემთვის ბალახის ღერი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხე; კენჭი უფრო, ვიდრე მთა; ჭრიჭინას ვამჯობინებ არწივს. დასავლურ ცივილიზაციაში კი მთავარი მოცულობაა. დიდ მთას უპირატესობა ენიჭება. ჭიპი, რომელიც იხედება, - ეს ბანალური აღმოჩენაა. რომანტიკულ ფრესკებში ყველაფერი პირიქითაა, მთელი სამყარო გიმზერს, მოწმენდილი ცა, ხე - ყველაფერს თვალები აქვს. ჩემთვის ყველაფერი ცოცხალია. ამ ხესაც საკუთარი ცხოვრება აქვს, ისევე, როგორც ამ ცხოველებს. მას სულიც აქვს, ხე მარტო ტანი და ფოთლები როდია".

ამ პანთეისტისათვის, რომელიც ხეს, ჩიტს, მწერს თანასწორივით განიცდიდა, რომელიც საგნებს საგნისავე თვალით უმზერდა და მხოლოდ ბუნების ფერებს აღიარებდა, ძნელი იყო ერთი რომელიმე ადგილით შემოზღუდვა. მირომ ცხოვრება საზღვრების გადალახვაში, ახალ-ახალი ჰორიზონტების დაპყრობაში განვლო. 1919 წელს, მას შემდეგ, რაც ბარსელონაში დალმაუს საერთაშორისო გალერეაში მოაწყო გამოფენა, პარიზს გაემგზავრა. აქ, ავანგარდის აპოგეის ჟამს, დიდი ომის დროს გადმოსახლებულ შემოქმედებს შეხვდა. ერთხელ მირო მეგობარ მხატვარს გამოუტყდა: "წასვლა აუცილებელია. თუ კატალონიაში ჩარჩი, მოკვდები. მთავარია, ნებისმიერ ქვეყანაში კატალონიელად დარჩე".

წინსვლისათვის გამუდმებით უხდებოდა სხვადასხვა სიტუაციებიდან თავის დაღწევა. სულ გარბოდა: პროვინციული ოჯახიდან, თვითკმაყოფილი ქალაქიდან, მოდური ავანგარდისა თუ გამარჯვებული მოძრაობისგან. იგი თითქოს არასოდეს კმაყოფილდებოდა, თითქოს საკუთარ სხეულსაც კი არ ნებდებოდა, გამუდმებით განაგრძობდა უფრო დიდი სახელოსნოს ძიებას. 1938 წელს, ესპანეთში, შუაგულ სამოქალაქო ომში, მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებამდე ცოტა ხნით ადრე, მირო აქვეყნებს უზარმაზარ ტექსტს სახელწოდებით "ოცნება გრანდიოზულ სახელოსნოზე".

მას შემდეგ, როცა ნაცისტური გერმანია საფრანგეთში შეიჭრა, მირო გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ყველაფრის გარეშე დარჩენილმა, ესპანეთს შეაფარა თავი.

რესპუბლიკასთან თანამშრომლობის მიუხედავად, ნახატების ღიად გამოფენა მაინც ვერ შეძლო. მაგრამ არც ეს იყო მნიშვნელოვანი. მაიორკაზე თითქმის არალეგალურად ჩასული მირო ისეთ უზარმაზარ სახელოსნოს აღმოაჩენს, რომელზე ოცნებასაც ვერასოდეს გაბედავდა. ეს იყო ვარსკვლავებით მოჭედილი ცის კამარა, ღამ-ღამობით ნაზად რომ ეშვებოდა სანაპიროსაკენ. თითქმის დავიწყებული, საკუთარ სამყაროში განმარტოებული მირო ნიუ-იორკში გახიზნულ სუპერრეალისტ მეგობრებს თავისუფლების ზღაპრულ საჩუქარს უგზავნის - თითქმის არაფრისაგან, მხოლოდ ლურჯ ცაში ცქერით შექმნილს. ესაა სურათების სერია სახელწოდებით "თანავარსკვლავედი", უსასრულო სივრცეში მოგზაურობა იმისა, ვინც დედამიწაზე იძულებით ცხოვრობდა. ალბათ, შეუძლებელია იმ ნათელმხილველის გადარწმუნება, რომელიც იმეორებს: "საწყისი, ერთადერთია, რაც მაინტერესებს. საწყისის შეცნობა ჩემი ცხოვრების აზრია და სწორედ ესაა ჭეშმარიტი შემოქმედება. რაც მართლა მაინტერესებს - დაბადებაა".

შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მირო არ მომკვდარა. აკი ამბობდა კიდეც "მე არც განვითარება მადარდებს და არც სიკვდილი". ალბათ, იგი განაგრძობს სახელოსნოს ძიებას უსასრულო სამყაროში, იქ, სადაც ჩვენ მისი დანახვა უკვე აღარ შეგვიძლია. იმ სივრცეში, რომელიც ჩამოვარდნილ ვარსკვლავსა და პატარა ბალახს შორისაა მოქცეული. დარწმუნებული ვართ, რომ იგი კმაყოფილია, რადგან შეძლო ესწავლებინა ჩვენთვის, რომ საგნების დანახვა თვალების გარეშეც შეიძლება.

*ესპანურიდან თარგმნა*

**ქეთი ჯიშიაშვილმა**



მარიამ ჩუბინიძე

# მოკლე შინაარსი

უილიამ შექსპირი, "როგორც გენებოთ ანუ შობის მეთორმეტე ღამე", რეჟისორი - რობერტ სტურუა, მხატვარი - გიორგი ალექსი-მესხიშვილი, კომპოზიტორი გია ყანჩელი.



"ახლა, როდესაც ღმერთი იცანით, უფრო მეტიც, როცა ღმერთმა გიცნოთ, როგორღა უბრუნდებით უძლურ და ღატაკ საწყისებს და გინდათ ხელახლა დაემონოთ მათ?"

*მოციქულ პავლეს წერილი გალატელთა მიმართ 4,9*

ამ სამყაროში დასაბამიდან, მგონი, არაფერი შეცვლილა, ადამიანების ჩაცმულობის გარდა. ისევ და ისევ "ვარსკვლავიანი ცა და მორალური კანონების არსებობა" (კანტი) ან არარსებობა ადამიანებში. თუმცა ლოთი ტობი ბელჩი ("როგორც გენებოთ ანუ შობის მეთორმეტე ღამე") ძალიან არასასიამოვნო სიტყვებს ამბობს: "როგორ გაბოროტდა ხალხი, აპოკალიფსია".

ჭკვიანური ფრაზა კიდევ ბევრჯერ გაისმება სცენიდან. მათ წარმოთქვამენ ხან ბრიყვები, ხან - ლოთები, ხან - კეთილი ადამიანები, ხან - ბოროტები, ხან - მტრები, ხან - მეგობრები. მაგრამ ამქვეყნად ყველა ბრძენის ნააზრევი ერთადაც რომ შეკრიბო, სასაცილო აბდაუბდა გამოვა და მეტი არაფერი. ჭკვიანური აზრის დაბადება გაცილებით უფრო იოლია, ვიდრე იმის აღიარება და დაჯერება, რომ ყველაზე გენიალური აფორიზმიც ვერას გარგებს, რადგან ადამიანს ჯერ არ შეუქმნია იმაზე უფრო ჭეშმარიტი, რაც თავად ადამიანის შემქმნელია. თავი და თავი ყოველი უბედურებისა ამის დავიწყებაა.

რობერტ სტურუამ სპექტაკლს პიესის სრული სახელწოდება დაუბრუნა - "როგორც გენებოთ, ანუ შობის მეთორმეტე ღამე". შექსპირისდროინდელ ინგლისში შობის მეთორმეტე ღამე ზამთრის დღესასწაულების დასასრული იყო და იგი განსაკუთრებულად აღინიშნებოდა ხოლმე. რობერტ სტურუას სპექტაკლში მოქმედება სწორედ ამ თორმეტი დღის განმავლობაში ვითარდება, განსხვავებით შექსპირისაგან, სადაც მოვლენები სამ თვეს მოიცავს. ეს "დროთა კავშირს" რაც შეეხება.

მთავარი კი ამ "როგორც გენებოთ"-ში სრულიად სხვა რამაა. რეჟისორმა ეს ჩვეულებრივი საყველპურო სიტყვათა წყობა - "როგორც გენებოთ" - ბედისწერის მარწუხებში მოაქცია, კომედიას სახარება მიუსართა (ან იქნებ პირიქით - სახარებას - კომედია) და მსჯელობის თავისებურებათა არჩევანი ჩვენ მოგვანდო: - რას ნიშნავს ეს ყველაფერი? იქნებ არც ღირს სერიოზულად მიუდგე? ბოლოს და ბოლოს, "ბედისწერა თვითონ ასწორებს თავის შეცდომებს", (თუნ-

დაც არ გამოასწოროს, ჩვენ რას შევცვლით?) მაგრამ, როდესაც ჩვენს თვალწინ, სცენაზე, "პურიტანი" მალვოლიო (ზაზა პაპუაშვილი) საოცარ მეტამორფოზებს განიცდის და ბოლოს და ბოლოს, როდესაც წინ გოლგოთა და ჯვარცმა გელოდება, არასერიოზული ნამდვილად ვერ იქნები. ვერც ჰერცოგ ორსინოს (ლევან ბერიკაშვილი) მაყურებლისადმი ნათქვამი სიტყვები დაგვამშვიდებს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რადგან კარგად ყოფნასაც სხვადასხვა განზომილება აქვს. მშვიდობა იმედია მხოლოდ, ჯერჯერობით ალბათ უსაფუძვლო, თუმცა ამქვეყნად ყველაფერი ხდება. ბედნიერი დღეებიც ეღირსება ალბათ ხალხს, მაგრამ არჩევანი ჩვენ თავად უნდა გავაკეთოთ. როგორც გვენებოს - ან ბედისწერასთან მარადიული ტრაგი-კომედიების თამაში და ჯვარცმის ტანჯვა, ან საკუთარი მძიმე ჯვრის ზიდვა და მეორედ დაბადება.

ნეტავ თუ შესწევთ უნარი ამ ბედისწერასთან მოთამაშე ადამიანებს მიხვდნენ ყველაფერს?

დავიწყოთ დასაწყისით.

ყველაფერი ქალაქ ილირიაში მოხდა. გემის დაღუპვის შემდეგ უცხო ქალაქში აღმოჩნდება ვიოლა, რომელიც ამავე გემზე მყოფ, გარეგნობით წყლის წვეთივით მსგავს ძმას, სებასტიანოს დაღუპულად თვლის. მაგარმ სებასტიანო ცოცხალია და თავის მხრივ, საკუთარ დას თვლის ტალღების მსხვერპლად.

ვიოლა, რომელსაც ილირიის ჰერცოგი, ორსინო შეჰყვარებია, გადაწყვეტს მსახურად დაუდგეს მას; სახეს იცვლის და თავს მამაკაცად აჩვენებს. ძმის ტანსაცმელში გამოწყობილი ორსინოს კარზე იწყებს სამსახურს განგებით, ორსინო ვიოლას, შემდგომ ცეზარიოდ წოდებულს, დაავალებს თავისი გულისსწორის - გრაფის ასულის, ოლივიას მონახულებას. ჭირვეულ ოლივიას კი ცეზარიო შეუყვარდება. შობის მეთორმეტე ღამეს ქალაქში სებასტიანო ჩამოდის, რაც კიდევ უფრო მეტ გაურკვევლობას ბადებს, თუმცა, საბოლოოდ, და-ძმის შეხვედრით ყველაფერს ნათელი მოეფინება, ბედი ყველას თავის ადგილს მიუჩენს: სებასტიანოს - ოლივიასთან, ვიოლას - ორსინოსთან.

ამ ამბის პარალელურად პიესაში კიდევ ერთი, უფრო დრამატული ამბავი ვითარდება, რომლის მთავარი გმირი ოლივიას მსახურთუხუცესი - მალვოლიოა. ოლივიას თანამოსახლენი გადაწყვეტენ ოინი მოუწყონ გულქვა მალვოლიოს. მარია, თავისი ქალბატონის, ოლივიას მსგავსი



ხელწერით მალვოლიოს სასიყვარულო ბარათს მისწერს. ამ ბარათის საშუალებით მალვოლიოს ცხოვრება სრულიად იცვლება.

ეს ისტორია, პირველისაგან განსხვავებით, მხოლოდ სიუჟეტის განვითარების ფორმად არ არის ქცეული. იგი უფრო მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს და მალვოლიოს (ზ. პაპუაშვილი) სახის გამოკვეთით უმთავრეს ამბავს, სახარების სცენებს უკავშირდება.

ყველაფერი წერილით დაიწყო: ოლივია, ანუ მარია, თავის წერილში მალვოლიოს სთხოვს (ან უბრძანებს), რომ იმისათვის, რათა მისი გული საბოლოოდ მოინადიროს, უნდა დაივიწყოს ნათესავები, მეგობრები და ხელმეორედ უნდა იშვას. ეს სიტყვები ახალი აღთქმის სიტყვებს გავს: "თუ ვინმე მოვა ჩემთან და არ მოიძულებს თავის მამას და დედას, ცოლსა და შვილებს, ძმებსა და დებს, საკუთარ სულსაც კი, იგი ვერ გახდება ჩემი მოწაფე" (ლუკა 15,26). მაგრამ სპექტაკლში წერილს ადამიანი წერს, თანაც საკმაოდ ბოროტი განზრახვით. ამგვარად, მალვოლიოს "განწმენდის" გზა თავიდანვე ფიასკოსთვისაა განწირული. ბედისწერას გამოქცეული (ბედისწერა არც ტახტზე მსხდომებს ეგება ფეხქვეშ - როგორც ეს ოცნებებში უკვე გრაფადქცეულ მალვოლიოს ჰგონია), საბოლოოდ ისევ მის ხელში აღმოჩნდება. მაგრამ მალვოლიომ თავიდანვე იცის, რომ "არც ნათესავებს დაინდობს, არც - მეგობრებს, ბოლოს და ბოლოს, ხელმეორედ ხომ უნდა იშვას", რაც მთავარია, სატრფოს გულისთვის სულ მუდამ პირლიმილიანმა იაროს. ამიერიდან ადამიანები ვეღარ გაუგებენ მალვოლიოს. მისი ადგილი აღარ არის იმათ გვერდით, ვინც უკვე დიდი სიამოვნებით, პირველი ესვრის ქვას "მათზე უფრო ცოდვილს". თავად ცოდვილებმა (სერ ტობი - გურამ საღარაძე, მარია - ნანუკა ხუსკივაძე, მასხარა - გოგა გველესიანი, სერ ენდრიუ - ზურაბ შარია) აიღეს საკუთარ თავზე მალვოლიოს გასამართლება და გიჟად შერაცხეს. თეთრ სამოსელში, თეთრი გვირგვინით თავზე, გამოგვეცხადება "შეშლილი" მალვოლიო. "მე მეფე ვარ სულით და ხორცით", - ამბობს ის და შეიცნობს იმას, რაზეც მანამდე არც უფიქრია: "აქ სიბნელეა, მთელი სამყარო ბნელეთმა შთანთქა". ამ სცენის შემდეგ მალვოლიო კვდება (განსხვავებით პიესისაგან, რითაც, ვფიქრობ, ხაზი ესმევა მომავალში მისი მეორედ შობის შესაძლებლობას). გალიმებულს, თვალების ნაცვლად პირს უხურავენ, მაგრამ არაადამიანური, საზარელი და "უადგილო" ღიმილი ჯიუტად, კვლავ და კვლავ უბრუნდება მის სახეს. არა, არც ეს, "სიყვარულისგან ამაღლებული ადამიანია რჩეული. ვერც ის იშვება მეორედ, ჭეშმარიტი შობით (თუმცა, სპექტაკლის ფინალში იგი, ჩამოძონძილ ტანსაცმელში, ლუკიდან ეცხადება "მეთორმეტე ღამის" მონაწილეთ, და ამ "ბედნიერი" ადამიანების გარემოცვაში კიდევ ერთხელ შეეცოდება საკუთარი თავი. რატომ მაინცდამაინც მე? "რატომ გამწირეთ?!") მალვოლიო მოერეოდა გაადამიანურების მძიმე ჯვარს. მალვოლიო ჯვარს ეცვა, მაგრამ არა ქრისტეს ჯვარს. იგი, ჯერ ქრისტეს მარჯვნივ ჯვარცმული ავაზაკია, რომელიც საზარელი ტანჯვის ფასად შეიცნობს უმთავრესს (მალვოლიო, გაიგებს რა, რომ ეს ყველაფერი მარიას ოინებია, არ ბრაზდება, პირიქით, ღვთაებრივი სიმშვიდითა და მიმტევებლობით თავზე ხელს გადაუსვამს ცელქ ქალბატონს (ამ დროს იქნებ ის ცოტათი ქრისტესაც უახლოვდება?), მაგრამ ბოლოს იესოს მარცხნივ იკავებს ადგილს. ეს ავაზაკი ასე ახლოს იდგა ჭეშმარიტებასთან და მაინც უარყო იგი (მალვოლიო, ბოლოს, იარაღს მიიდებს საფეთქელთან, მაგრამ იარაღი არ გავარდება. თუმცა ამას უკვე რა მნიშვნელობა აქვს? მთავარი ის არის, რომ ღმერთის დავიწყების ფაქტი შედგა). "არც შენ ხარ ფრთიანი ანგელოზი", - ასე მიმართავს მალვოლიოს მას-

ხარა.

თვად მასხარა (გ. გველესიანი) კი თითქმის ყოველთვის მართალია. მისი "სისულელე ხომ მზესავითაა და თავს დასტრიალებს დედამიწას". მაგრამ მზის სითბოს იმდენად შეეჩვივნენ, რომ განსაკუთრებულ მადლად აღარავინ აღიქვამს. მას უსმენენ, ენდობიან, - არ კი უჯერებენ. მასხარა თავისუფალია იმდენად, რამდენადაც ყულფში თავგაყოფილი, მარიონეტად ქცეული ადამიანი შეიძლება იყოს თავისუფალი.

ან კი ვინ არიან ის ადამიანები, ვინც თავიანთ თავს სხვის ცხოვრებაზე "ფიქრის" უფლებას ანიჭებენ?

ჭირვეული გრაფის ასული ოლივია (ლელა ალიბეგაშვილი), რომელიც თითქოს მხოლოდ იმიტომ იჩემებს დაღუპულ ძმაზე შვიდწლიან გლოვას, რათა ჰერცოგ ორსინოს თავისმომაბეზრებელ სიყვარულს გაექცეს.

ჰერცოგი ორსინო (ლ. ბერიკაშვილი) უფრო მეტად თავის თავსა და გრძნობებზე შეყვარებული, მოპოეტო მეფე (იგი თავისი სასახლის კარზე სახარების ცოცხალ სურათებს გაითამაშებს - ეს მმართველები ხატებს სულაც არ გმობენ).

ოლივიას მსახური - მარია. ატლასის სამოსელში გამოწყობილი ჯამბაზი, რომელიც ბოროტ სახუმარო ნომრებს იგონებს ხალხის გასართობად.

ოლივიას ბიძა - სერ ტობი ბელჩი (გ. საღარაძე), ლოთი, რომელიც იქნებ იმიტომ ლოთობს, რათა სიფხიზლით ქვეყანა არ არიოს? ("ეს ქვეყანა ფხიზელმა ხალხმა დაანგრია" - ტობი). მისი ამსფონი - სერ ენდრიუ ეგიუჩიკი - რომელიც ტობის იმიტომ დაჰყვება, რომ მისი დისწული შეირთოს ცოლად. თუმცა რაში სჭირდება ამ ბრიყვს ეს ყველაფერი, არც თვითონ იცის და არც მაყურებელმა.

თუკი ოლივიას და ორსინოს საკუთარი ვნებების შეთხზვა მაინც შეუძლიათ, ტობი და სერ ენდრიუ თავიანთი, სასმელში ჩაწყობილი ტვინებითა და ნამუსებით თუნდაც ცოდვის ჩადენის შესაძლებლობასაც კი კარგავენ (მართალია, ისინი მარიას თანამონაწილენი არიან მალვოლიოს საქმეში, მაგრამ უმთავრესი, ანუ იდეა ხომ მარიას ეკუთვნის?). საორკესტრო ორმოდან მათი ტანები ამოიზრდებიან. ისინი არაბუნებრივად, საბავშვო თეატრის თოჯინებივით მოძრაობენ, თითქოს ქვემოდან ათამაშებს ვინმე ხელებითო. მათი შინაგანი ხმა კი (დიალოგის დროს მათი ხმები მაგნიტოფონის ფირზეა ჩაწერილი) აი, რაზე მსჯელობს: "თუ გვიანობამდე არ დაიძინე, აღარ დაიძინო, ადრე ადგომაში ჩაგეთვლება. ადრე ადგომა კი ჯანმრთელობის საწინდარია". აბა, ამ ადამიანებს რა უნდა მოსთხოვო? არა, მართალია, სერ ტობი ხანდახან ჭკვიანურ აზრებსაც აფრქვევს, მაგალითად: "თუ გულით გინდა, შეუძლებელს უმეგობროდაც შეძლებ", ან "სიყვარული გაქრა, ოცნებები - დაასამარეს", ან კიდევ "ჩვენი ცხოვრების არსია ჭამა და სმა, სმა და ჭამა", მაგრამ როდესაც გრძნობები ჭკნება, სიტყვებიც უფასურდება.

ამ "კუნძულზე" გიჟების გარდა კეთილი ადამიანებიც მკვიდრობენ. მაგალითად, ვიოლა (ნინო კასრაძე), მაგრამ მის გასაკეთებელ სიკეთეს ცეზარიო ასრულებს. ანტონიოსაც (ზვიად პაპუაშვილი) შეუძლია სიკეთის კეთება და ვიოლას მეგობარ, გემის კაპიტანსაც (დემეტრე სხირტლაძე), მაგრამ ისინი სცენაზე, საერთოდ, ცოტა ხანს დგანან.

გრძნობებისაგან გამოფიტული ადამიანები მოძრაობენ და ეჯახებიან ერთმანეთს; მარშივით მღერიან შობის საგალობელს და ბრჭყვიალა ნაძვის ხის დანახვა უფრო ახარებთ, ვიდრე ლურჯი, ვარსკვლავიანი ზეცის. შობის დღესასწაულის აღნიშვნა მხოლოდ ჩვეულებად ქცეულა, სათეატრო წარმოდგენად და უკვე ვეღარავინ გრძნობს მის ჭეშმარიტ მადლს. ამიტომ მათ ისევ არ შეუძლიათ დაინახონ ერთი, კაშკაშა ვარსკლავი ცაზე, არც პატარა კრავებს ამჩნევენ ირგვლივ (გ. მესხიშვილის სცენოგრა-



ფია). ღმერთის არსებობა მათში ჯვარცმის ტანჯვით იწყება ("ისიც დაგვავიწყდა, რაც ვიცოდით, რაც შეგვეძლო. როცა საჭიროა, არ გვახსენდება რა ვიცით - ესაა ჯვარცმის ტანჯვა". მ. მამარდაშვილი) და აქვე მთავრდება. ამიტომ სცენაზე არსად ჩანს ქრისტე თავისი მოძღვრებითა და სასწაულებით.

ქრისტე არ ჩანს, სამაგიეროდ ჩანს ჰეროდე. თეთრ სამოსელში გამოწყობილი, დამბლადაცემული, დაუნი მეფე. იგი ერთადერთია, ვინც ორსინოს კარზე გათამაშებული სახარების სცენებში მხოლოდ მსახიობს არ წარმოადგენს, მსახიობს, რომელიც სპექტაკლის დამთავრებისთანავე ჩვეულებრივ მდგომარეობას უბრუნდება. ჰეროდე როლს არ იცვლის. თავისი სახით, თავისი განზრახვით ბოლომდე მკვლელია - ყრმა ქრისტეს პირველი მკვლელი. მისი ხელები საზარლად იკლაკნება სცენის ორმოდან, მაგრამ ვერავინ ამჩნევს.

არა, ეს ჭრელა-ჭრულა კაცები და ქალები კიდევ დიდხანს ვერ მიხვდებიან ვერაფერს. თუმცა... "გამოგიტყდებით, შიში მიპყრობს", - ამბობს მხიარული კარნავალის დამთავრების შემდგომ ოლივია. ამ დროს ორმოდან უზარმაზარი ჯვარი გამოჩნდება და გოლგოთის ავლის შემდეგ, ლურსმნების დაჭედების საზარელი ხმაც ისმის. ბოლოს კი ავანსცენაზე ჰერცოგი ორსინო გამოდის და ამბობს სიტყვას, როგორც "ქვეყნის მმართველს" შეჰფერის: "დამშვიდდით, ბედნიერი დღეები გველის"-ო.

დაბნეული ადამიანები, ქრისტე და ქვეყნის მმართველი (ასე იყო "ყვარყვარეშიც").

ნუთუ ყველაფერი თავიდან იწყება?

არ ვიცი, რა უკეთესია - როცა კრიტიკოსი სპექტაკლს განიხილავს და აფასებს, როგორც უკვე დასრულებულ მხატვრულ ნაწარმოებს, თუ როდესაც თავისდაუნებურად, რეჟისორის იდეის "წაბაძვით", ცდილობს საკუთარი აზროვნების დაფიქსირებას?

მე ეს უკანასკნელი გზა ავირჩიე, "მოკლე შინაარსის" გზა. სამწუხაროდ, ალბათ იმიტომაც, რომ ყველაფერი, რაზეც თეატრალურ კრიტიკოსს უნდა ემსჯელა (სპექტაკლის ფორმა, მიზანსცენები, მსახიობის ოსტატობა), მხოლოდ რეჟისორის ჩანაფიქრში დარჩა და ნაკლებად განხორციელდა რუსთაველის თეატრის ახალ სპექტაკლში - "როგორც გნებავთ ანუ შობის მეთორმეტე ღამე".

არილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კახა თარგამაძის ინციდენტის პოლიტიკური ასპექტები

**ია ანთაძე**

"უცხო სიტყვათა ლექსიკონი" სიტყვა "ინციდენტს" სამგვარად განმარტავს: უსიამოვნო შემთხვევა; გაუგებრობა; შეხლა-შემოხლა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან - კახა თარგამაძესთან -დაკავშირებული ინციდენტი ამ ცნების სამივე მნიშვნელობას აერთიანებს.

კახა თარგამაძის პრობლემამ მორევის ეფექტით იმოქმედა და ბევრი პერსონაჟი "ჩაითრია". პრობლემის ამოწურვის შემდეგ კი ეს ინციდენტი ზოგისთვის უსიამოვნო შემთხვევად დარჩა, ზოგისთვის - გაუგებრობად, ზოგისთვის - სერიოზულ შეხლა-შემოხლად.

შინაგან საქმეთა მინისტრის ირგვლივ ბოლო თხუთმეტი დღის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებში წვეთი წყალივით აისახა ჩვენი სახელმწიფოს მდგომარეობაც, პრობლემებიც და პერსპექტივებიც.

○ ○ ○

კახა თარგამაძის "უახლესი" პრობლემები გაზეთ "რეზონანსის" მიერ გამოქვეყნებული ჟურნალისტური გამოძიებით დაიწყო 16 მარტს.

საგაზეთო მასალას იმ დღესვე, პარლამენტის სხდომაზე გამოეხმაურნენ ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" წევრები კობა დავითაშვილი და ვასილ მაღლაფერიძე. მათ საჭიროდ მიიჩნიეს ჟურნალისტური გამოძიების მასალების სერიოზული გადამოწმება.

19 მარტს საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე გადაწყდა, რომ "რეზონანსის" ბრალდებებს იურიდიული კომიტეტი შეისწავლიდა და თუ მინისტრის ქმედებაში დანაშაულის ნიშნებს მართლაც აღმოაჩენდა, საქმეს პარლამენტის საგამოძიებო კომისიას ("ოსაძის კომისიას") გადასცემდა. ეს გადაწყვეტილება იმ დღესვე ბიუროს სხდომაზეც დამტკიცდა.

უმრავლესობის შეკრებაზეც და ბიუროს სხდომაზეც ხაზგასმით აღინიშნა, რომ მინისტრის იმპიჩმენტის საკითხი, ჯერჯერობით, არ იხილებოდა.

19 მარტსვე კახა თარგამაძემ საინფორმაციო შეკრება ჩაატარა, რათა "რეზონანსის" ბრალდებებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია განემარტა. შეკრება, ძირითადად, პოლიციელთა თავყრილობად იქცა, რაც ვასილ მაღლაფერიძემ მეორე დღესვე კონსტიტუციის 25-ე მუხლის დარღვევად შეაფასა. აი, რა წერია საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლში: **"ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში, უფლება აქვს, წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ"**. სწორედ იმ დღეს, 20 მარტს, პარლამენტის კულუარებში პირველად ითქვა, რომ თუ კონსტიტუციის დარღვევა დადასტურდა, წესით და რიგით, ეს მინისტრის იმპიჩმენტის საფუძვლად უნდა იქცეს.

○ ○ ○

პრეზიდენტი პოლიციის მინისტრის პრობლემებს მხოლოდ 10 დღის შემდეგ - 26 მარტს გამოეხმაურა. მან რადიოინტერვიუში ენერგიულად დაიცვა თავისი ხელმოწერილი დოკუმენტაცია, რომელიც კახა თარგამაძის ინციდენტში ფიგურირებდა და მინისტრსაც მხარი დაუჭირა, ოღონდ, "მსუბუქად": მადლობა გადაუხადა მას "გამოჩენილი ინიციატივისა და დიდი ძალისხმევისათვის".

ამ დღის ჩათვლით, ესე იგი, 16-26 მარტის მონაკვეთში, მოვლენების ლოგიკა სრულად ექვემდებარებოდა სცენარს, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ უკვე გათამაშდა და რომელიც თანამდებობის დატოვების ფასად დაუჯდა გენერალურ პროკურორს - ჯამლეთ ბაბილაშვილს.

ვითარება მკვეთრად გამწვავდა ორი დღის შემდეგ, 28 მარტს, როდესაც მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტმა საკუთარ პარტიას შეუტია და ულტიმატუმი წამოაყენა: ან შევარდნაძე და თარგამაძე ერთად, ან მოქალაქეთა კავშირი შევარდნაძის გარეშე.

რა შეიცვალა ორშაბათიდან ოთხშაბათამდე? ამ კითხვის პასუხი საზოგადოებისთვის უცნობია. თუ არ გავითვალისწინებთ ერთ, შესაძლოა, არსებით დეტალს. ორშაბათიდან ოთხშაბათამდე, ანუ სამშაბათს, "ღამის მოამბის" ეთერით გავიდა სიუჟეტი, რომლის სულისკვეთება ორიოდე სიტყვით ასე შეიძლება გადმოვცეთ: კახა თარგამაძის წინააღმდეგ საქმე ისე "აგორდა", რომ მას მალე მოხსნიან; შინაგან საქმეთა მინისტრად, შესაძლოა, გიორგი ბარამიძე, რეზო ადამია ან სულხან პაპაშვილი დანიშნოს.

როდესაც ეს სიუჟეტი ეთერში გავიდა, ინგა გრიგოლიას სტუდიაში თავად კახა თარგამაძე იჯდა. მას არ დაუმალავს განცვიფრება გადაცემული მასალით და პირდაპირ თქვა: მგონი, მინისტრობიდან უკვე გადამაყენეთო.

სწორედ ამ ამბავს მოჰყვა მეორე დილით პრეზიდენტის გააქტიურება კახა თარგამაძის დასაცავად. ჩანს, მინისტრმა ყველა ბერკეტი სასწრაფოდ აამუშავა.

○ ○ ○

კვანძი გაიხსნა ოთხშაბათს, მთავრობის სხდომის შემდეგ. კახა თარგამაძემ ბევრისთვის მოულოდნელად გამოაცხადა, რომ მასთან დაპირისპირების ეპიცენტრი პარლამენტი კი არ არის, არამედ - აღმასრულებელი ხელისუფლება. თან მუქარაც არ დავიწყებია: რაც მეტად შემომიტევენ, მეც მეტი ძალით შევუტევო.

აღმასრულებელი ხელისუფლების ხსენება დაპირისპირების კონტექსტში მოულოდნელი იყო, რადგან ბრალდებები პარლამენტიდან წამოვიდა და, შესაბამისად, პრეზიდენტიც საპარლამენტო გუნდს გაუწყრა.

თუმცა, დილითვე პრეზიდენტმა იერიში ორი მიმართულებით მიიტანა: მან მწარედ უსაყვედურა საკუთარ პარტიას შეუთანხმებელი განცხადებების გამო და არანაკლებ მწარედ შეუტია ინკოგნიტო თანამოაზრეებს, რომლებიც "ჩირგვებში იმალებიან" - ესე იგი, საჭირო განცხადებებს არ აკეთებენ.

ვის გულისხმობდა პრეზიდენტი "ჩირგვებში დამალულთა" შორის, დღემდე უცნობია. თუმცა, დილით გაკეთებული ამ განცხადების შემდეგ, საღამოს ინგა გრიგოლიას ეთერში ერთბაშად გამოჩნდა სახელმწიფო კანცელარიის უმაღლესი ეშელონი, კერძოდ, ბატონები: პეტრე მამრაძე (სახელმწიფო კანცელარიის უფროსი), კახა იმნაძე (პრეზიდენტის პრესმდივანი), სულხან პაპაშვილი (სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსი) და ნუგზარ საჯაია (უშიშროების საბჭოს მდივანი). თითოეულმა მათგანმა საჯაროდ დაუჭირა მხარი კახა თარგამაძეს; მათგანვარი კი, ალბათ, ის იყო, რომ პაპაშვილმა და საჯაიამ დაბეჯითებით უარყვეს წინა დღეს ეთერში გაჟღერებული ვერსია პაპაშვილის შესაძლო გამინისტრების შესახებ.

მოვლენების შემდგომი განვითარება ვიხილეთ შაბათს, ნატო ონიანის საავტორო პროგრამაში "ტაიმ-აუტი". ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერად უკვე მოქალაქეთა კავშირის ლიდერებმა (მათ შორის, მინისტრობის კანდიდატებად დასახელებულებმა) საჯაროდ აღიარეს, რომ პრეზიდენტის საყვედური უმრავლესობის მიმართ სამართლიანი იყო.

ამით, თითქოს, გაუგებრობის ბურუსი ყველა მიმართულებით გაიფანტა და კახა თარგამაძის ინციდენტი დროებით ამოიწურა.

და მაინც, ამ საქმეში ზოგიერთი კითხვის ნიშანი დარჩა.

○ ○ ○

**პირველი:** საინტერესოა პრეზიდენტის პოზიცია.

თუ მას მართლაც თავიდანვე განზრახული ჰქონდა კახა თარგამაძის დაცვა, ალბათ, უფრო ლოგიკური იქნებოდა, მოვლენების შემდგომი განვითარება მანამდე შეეჩერებინა, ვიდრე ამ საკითხზე ჯერ უმრავლესობა, შემდეგ კი - ბიურო იმსჯელებდა. მაგრამ ეს არ მოხდა, რაც, შეიძლება, ორი მიზეზით აეხსნათ:

1. პრეზიდენტი არ შეუთანხმდა ზურაბ ჟვანიას (პირობითად, პარლამენტს) იმის გამო, რომ ხელი არ შეუშალა თარგამაძესთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს. ამ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ პრეზიდენტისთვისაც ხელსაყრელი იყო რამდენიმე მიწისძვრა ბიძგი შინაგან საქმეთა მინისტრის ტერიტორიაზე.

2. პრეზიდენტი არ შეუთანხმდა ზურაბ ჟვანიას იმის გამო, რომ, ფაქტობრივად, მას არც არაფერს უთანხმებს და თავის პოზიციას მხოლოდ რადიოთი და ტელევიზიით ატყობინებს.

○ ○ ○

**მეორე:** როდესაც პრეზიდენტი მთავრობის სხდომაზე დაბეჯითებით საყვედურობდა უმრავლესობას მასთან შეუთანხმებელი განცხადებების გამო, ბუნებრივად გაჩნდა შეკითხვა - განა უმრავლესობის მსგავსი განცხადებები ჯამლეთ ბაბილაშვილთან (და ზოგიერთ ყოფილ მინისტრთან) დაკავშირებით - შეთანხმებული იყო პრეზიდენტთან? თუ უმრავლესობა სხვა შემთხვევებში შეუთანხმებლად მოქმედებდა, მაშინ, ცხადზე ცხადია, რომ ზოგჯერ სწორედ შეუთანხმებელი განცხადებები მთავრდება სახელმწიფოსთვის (და პრეზიდენტისთვის) სასარგებლო შედეგით.

○ ○ ○

**მესამე:** რატომ მოხდა, რომ დილით, მთავრობის სხდომაზე, პრეზიდენტმა საკუთარ საპარლამენტო უმრავლესობას შეუტია, ხოლო საღამოს კახა თარგამაძის მიმართ ნდობა და კეთილგანწყობა დააფიქსირეს არა უმრავლესობის წევრებმა, არამედ, კანცელარიის მაღალჩინოსნებმა? ხომ არ გათამაშდა "რძალო, შენ გეუბნები და, მულო, შენ გაიგონე"-ს სცენარი?

რაკი კახა თარგამაძის მაკომპრომეტირებელ მასალას პარლამენტი იხილავდა, ცხადია, მინისტრის დაცვა პრეზიდენტს მხოლოდ პარლამენტზე შეტევით შეეძლო. მაგრამ, ხომ არ იგრძნო ნამდვილი საფრთხე კახა თარგამაძემ არა პარლამენტიდან, არამედ კანცელარიიდან? განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მის შესაძლო შემცვლელებს შორის დასახელდა სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსი სულხან პაპაშვილი?

პოლიტიკისთვის თვალყურის მიმდევნებელი ადამიანისთვის ნათელია, რომ დღეს მაღალ თანამდებობებზე ადამიანები ორი სახელისუფლო შენაკადიდან ინიშნებიან: ან ზურაბ ჟვანიას და ან ნუგზარ საჯაიას რეკომენდაციით. პრესის ვერსიით, სულხან პაპაშვილი საჯაიას პროტეჟეებისგან ერთ-ერთი გამორჩეულია.

არ არის გამორიცხული, რომ დღეს შინაგან საქმეთა მინისტრი მეტ საფრთხეს გრძნობდეს კანცელარიიდან, ვიდრე პარლამენტიდან. ამის მიზეზი ზურაბ ჟვანიასა და კახა თარგამაძის ურთიერთობის სპეციფიკაა.

○ ○ ○

ვიდრე ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარეა, ხოლო თარგამაძე - პოლიციის მინისტრი, ეს ორი ადამიანი ერთმანეთის ტაქტიკური მოკავშირეა. ერთი მხრივ, აშკარაა პოლიციის როლი არჩევნებში და ამის გაუთვალისწინებლობა მეტისმეტად ძვირად დაუჯდა, მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. ბუნებრივია, ზურაბ ჟვანია ირინა სარიშვილის შეცდომას არ გაიმეორებს და კახა თარგამაძის მიმართ განსაკუთრებულ სიფრთხილეს გამოიჩენს. მით უმეტეს, რომ წინ ადგილობრივი, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებია.

ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერ მინისტრს პარლამენტი ამტკიცებს და მინისტრის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურასაც პარლამენტი ახორციელებს, ზურაბ ჟვანია არანაკლებ საჭირო ადამიანია კახა თარგამაძისთვის.

ადრე თუ გვიან, ჟვანიასა და თარგამაძის გზები, ცხადია, გაიყრება. ეს თვალსაზრისი, მინიმუმ, ორგვარ არგუმენტაციას ეყრდნობა.

1. ექსპერტული გამოკითხვები პოლიციას ყველაზე კორუმპირებულ უწყებად ასახელებს, კახა თარგამაძე კი სისტემის რეფორმირებას ენერგიულად ეწინააღმდეგება. საზოგადოებრივი აზრის თანახმად, თავად მინისტრსაც კორუფციაში ეჭვმიტანილთა შორის აქვს მიჩენილი საპატიო ადგილი.

ზურაბ ჟვანია კი თავის პოლიტიკურ კარიერას რეფორმებსა და კორუფციასთან ბრძოლაზე აგებს. თარგამაძისა და ჟვანიას არსებითი მიზნები ერთმანეთს არ ემთხვევა.

2. პრესის ვერსიით, კახა თარგამაძე სამომავლოდ პრეზიდენტობისთვის ბრძოლას აპირებს, ისევე, როგორც ზურაბ ჟვანია. საპრეზიდენტო ამბიცია კი, ალბათ, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ამ ამბიციის მქონე ორი პოლიტიკური ფიგურა ერთმანეთის სტრატეგიულ მოწინააღმდეგედ ჩაითვალოს.

ეს ყველაფერი - სამომავლოდ. დღეს კი ჟვანიასა და თარგამაძეს ერთმანეთთან კინკლაობა არ სჭირდებათ. მათი ურთიერთდაპირისპირება მეტისმეტად ნაადრევი და, ჯერჯერობით, ორივე მხარისთვის სარისკოა.

○ ○ ○

რაც შეეხება საპარლამენტო უმრავლესობის მებრძოლ ბირთვს, - ის ყოველთვის მზად არის კორუფციაში ეჭვმიტანილ ჩინოვნიკებზე იერიშის მისატანად. რეფორმატორებად წოდებული გუნდის ერთ უმთავრეს ფუნქციად ესეც შეგვიძლია მივიჩნიოთ. მაგრამ მათი მებრძოლი სულისკვეთება სრულებითაც არ ნიშნავს, რომ თითოეული მცდელობა წარმატებით უნდა დაგვირგვინდეს. გავიხსენოთ, რომ ფრიდონ ინჯიას "აბლაბუდა" რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა, მისი მინისტრობიდან გადადგომა კი მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მოხერხდა; თანაც, მთავარი ბრალდება ისევ და ისევ "აბლაბუდა" იყო.

კახა თარგამაძეს (კორუფციაში მონაწილეობის ზოგადი ეჭვების გარდა) მედიისა და ამ გუნდის ძალისხმევით ბოლოხანს რამდენიმე კონკრეტული პრობლემა დაუფიქსირდა: მინისტრის განცხადება პარლამენტიდან ოპერატიული ინფორმაციის მიღების შესახებ, ეჭვი კანონის დარღვევასთან დაკავშირებით ("დინამოს" თემა) და ეჭვი კონსტიტუციის დარღვევაზე (25-ე მუხლი).

○ ○ ○

თუმცა, ბოლო ინციდენტის შემდეგ, შინაგან საქმეთა

მინისტრმა ყველას თვალნათლივ დაანახა თავისი ძალაუფლების ხარისხი: პრეზიდენტი მზად არის, კახა თარგამაძე რაგინდ სერიოზული პრობლემებისგან დაიცვას, თანაც, დაიცვას არა მოვალეობის მოსახდელად, არამედ - თავგანწირვით. დღეს შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში კახა თარგამაძემ - ძალის ღია და ფარული დემონსტრირებით - არანაკლები მოიგო, ვიდრე წააგო.

სრულად მოგებულია "რეზონანსიც". გაზეთმა მიიღო უპრეცედენტო ნდობა და მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან: ბოლო ორი კვირის განმავლობაში გაზეთი განუწყვეტლივ იყიდება და შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

არაფერი წაუგია საპარლამენტო უმრავლესობასაც. მართალია, პრეზიდენტმა თანაგუნდელებს ზედმეტი აქტიურობისთვის სერიოზულად უსაყვედურა, მაგრამ, შესაძლოა, ეს ერთგვარ ფორმალობადაც მივიჩნიოთ: თავად პრეზიდენტს არაერთხელ უსარგებლია თავისი თანაგუნდელების მსგავსი აქტიურობით.

○ ○ ○

შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთი, ვინც კახა თარგამაძესთან დაკავშირებული ინციდენტით სრული მარცხი განიცადა - საზოგადოებაა. მას კიდევ ერთხელ დაბეჯითებით მიანიშნეს, რომ ახლო მომავალში სასიკეთო ცვლილებებს არ უნდა ელოდეს.

"არილის" წინა ნომერში ვწერდით, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ, თავისი პასიურობით, აწმყო მთლიანად ამოაგდო საზოგადოებრივი ცნობიერებიდან; შესაბამისად, პოლიტიკოსებიც და საზოგადოების დანარჩენი წევრებიც - ნებსით თუ უნებლიეთ - ორიენტირებულნი არიან მომავალზე, შევარდნაძის შემდგომი პერიოდის საქართველოზე; დღევანდელ პრეზიდენტს დიდი ძალისხმევა დასჭირდება იმისათვის, რომ საზოგადოებას აწმყოს განცდა დაუბრუნოს და პრეზიდენტის პოსტზე შევარდნაძის ყოფნის აუცილებლობა ხელახლა აგრძნობინოს.

კახა თარგამაძესთან დაკავშირებულმა ინციდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა აწმყოს გაყინულობა, უძრაობა, უპერსპექტივობა. კახა თარგამაძის სრული "გასუფთავების" მცდელობით, პრეზიდენტმა აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა საკუთარ იმიჯს. რასაკვირველია, მან ეს გააკეთა გააზრებულად, წინასწარი განზრახვით, შესაძლოა, ობიექტური (ან სუბიექტური) ფაქტორების ზეწოლით. საფიქრებელია, თავისთვის საზიანო ამ ნაბიჯის გადადგმით პრეზიდენტმა რაღაც მაინც მოიგო. სხვა შემთხვევაში, დღეს კახა თარგამაძის თავგანწირული დაცვის მოტივაცია გაუგებარია.

მაგრამ, საქმე ისაა, რომ საზოგადოებას უკვე მერამდენედ სთავაზობენ, ბრმად ენდოს ხელისუფლებას და, პირადად, პრეზიდენტს. საზოგადოების მხრიდან პასუხიც შესაბამისია: ადამიანები აღარც ბრმად და აღარც თვალხილული ენდობიან ხელისუფლებას, აღარც განმარტებებს ელიან, აღარც ცვლილებების იმედი აქვთ და აღარც პერსპექტივას ხედავენ ახლო მომავალში. შევარდნაძის საქართველო, ფაქტობრივად, ამოგდებულია წელთაღრიცხვის ვექტორიდან.

კახა თარგამაძის (მშვიდობით ამოწურულმა) ინციდენტმა საზოგადოებას თავისი უიმედობა აწმყოს მიმართ კიდევ ერთელ დაუდასტურა და, 1991 წლის რეფერენდუმის ათი წლის თავზე, შესაძლოა, მავანს კიდევ ერთხელ ათქმევინა: **"ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?!"**



არნოლდ ტოინბი

# იგი მოწინააღმდეგისადმი სიძულვილის გარეშე იბრძოდა



ვერ ვიტყვი, რომ ახლოს ვიცნობდი ნერუს, ჩვენ სულ რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ მასთან პირველივე შეხვედრისას მიღებული შთაბეჭდილება მერე წლების მანძილზე აღარ შემიცვლია. არა, შთაბეჭდილება მეტისმეტად სუსტი და გაცვეთილი სიტყვაა. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ნერუმ "მომაჯადოვა" - მას ჰქონდა უნარი, დაემორჩილებინა გულები და მორჩილებაში ჰყოლოდა ისინი.

ეს უნარი ყველა ადამიანში ღირსშესანიშნავია, მაგრამ ნაკლებად გვაოცებს, როდესაც იგი შედარებით შეუმჩნეველ კაცს ახასიათებს, და არა მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფო მოღვაწეს, ვინც მხოლოდ თავისი ქვეყნის კი არა, მსოფლიოს საქმეებსაც დააჩნია კვალი. ნერუში დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ მომხიბვლელი ადამიანი ვერ დაჩრდილა. იმის თქმა მსურს, რომ ნერუ პირწმინდად იყო მოკლებული პომპეზურობას, საკუთარი მნიშვნელოვანების შეგრძნებას, თვითტკბობის სურვილს. მან წლების მანძილზე ატარა თავისი მხრებით უზარმაზარი პასუხისმგებლობა ისე, რომ ჭაბუკური უშუალობა და ხალისი არ დაუკარგავს. მხოლოდ სიცოცხლის მიწურულს მოდრიკა იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდოეთსა და ჩინეთს შორის გაუთვალისწინებელი განხეთქილების ტვირთმა.

მოხდა ისე, რომ ნერუსთან პირველივე შეხვედრისას მისი პიროვნული არსი მხიარული, მაგრამ, ამავე დროს, მკაფიო და, რაც მთავარია, დამაჯერებელი სახით გამოვლინდა. იმ წლების ამბავს ვიხსენებ, ორ მსოფლიო ომს რომ აშორებს ერთმანეთისგან. ნერუს ის იყო გაუვიდა ინგლისის მთავრობის მიერ მისჯილი პატიმრობის ვადა. ციხიდან გამოსვლისთანავე მან სულის მოსათქმელად ინგლისს მოაშურა. ერთმა ნაცნობმა ქალბატონმა ლანჩზე დამპატიჟა, სადაც ნერუც ჰყავდა მიწვეული. ჯავაჰარლალი ადრე მოვიდა. შემდეგ კარი ერთ-ერთი სტუმრის წინაშე გაიღო და შემოვიდა საპარადო ფორმაში გამოწყობილი ბრიტანელი გენერალი. ნერუს დანახვისას გენერალს პირდაპირ ყბა მოექცა. მას აშკარად ჰქონდა რაღაც კავშირი ჯავაჰარლალის პატიმრობასთან. დღესაც არ ვიცი, შემთხვევით დასვა თუ განგებ დიასახლისმა გენერალი და ნერუ სუფრასთან ერთმანეთის გვერდით; ვფიქრობ, ეს მაინც შემთხვევით მოხდა. მისი მეუღლის ოჯახს დიდი ხნის ურთიერთობა ჰქონდა ინდოეთთან და, საფიქრებელია, რომ ქალმა გადაწყვიტა ამ ქვეყანასთან დაკავშირებული ორი ადამიანი საერთო თემას გამონახავსო.

მე ნერუს ვაკვირდებოდი. გენერლის მოსვლამდე რამდენიმე წუთი ვუსმინე და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რათა მის საბრძოლო განწყობაში დავრწმუნებულიყავი. ცხადი იყო, რომ ნერუ აპირებდა ბრიტანეთის ხელისუფლებისგან ინდოეთის გათავისუფლებისთვის მიეღწია. ის მხოლოდ თავისუფლებისთვის ბრძოლაზე ფიქრობდა. საინტერესოა, როგორ შეხვდება იგი დაბნეული გენერლის გამოჩენას? გულცივად? მოღუშული? პასუხი მაშინვე მივიღე - ნერუს თვალები ეშმაკურად აციმციმდა. მან შეაფასა სიტუაციის სასაცილო მხარე და იმით გაგვამხიარულა, რომ გამოჯავრება დაუწყო გენერალს, რომელიც ნერუს ყოველი დახვეწილი თავდასხმის შემდეგ სულ უფრო მეტად ნერვიულობდა და სულ უფრო შემრიგებლური ტონით ლაპარაკობდა.

ეს, თავისთავად უმნიშვნელო, შემთხვევა ბევრი რამის გაგებაში დამეხმარა. ჩემს წინაშე იყო ადამიანი, რომელსაც შეეძლო ებრძოლა - შეუპოვრად ებრძოლა - მოწინააღმდეგისადმი სიძულვილის გარეშე. ნერუს საკმაოდ ბევრი მიზეზი ჰქონდა, რათა ინგლისელები არ ჰყვარებოდა. პატიმრობა ადამიანის ისედაც ხანმოკლე ცხოვრებიდან მთელ პერიოდს ამოგლეჯს ხოლმე; ინგლისელები ციხეებში სვამდნენ თავისუფლებისთვის მებრძოლ ინდოელებს, თუმცაღა ისინი იმავე იდეალებს იცავდნენ, რომელთა ერთგულებაზეც თვით ინგლისელები საჯაროდ დებდნენ თავს და რომლებსაც დიდი სერიოზულობით ეპყრობოდნენ, როცა ეს საკუთრივ მათ შეეხებოდა. თითქოს, ნერუში ამას სიმწრით სავსე გრძნობები უნდა აღეძრა, მაგრამ ჯავაჰარლალს ისინი არ გაჩენია. მე ადრეც ვიცოდი, რომ ბრძოლა მოწინააღმდეგისადმი სიძულვილის გარეშე



ჯავაჰარლალ ნერუ შვილთან და შვილიშვილთან, ინდირა და რაჯივ განდისთან ერთად

მაჰათმა განდის ერთ-ერთი პრინციპი იყო. ჩემს წინაშე მისი უახლოესი თანამებრძოლი იჯდა; მე ვნახე როგორ გამოიყენებოდა რეალურ ცხოვრებაში მთის ქადაგება - ყოველგვარი თვითკმაყოფილების გარეშე, სრულიად ძალდაუტანებლად - და ამან განმაცვიფრა.

მეორე შემთხვევა, რომელიც დამამახსოვრდა, კიდევ უფრო უმნიშვნელოა, მაგრამ აქაც ნერუს ხასიათი გამომჟღავნდა. 1956 წელს დელის უნივერსიტეტმა საპატიო სამეცნიერო ხარისხი მომანიჭა, მაგრამ ცერემონიის დღესა და საათს იქამდე მისვლა ვერაფრით ვერ შევძელი. ოტელ "აშოკას" უნივერსიტეტისგან შვიდივე (თუ თოთხმეტივე?) ისტორიული დელი აშორებს. მე კი შაჰჯაჰანაბადის ვიწრო ქუჩებში სატრანსპორტო საცობში მოვხვდი. როდესაც, როგორც იქნა, ორმოცდახუთი წუთის დაგვიანებით უნივერსიტეტიდან მეოთხედი მილის მანძილზე აღმოვჩნდი, მოულოდნელად გაოცებულმა დავინახე, რომ ჩემსკენ ნერუ მორბოდა. როგორ მოახერხა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა გამოენახა დრო, რათა აკადემიურ ცერემონიაში პირადი მონაწილეობით პატივი ეცა და სიამოვნება მოენიჭებინა ჩემთვის? ან კიდევ, თვითონ რატომ უნდა წამოსულიყო ჩემს მოსაძებნად? მიუხედავად იმისა, რომ ორმოცდახუთი წუთი ველოდინე, იგი ოდნავადაც არ იყო გაბრაზებული. აი, ნერუს მცველები კი ნამდვილად გაიტანჯნენ. როცა ჩვენ ერთად შევედით უნივერსიტეტში, მცველები გაფაციცებით ეძებდნენ მათი თვალთახედვიდან გამსხლტარ პრემიერ მინისტრს. მათი შიში სულაც არ იყო საფუძველს მოკლებული. ხომ მოკლეს მაჰათმა განდი. და განა ახლა პრემიერ მინისტრს არ ჰქონდა მოსხმული მხრებზე მისი ტოგა?

ჩვენი ბოლო შეხვედრა 1960 წელს შედგა. გულისტკივილით ვხედავდი, რომ ნერუ, მართალია, სულიერ სიმხნევეს არ კარგავდა, მაგრამ უკვე გაეტეხა მის ძალებს აღმატებული საზრუნავის ტვირთს. ნერუმ თავისთან მიმიწვია. საუბრისას ვცდილობდი ჩინეთზე არაფერი მეთქვა, რადგან ვიცოდი, რაოდენ მტკივნეული იყო ეს თემა მისთვის. ამაოდ ვიჩენდი სიფრთხილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნერუ თვითონ ალაპარაკდა ჩინეთზე, ინდოეთ-ჩინეთის სასაზღვრო კონფლიქტზე, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა და თითქმის აკვიატებულ იდეად ექცა.

ყველაფერი ეს დიდად განსხვავდებოდა ჩვენი ადრინდელი შეხვედრებისგან. მაგრამ ნერუმ მოულოდნელად ამჯერადაც ჩაიდინა ერთი იმ საქციელთაგანი, მის ახლობლებს რომ აოცებდა და ამ ადამიანის პიროვნულ არსს გამოხატავდა. ჩემი ინდოეთში ჩასვლის მიზანი მაულანა აბულ კალამ აზადის მეორე მემორიალზე ლექციის წაკითხვა იყო (პირველ მემორიალზე ლექცია წაიკითხა თვით ნერუმ). ტრიბუნაზე ასვლა ძლივს მოვასწარი, რომ დარბაზში პრემიერ მინისტრი შემოვიდა. მან ახლაც გამონახა დრო, რათა აკადემიურ ღონისძიებაზე მოსულიყო და სტუმარი ესიამოვნებინა. ეს დიდი გულუხვობაა სახელმწიფოს ხელმძღვანელის მხრივ. განსაკუთრებით იმან შემძრა, რომ სწორედ იმ დღეს განიცადა ნერუმ მძიმე პირადი დანაკარგი. გარდაიცვალა ლედი მაუნტბეტენი. ედვინა მაუნტბეტენთან ნერუს გულითადი მეგობრობა აკავშირებდა. მისი მხურვალე გულისთვის კი, ვფიქრობ, მეგობრობა გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე ბევრი ჩვენგანისათვის.

* * *

ახლა უკვე უეჭველია, რომ ნერუ საუკუნეების მანძილზე დარჩება ისტორიულ პიროვნებად, მაგრამ როგორ წარმოაჩენს ისტორია მის სახეს? ნერუს ადამიანური ხიბლი მხოლოდ იმ ხალხისთვის არის ცნობილი, ვისაც ახლო ურთიერთობა ჰქონია მასთან და ჯავაჰარლალის მეგობრებმა ჩემზე ბევრად მეტი იციან ამის შესახებ. მასთან პირადი ურთიერთობით მიღებული შთაბეჭდილება გახუნდება მეორე ან სამოცდამეათე პირის მიერ გადმოცემისას და დროთა განმავლობაში შეიძლება სრულიად წაიშალოს.

დარჩება თუ არა ნერუ ისტორიაში, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწე? სრულიად უეჭველია, რომ იგი ამ სახელს იმსახურებს. მაგრამ უკვე ვთქვი და ვფიქრობ, რომ არც შევმცდარვარ: მსოფლიო პოლიტიკაში ნათამაშევი როლი სულაც არ არის უმთავრესი ნერუში. შეგვიძლია მხოლოდ მადლობა ვუძღვნათ კეთილშობილ სულს, რომელმაც იკისრა პოლიტიკური ხელმძღვანელობის ტვირთი ეტარებია, რადგან პოლიტიკა გამუდმებით საჭიროებს განწმენდას. პოლიტიკა ადამიანური საქმიანობის ჩამორჩენილი სფეროა, რომელშიც ხალხი უეჭველია, უფრო დაბალ დონემდე ეშვება, ვიდრე ეს ოჯახურ ან პროფესიულ ურთიერთობებში ხდება. პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლისას კეთილშობილი ადამიანი საფრთხეში იგდებს თავს, რადგან რაოდენ აუცილებელიც განწმენდა პოლიტიკოსისთვის, იმდენად ძნელი აღსასრულებელია ეს საქმე განმწმენდისთვის. პოლიტიკა ურჩია. მის განსაწმენდად ადამიანის ხანმოკლე სიცოცხლე არა საკმარისი, თუნდაც ეს ერთი იმ იშვიათი კაცთაგანის სიცოცხლე იყოს, ვისშიც მაღალი იდეალებისადმი ერთგულება პრაქტიკოსის გენიას ერწყმის. უკეთილშობილესი პოლიტიკური მოღვაწეებიც კი ვერ ახერხებენ მთლიანად დააღწიონ თავი გარემოებებისადმი მონობას. მაღალი იდეალების ერთგული პოლიტიკოსი იძულებულია საკუთარი თავი გაიღოს საზღაურად და ბორბლის მწუხარებით სავსე ბრუნვა, რომელშიც იგი აღმოჩნდა ჩათრეული, საზღაურის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს.

უმჯობესია საკუთარი იდეალების გამო ჩაგსვან ციხეში, ვიდრე იმავე იდეალების გამო აგზავნო სხვები საპყრობილეებში. ნერუს წილად ხვდა ერთიც და მეორეც. ასეთი საზღაური გაიღო მან, რაკიღა დიდი ქვეყნის ბედის გამო პასუხისმგებლობა იტვირთა.

რაოდენ ბრწყინვალედაც უნდა გვეჩვენებოდეს მისი პოლიტიკური კარიერა, არა მგონია თვითონ ნერუს იგი ცხოვრების უმთავრეს საქმედ მიეჩნია, რადგან ნერუსთვის კარიერა თვითმიზანი არ ყოფილა. მისთვის პოლიტიკური საქმიანობა იყო საშუალება ხალხისთვის, და, უწინარეს ყოვლისა, თავისი თანამემამულეებისთვის, მსახურებისა, მაგრამ იგი მხოლოდ ინდოელებისთვის როდი იღვწოდა - ნერუს გრძნობები ადამიანისადმი მთელ კაცობრიობას მოიცავდა.

გამიჭირდება ეს კაცი რომელიმე გაუსახურებელ კატეგორიას მივაკუთვნო, რომლებსაც ისტორიკოსები იყენებენ. და თუ მაინც ვცდიდი ამას, ვიტყოდი, რომ განსაკუთრებით ნაყოფიერად და მისთვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი სახით ნერუმ თავი კაცობრიობის სამსახურში გამოავლინა - მან ცივილიზაციის ინტერპრეტატორთა შორის დაიკავა ადგილი, იმ შუამავალთა შორის, დასავლეთის ცივილიზაციას სხვა ცივილიზაციებთან რომ აკავშირებენ. დასავლეთი თანამედროვე ეპოქაში რევოლუციურ ზემოქმედებას ახდენს მთელ მსოფლიოზე. იმდენად ძლიერია ეს ზემოქმედება, რომ მსოფლიოს ყველა ერი დადგა არჩევანის წინაშე: გამონახოს საერთო ენა დასავლეთის ცივილიზაციასთან, ან მთლიანად იქნას შთანთქმული მის მიერ. თავის მხრივ, დასავლეთმაც იგრძნო აუცილებლობა, საერთო ენა გამონახოს სხვა ცივილიზაციების ხალხებთან, კაცობრიობის უმეტეს ნაწილს რომ შეადგენენ. ჩემი აზრით, მსოფლიო ამჟამად ტანჯვა-წამებით შობს ახალ საზოგადოებრივ სტრუქტურას, იგი მოიცავს ადამიანთა მთელ მოდგმას თავისი მრავალფეროვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო ტრადიციებით, რომლებიც, სხვადასხვა, წარსულში ერთმანეთისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცალკევებული კულტურების კუთვნილებაა.

ვფიქრობ, ბოლო ოთხი-ხუთი საუკუნის მანძილზე სწორედ ამისკენ მიემართება მსოფლიო ისტორია. და თუ ეს აზრი სწორია, ინტერპრეტაციამ და შუამავლობამ გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს ჩვენს ეპოქაში. იმაზე უფრო მნიშვნელოვანი როლი, რაც პოლიტიკურ მოღვაწეობას აკისრია; და მართლაც, ყველაზე შედეგიანი იმ ინტერპრეტატორთა შრომა აღმოჩნდა, რომლებიც პოლიტიკის სფეროს გარეთ მოქმედებდნენ, ესენი არიან მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, პოეტები და წინასწარმეტყველნი. ნერუ კი იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც თავის საქმეს პოლიტიკურ სცენაზე აკეთებს. ერთი ცივილიზაციის მეორესთან დამაკავშირებელი პოლიტიკოსები შეიძლება ორ ტიპად დაიყოს: პირველი - შეუბრალებელი ფელდფებელი, რომელიც ჯარისკაცებს აიძულებს, გადალახონ კულტურული მუტაციის უძნელესი პროცესი; მეორე - ნათელმხილველი, ვინც შთაგონებით მოუწოდებს თავის მიმდევრებს, საკუთარი ნებით გაიარონ ძნელი გზა. პირველი ტიპის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ პეტრე დიდი, ეგვიპტის ფაშა მუჰამედ ალი (1769-1849), მუსტაფა ქემალ ათათურქი (1881-1938) და იაპონიაში მეიძის რევოლუციის (1867-1868 წლები) შედარებით უფრო დახვეწილი და ძალაზე ნაკლებად დანდობილი მეთაურები.

ნერუ, უეჭველია, ისეთი ტიპის ლიდერებს მიეკუთვნება, რომლებიც კაცობრიობას იძულებით კი არა, შეგონებით მიუძღვებიან წინ. ამ ტიპის სხვა ლიდერებიც, ვისი სახელებიც გამახსენდა, ინდოელები არიან: იმპერატორი აშოკა - მას ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ უკარნახა უარი ეთქვა იძულებაზე და მქადაგებელი გამხდარიყო; გასულ საუკუნეში საზოგადოება "ბრაჰმო-სამაჯის" დამაარსებელი რამოჰან როი; დაბოლოს, ჯავაჰარლალ ნერუს მასწავლებელი და მოძღვარი მაჰათმა განდი.

აი, გარემოცვა, რომლის ფონზეც უნდა განვიხილოთ ნერუ და ადამიანები, რომელთა შორის იმსახურებს მისი სახელი მოხსენიებას და უკვდავებას.

თარგმნა მიქელ ირემაძემ

არილი



ზაზა ფაჩუაშვილი

# სკანდალი

## აურზაური არაფრის გამო

### ბრალდება

მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯანდაცვის მინისტრი და ქვეყნის წამყვანი კარდიოლოგები ფულის გულისთვის პაციენტებს სასიკვდილოდ იმეტებენ. საქმე ეხებოდა საქართველოში 1999 წლის მარტში დაწყებული საერთაშორისო პროგრამის - "ჰერო-2"-ის განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებდა მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტით ავადმყოფთა მკურნალობას ჩვენთვის ახალი ამერიკული პრეპარატით. "ჰერო-2" არის ამერიკული გრანტი, რომლითაც დღეისთვის მსოფლიოს 48 ქვეყანა სარგებლობს. მის ფარგლებში ავადმყოფებს უფასოდ მკურნალობდნენ წამლით, რომელიც აშშ-ში 300 დოლარი ღირს, ხოლო ექიმებს ყოფილი საბჭოთა მოქალაქისთვის საამაყო ანაზღაურებას აძლევდნენ.

მაგრამ სწორედ ახლა, როცა ვადები ამოიწურა და გრანტის გაგრძელება-შეწყვეტის ბედი უნდა გადაწყდეს, ატყდა სკანდალი პრეპარატის ვარგისიანობის თემაზე.

მასმედიის ინფორმატორი, კარდიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი ბიოქიმიკოსი ნათელა ნადირაძე ამტკიცებს, რომ პრეპარატ "ჰირუდინს" გააჩნია ძლიერი თანამდევი მოვლენები, რაც გამოიხატება ტვინში სისხლის ჩაქცევის გამოწვევითა და პაციენტის სიკვდილით. ამის თაობაზე ქალბატონ ნათელას ჯერ კიდევ 2 წლის წინ გაუკეთებია განცხადება, პროგრამის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე. მაშინ მას ხელთ ჰქონია უცხოურ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აშშ-ს საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების ლიცენზირების ასოციაციამ (FDA) შეაჩერა პრეპარატ "ჰირუდინის" კვლევა მისი თანამდევი მოვლენების გამო. ქალბატონი ნათელას ღაღადს, მისივე თქმით, ყური არავინ ათხოვა; თუმცა პასუხის გაცემა ყველას მოუწია 2 წლის შემდეგ, უფრო მწვავე სიტუაციაში.

### პასუხი

პასუხი იყო საჯარო და ყველასთვის გასაგები, ვისაც ყურები აქვს. ეს მოხდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი დაცვის მინისტრის საბჭოზე, სადაც მიწვეულნი იყვნენ ფაშიზმში ბრალდებული კარდიოლოგები, ბრალმდებელნი და ჟურნალისტები.

აღმოჩნდა, რომ ინფორმატორ ქალბატონს, ნათელა ნადირაძეს, ერთმანეთში არევია ორი პრეპარატი - "ჰირუდინი" და "ჰირულოგი". "ჰირუდინი", რომლის დარეგისტრირების შეჩერების შესახებ ინფორმაციას ფლობდა ქალბატონი ნათელა, საქართველოში თვალითაც არავის უნახავს. მისი ჩართვა აღნიშნულ საერთაშორისო პროგრამაში გათვალისწინებულიც არ ყოფილა.

საქართველოში ამერიკული გრანტის ფარგლებში იყენებდნენ პრეპარატ "ჰირულოგს", რომლის ვარგისიანობაში FDA-ს ეჭვი არასოდეს შეპარვია და უპრობლემოდაც დაურეგისტრირებია (აშშ-ში ეს პრეპარატი ხმარებაშია 1985 წლიდან). მეტიც, კარდიოლოგ კახა პაპოშვილის განცხადებით, "ჰირულოგი" მონათლეს, როგორც უპრეცედენტო პრეპარატი, რაც ინფარქტის სამკურნალო საშუალებებიდან არცერთს არ ღირსებია ("ჰირულოგი", თუ შეიძლება ასე ითქვას, სამჯერ უფრო უსაფრთხო ყოფილა, ვიდრე ამ საქმეში აღიარებული "ჰეპარინი").

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სადავო საკითხის გარკვევისას პაპოშვილი-ნადირაძის დუეტი ყველაზე ნაყოფიერი გამოდგა. ქალბატონი ნათელა არ შეწინააღმდეგებია ბატონ კახას, რომელმაც, "ჰირულოგს" რომ თავი დავანებოთ, საზოგადოების თვალში "ჰირუდინის" რეაბილიტაციაც კი მოახდინა. თურმე, პრეპარატ "ჰირუდინს", რომლის შეჩერების შესახებაც ინფორმაცია უცხოეთის მასმედიაში 1994 წელს გავრცელდა, პრობლემები გასჩენია დოზებთან დაკავშირებით. კვლევის დასაწყისში მას "ჰეპარინზე" 0,4 ერთეულით უარესი შედეგი უჩვენებია და უმკაცრეს FDA-ის მისი რეგისტრაცია შეუჩერებია; მაგრამ ორიოდე თვის შემდეგ მეცნიერები მიმხვდარან თანამდევი მოვლენის მიზეზს - მაღალ დოზას, დაუწევიათ დოზა და "ჰირუდინი" "ჰეპარინზე" გაცილებით უკეთესიც გამომდგარა. შედეგად რამდენიმე წლის შემდეგ FDA-ის "ჰირუდინიც" დაურეგისტრირებია.

სკეპტიკოსებს შევახსენებთ, რომ ლიცენზიის საქმეში FDA მსოფლიოში ყველაზე კომპეტენტური და აღიარებული ორგანიზაციაა. მისი ლიცენზია იმას ნიშნავს, რომ პრეპარატს წლების განმავლობაში ცდიდნენ და იგი შესაბამის სფეროში ყველაზე პოპულარულ სამკურნალო საშუალებებს ჯობნის. მოკლედ, რომ იტყვიან, FDA-ის ლიცენზიით შხამიც კი პანაცეად იქცევა. ამიტომ ამ ინფორმაციის შემდეგ ნორმალურ საზოგადოებაში საკითხი უნდა ამოწურულიყო, მაგრამ ჩვენთან, როგორც მოსალოდნელი იყო, საპირისპირო მოხდა.

საინფორმაციო საშუალებები გულმოდგინედ ატრიალებენ აღნიშნულ თემას, ალაპარაკებენ "ჰერო-2"-ით ნამკურნალევ და აწგარდაცვლილი ადამიანის შვილს და სრულიად უსაფუძვლოდ აფორიაქებენ იმ 1100 ადამიანის გულს, რომლებსაც საერთაშორისო პროგრამით წარმატებით უმკურნალეს.

ამ ორომტრიალში აღარავის ახსოვს, რომ სამედიცინო სამყაროში გულსისხლძარღვთა დაავადებებს N1 მკვლელს უწოდებენ, ვინაიდან სწორედ ამ დაავადებით იღუპება ყველაზე მეტი ადამიანი მსოფლიოში და აბსურდია აქ FDA-ში დარეგისტრირებული პრეპარატის დადანაშაულება. მითუმეტეს, რომ სპეციალისტთა დასკვნაც იგივეს ამტკიცებს.

საქართველოს კარდიოლოგთა კავშირის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ბონდო ქობულია წერს: "ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული წინასწარი (1999-2000) შედეგების ანალიზით, მხოლოდ ორი მონაცემის მიხედვით, რომელიც შეეხება მიოკარდიუმის მწვავე ტრანსმურული ინფარქტით დაავადებულ პაციენტებს მწვავე პერიოდიდან ერთი თვის ჩათვლით, სიკვდილიანობის მაჩვენებელმა შეადგინა 9,6 პროცენტი, რაც ორჯერ და მეტად ნაკლებია 1998 წლის მონაცემებზე - 18-26 პროცენტი.

აღნიშნულ ავადმყოფებში რეპერფუზის - კორონალურ არტერიებში სისხლის მიმოქცევის აღდგენა-გაუმჯობესების პროცენტმა 60-მდე მიაღწია, რაც იმას ნიშნავს, რომ თითქმის 600 ავადმყოფს არ განუვითარდა მიოკარდიუმის ნეკროზი (ინფარქტი). აღნიშნული შედეგი მეტად შთამბეჭდავია და კომენტარს არ საჭიროებს".

ქართველი კარდიოლოგები ირწმუნებიან, რომ უფრო შთამბეჭდავი იქნება საბოლოო შედეგები, რაც ერთ-ორ თვეში გამოქვეყნდება და შეშფოთებას გამოთქვამენ მომხდარის გამო, ვაითუ, აშშ-მ გრანტი აღარ გააგრძელოსო.

დაბოლოს, უპრიანი იქნება, მოვუსმინოთ ქალბატონ ნათელას: "მე ვერაფერს ვიტყვი აღნიშნული პრეპარატის ვარგისიანობის შესახებ, ვინაიდან პროგრამაში და კვლევაში მონაწილეობა არ მიმიღია. ამიტომ არაფერს ვამტკიცებ, უბრალოდ, მაქვს ჩემი აზრი, რომელიც გამოვთქვი 2 წლის წინ და ახლაც ვიმეორებ, რომ საქართველში არ არის შექმნილი ისეთი პირობები, რომელიც სჭირდება ასეთი დონის კვლევების ჩატარებას.

რაც შეეხება მასმედიაში ატეხილ სკანდალს, მე ჟურნალისტს მივეცი 1998 წლის მონაცემები და ვთხოვე, წერილი არ დაებეჭდა, სანამ არ წამაკითხებდა. შემპირდა, მაგრამ არ წამაკითხა და, სამწუხაროდ, ჩემი თხოვნა, ზედმეტი პრობლემები არ მჭირდება-მეთქი, არად ჩააგდო".

P.S. განსაკუთრებით ეჭვიანებს დავუსახელებთ რამდენიმე ქვეყანას იმ 48-დან, სადაც "ჰირულოგით" მკურნალობენ: აშშ, კანადა, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ავსტრია, საბერძნეთი, ფინეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, უკრაინა, რუსეთი და სხვა. სულ პროგრამაში მონაწილეობს აღნიშნული ქვეყნების 483 კლინიკა. ნუ ვიფიქრებთ, რომ განვითარებულ ქვეყნებში საკუთარ მოქალაქეებს კლავენ და ამას მხოლოლდ ჩვენ, ქართველები მივხვდით. ნუ დავადანაშაულებთ პლანეტას გულსისხლძარღვებით დაავადებულთა გენოციდში.

P.P.S. ნუ ვიქნებით იდიოტები.



ეროვნული
ბიბლიოთეკა






http://www.opentext.org.ge/arili

ტვაა HERE

ბ 37/13

# O, captain, my captain...

